საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყაზბეგი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

№287
(12 355)

7 დეკემბერი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

# დინამო შემოდგომის ჩემპიონია




გუშინ ეროვნულ სტადიონზე, დინამო-ზესტაფონი 2:0. ამ მოგებით დინამომ პირველი წრე პირველ ადგილზე დაასრულა

...ყველა ლამაზ ზღაპარს აქვს დასასრული. ჰოდა, „ზესტაფონის", მართლაც, ზღაპრულ და, რაც მთავარია, სარეკორდო დაუმარცხებელი სერია დასრულდა. სერია, რომელიც წელიწადი და სამი თვე გრძელდებოდა და 35 მატჩს მოიცავდა. ვის უნდა შეეწყვიტა „ზესტაფონის" რეკორდული ნინსვლა, თუ არა თბილისის „დინამოს"?! თანაც, ნებსით თუ უნებლიეთ, ისე მოხდა, რომ წლევანდელი ჩემპიონატის უმთავრესმა ფავორიტებმა ურთიერთშეხვედრაში გაარკვიეს პირველი წრის გამარჯვებულის ვინაობა. მოკლედ, ლიდერთა დაპირისპირებას ინტრიგა არ აკლდა და შეხვედრას არაერთ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი. მოიგებდა „ზესტაფონი" და უშუალო კონკურენტს ოთხი ქულით ჩამოიტოვებდა; ალბათ, არც ფრე იქნებოდა **თემურ მახარაძის** გუნდისთვის ურიგო შედეგი - ამ შემთხვევაშიც ცხრილის სათავეში „ზესტაფონი" რჩებოდა. „დინამოს" გეგმებში ყოველივე ეს რომ არ ჯდებოდა, თამაშმა ნათლად დაამტკიცა. წინდაწინ უნდა ვთქვათ: „დინამომ" სეზონის ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული მატჩი უაღრესად მოტივირებულად ჩაატარა და სრულიად დამსახურებულადაც გაიმარჯვა. მასპინძლები მეტოქეს ინდივიდუალურ ოსტატობაშიც ჯაბნიდნენ, სისწრაფეშიც და ტაქტიკურადაც უკეთ მომზადებულნი გამოიყურებოდნენ. ანუ, მთლიანობაში, „დინამომ" აჩვენა ის, რასაც „სწორი ფეხბურთის" თამაში ჰქვია და მთელი მატჩის განმავლობაში არავის შეპარვია ეჭვი მის უპირატესობაში. ერთადერთი საწყენი ფაქტიც უნდა ვახსენოთ - ასეთი დონის გუნდების და ასეთი მნიშვნელობის მატჩზე ნამდვილად მეტ ქომაგს მოველოდით. თუმცა ვინც სტადიონზე მივიდა, ნამდვილად არ ინანა - „დინამოს" შთამბეჭდავი თამაშის ცქერა ერთი სიამოვნება იყო!

2




## პანიონიოსი–დინამო და ტოზოლი–ზესტაფონი საევროპო მატჩების სიაში

9

### მანუჩარ მარკოიშვილი:

## დრაფტზე საუბარი ჯერ ნაადრევია

13

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

# საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XI (გადადებული) ტური

# ლამაზი ზღაპრის დასასრული

**დინამო-ზესტაფონი**

**2:0**

6.12. თბილისი. ეროვნული. 2 000 მაყურებელი

1:0 დილმელაშვილი (18), 2:0 ხუციშვილი (63)

დინამო: ოვონო - შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში - ოდიკაძე (90. თომაშვილი), დილმელაშვილი, ხმალაძე, მერებაშვილი - ხუციშვილი (79. კობახიძე), აკირემი (56. სპასოევიჩი)

*სათადარიგოები: ლორია, გ. კაშია, ვანაძე, ფირცხალავა*

ზესტაფონი: ჭანტურია - თოდუა, საჯაია, ლობჟანიძე, კ. ჩხეტიანი (74. ვიერა) - გ. ნუგ. ჭელიძე, კესანი, ჟონატასი (69. იონანიძე), ბ. გოცირიძე (66. ფიფია), რ. ონიანი - გ. ნოდ. ჭელიძე

*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, ნ. კვასხვაძე, შ. ლონლაძე, ბიტოო*

გაფრთხილება: კრშკო (35), კესანი (44), ხუციშვილი (54), იონანიძე (74), ოვონო (90)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

**7.** გოცირიძე დასწრებაზე თამაშობდა, მაგრამ „დინამოს“ მცველებმა სიტუაცია განმუხტეს.

**14.** ოდიკაძე შეუჩერებლად გზავნიდა ბურთს მეტოქის კარისკენ - ჭანტურიამ მუშტებით მოიგერია ბურთი.

**18.** 1:0 - დილმელაშვილმა მარცხენა ინსაიდის პოზიციიდან ძლიერი და ზუსტი დარტყმით ბურთი მეკარისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში გაგზავნა, ჭანტურია არც განძრეულა.

**19.** ოდიკაძე მარჯვენა ფლანგიდან უტევს - ბურთი მცირე მანძილით ცდება სტუმართა კარს.

**33.** აკირემი სტუმართა მეკარესთან პირისპირ გადის. „ზესტაფონი“ ჭანტურიას თავგანწირულმა თამაშმა გადაარჩინა.

**40.** გოცირიძემ მცველთა შეცდომით ისარგებლა და მახვილი კუთხიდან შეუტია ოვონოს კარს - ბურთი მიზანს აცდა.

**45.** თოდუას 40 მეტრიდან გასროლილი ოვონომ კუთხურზე მოიგერია.

**47.** სტუმართა მცველების მორიგი შეცდომა, რითაც ისარგებლა ხუციშვილმა, შეუჩერებლად გაგზავნა ბურთი ჭანტურიას კარისკენ, ოდნავ არაზუსტად.

**63.** 2:0 - მასპინძლებმა მარცხენა ფლანგზე სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს. ხუციშვილი სიტუაციაში ჩინებულად გაერკვა და ეფექტური დარტყმით ჭანტურია უშანსოდ დატოვა.

**70.** ოდიკაძე-დილმელაშვილი-სპასოევიჩის ლამაზ კომბინაციას მერებაშვილი აგვირგვინებდა, მაგრამ დინამოელთა მარცხენაფლანგელის დარტყმა სტუმართა მეკარემ მოიგერია.

**73.** ოდიკაძის შორეული დარტყმა მიზანს ოდნავ აცდა.

**82.** სტუმართა ყველაზე რეალური მომენტი - იონანიძის თავური ახლო მანძილიდან ძელს მოხვდა.



დინამოელები სეზონში უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას ზეიმობენ

*პირველი გვერდიდან*

...ორივე მწვრთნელმა მოედანზე ოპტიმალური შემადგენლობა გამოიყვანა. **დუშან უჰრინსაც** და თემურ მახარაძესაც ძირითადში კორექტივები არ შეუტანიათ და იმავე თერთმეტეულით დაიწყეს თამაში, როგორც წინა ტურში. წინა ტური შემთხვევით არ გვიხსენებია - მატჩის შემდეგ „ზესტაფონის“ მთავარმა მწვრთნელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მის გუნდს მძიმე მატჩი ჰქონდა „ამერთან“. იმ შეხვედრაში „ზესტაფონი“ დამაჯერებლად გამოიყურებოდა და ფეხბურთელებსაც მოედანზე თითქმის ყველაფერი გამოსდიოდათ. აი, „დინამოსთან“ მატჩში კი სტუმრები, ცოტა არ იყოს, დამძიმებულნი ჩანდნენ - მოედნის ცენტრიც დათმეს, ფლანგებიც და დაცვაშიც უჩვეულოდ ბევრ შეცდომებს უშვებდნენ. ვერც შეტევაში გამოიყურებოდნენ ყოჩაღად - მატჩის დასრულებამდე რვა წუთით ადრე უბერებელმა **ზურაბ იონანიძემ** თავით ბურთი ძელს რომ გაარტყა, ეს იყო ერთადერთი რეალური მომენტი. ყველაფერ ამაში კი „დამნაშავე“ მასპინძლები იყვნენ: **ოვონო** უშეცდომოდ თამაშობდა, დაცვა საიმედოდ ირჯებოდა და ნახევარმცველებმა ხომ, საერთოდ, პირწმინდად დაჩაგრეს მოწინააღმდეგეები. ერთადერთი, შედარებით ნაკლებად შთამბეჭდავი ეთქმოდა **აკირემის** თამაშს, სამაგიეროდ, მის ნაცვლად შემოსული **სპასოევიჩი** ჩაერთო აქტიურად თამაშში. თანაც, ჩერნოგორიელმა ბოლოს როდის ითამაშა ცენტრფორვარდად, ალბათ, თვითონაც აღარც ახსოვს... მოკლედ, დუშან უჰრინს თავისი ბიჭების თამაშით უკმაყოფილების გრძნობა არ უნდა ჰქონოდა და პრესკონფერენციაზეც ხაზი გაუსვა ამ ფაქტს: „გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ ძლიერ მეტოქესთან ყველამ კარგად ითამაშა. თანაც, იმანაც გამახარა, რომ თითოეულმა ჩემმა ფეხბურთელმა გამარჯვებისათვის სული და გული ჩააქსოვა“. მართალი იყო გამოცდილი ჩეხი სპეციალისტი: „არანორმალურად“ მოტივირებულმა „დინამომ“ პირველი წრის ყველაზე პრინციპული შეხვედრა ისე ჩაატარა, როგორც ლიდერს ეკადრება. მატჩის მერე მასპინძლები ძალიან, ძალიან დიდხანს ზეიმობდნენ გამარჯვებას; მათი გასახდელიდანაც დიდხანს ისმოდა ხმაური და ყიჟინა; კლუბის ხელმძღვანელობაც ალალ და უამრავ მილოცვას იღებდა - აი, ასეთი ფასეული იყო „დინამოსთვის“ უშუალო კონკურენტის ძლევა.

...ზემოთ ცალკეული რგოლები აღვნიშნეთ და მასპინძელთა ნახევარმცველების თამაში გამოვყავით. როგორი საქმეა, როცა **ჟონატას-კესანის** „დუეტს“ გაანეიტრალებ, ან **კახა ჩხეტიანს** მარცხენა ფლანგზე რომ არ გაანავარდებ? „დინამოს“ შუახაზელებს ამ მატჩში სხვა რამითაც გამოვარჩევდით: უაღრესად სასარგებლო იყო **ლევან ხმალაძე**, ჩვეული აქტიურობით გამოირჩეოდა **გიორგი მერებაშვილი**; „დინამოში“ გადმოსვლის მერე, ალბათ, საუკეთესო მატჩი ჩაატარა **დავით დილმელაშვილმა**. მასპინძელთა კაპიტანმა იშვიათი სილამაზის გოლი ხომ გაიტანა, მთელი მატჩის განმავლობაში ჩინებულად უძღვებოდა თამაშს და თანაგუნდელ **დავით ოდიკაძესთან** ერთად, უდავოდ, გამორჩეული იყო მოედანზე. ოდიკაძეზე ცალკე უნდა ვთქვათ - ამ ახალგაზრდა კაცმა ბოლო წლებში რა აღარ გადაიტანა, მაგრამ დიდ ფეხბურთში მაინც დაბრუნდა. არანაკლები ჯაფა დაადგა ოდიკაძეს ძირითადში ადგილის მოსაპოვებლად, მაგრამ ესეც მოახერხა და გუშინ მოედანზე ძველი „ოდო“ ვიხილეთ! და კიდევ ერთ ნიუანსზეც - ვეღარც დავთვალეთ, თუ რამდენჯერ მოხვდნენ ხელოვნურ თამაშგარეში სტუმართა ფეხბურთელები. ზესტაფონელ ქომაგთა სამწუხაროდ, ამ კომპონენტში „დინამოს“ მცველები უშეცდომონი იყვნენ და სტუმრებმაც საპირისპირო ვერაფერი მოიფიქრეს.



მეორე გოლი ხუციშვილის ამ შეტევას მოჰყვა

დაბოლოს, კიდევ ერთ კონკრეტულ ფეხბურთელზეც: **მიხეილ ხუციშვილმა** არც ამჯერად დატოვა მოედანი უგოლოდ. ის „დინამოს“ ლიდერად ხომ ჩამოყალიბდა, ბომბარდირთა სიასაც სათავეში ჩაუდგა და საერთოდაც, პირველი წრის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელიც გახლავთ.

რაც შეეხება მსაჯობას, ჩვენი აზრით, ახალგაზრდა არბიტრმა **გიორგი ვადაჭკორიამ** უშეცდომოდ ჩაატარა ლიდერთა მატჩი. ის ფაქტიც, რომ პრინციპულ მეტოქეთა დაპირისპირებამ უაღრესად კორექტულად ჩაიარა, ალბათ, არბიტრის დამსახურებაც იყო.

**გია ტუხაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 13 | 12 | 0 | 1 | 35:4 | 36 |
| 2. ზესტაფონი | 13 | 11 | 1 | 1 | 26:6 | 34 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 12 | 9 | 1 | 2 | 22:8 | 28 |
| 4. ბორჯომი | 13 | 7 | 4 | 2 | 17:9 | 25 |
| 5. ოლიმპი | 13 | 7 | 3 | 3 | 13:8 | 24 |
| 6. ამერი | 12 | 7 | 0 | 5 | 21:13 | 21 |
| 7. მესხეთი | 13 | 6 | 2 | 5 | 15:17 | 20 |
| 8. მგლები | 13 | 5 | 0 | 8 | 14:19 | 15 |
| 9. სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 16:17 | 15 |
| 10. სპარტაკი | 13 | 3 | 3 | 7 | 5:14 | 12 |
| 11. მერანი | 13 | 3 | 1 | 9 | 7:23 | 10 |
| 12. ლოკომოტივი | 13 | 3 | 0 | 10 | 8:21 | 9 |
| 13. დილა | 13 | 1 | 3 | 9 | 7:24 | 6 |
| 14. ბათუმი | 13 | 1 | 1 | 11 | 5:28 | 4 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 10 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 8 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 8 |
| აკირემი (დინამო) | 7 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიონმა მოგებით დაასრულა

**სიონი–მგლები**

**3:1**

6 დეკემბერი. ბოლნისი. თ. სტეფანია. 600 მაყურებელი.

1:0 ჩასემი (8), 2:0 ქარდავა (56. ქურასბედიანის პასით), 3:0 ქარდავა (58. ჩასემის პასით), 3:1 ბაკარანძე (74. ჭკადუას პასით)

სიონი: იაშვილი – სვანაძე, ოქროპირიძე, ბოიომო (46. მენთესაშვილი), ქურასბედიანი – ქუცურუა (55. კვიტაიშვილი), სანიკიძე, ნადირაძე, ბაჯელიძე – ქარდავა, ჩასემი (60. გაგუა)

მგლები: ჭითანავა – ქომეთიანი, ქუხია, კაკაბაძე, ქირია (61. ბაკარანძე) – ჯოჯუა, განედავა, წურწუმია, მაჭავარიანი (8. ჭკადუა), კუტალია – ჭედია.

გაფრთხილება: ნადირაძე (16)

არბიტრი: ლ. სილაგავა

**8**. 1:0 - სტუმართა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ჩასემმა კარგად ისარგებლა და ანგარიში გახსნა.

**55**. ზუგდიდელებმა ჭკადუა მასპინძელთა იაშვილთან პირისპირ დატოვეს, თუმცა ბოლნისელთა მეკარემ იმარჯვა და ვითარება განმუხტა.

**56**. 2:0 - ქურასბედიანის გადაცემა ქარდავამ შეირგო და ანგარიშიც გაზარდა.

**58**. 3:0 - იმავე ქარდავამ ახლა უკვე ჩასემის პასი გამოიყენა და დუბლი მიითვალა.

**74**. 3:1 - ბოლნისელთა მეკარე გიგა იაშვილი ჭკადუას დარტყმულს კი გადაეფარა, მაგრამ ბაკარანძემ დაამატა და პრესტიჟის გოლი გაიტანა.

ბოლნისის "სიონმა" მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი მოგებით, 15 ქულითა და მე-8 ადგილით დაასრულა. ამ წყვილში ძნელი იყო "სიონის" დასახელება გამოკვეთილ ფავორიტად, მაგრამ ბოლნისელებმა მასპინძლის როლი კარგად გამოიყენეს და წარმატებასაც მიაღწიეს. სტენოგრამას თვალს თუ გადავავლებთ ნათლად ჩანს, რომ თამაში მასპინძელთა კარნახით მიმდინარეობდა. აღსანიშნავია ის, რომ "სიონის" კარს დუბლიორი **გიგა იაშვილი** იცავდა და საიმედოდაც. "მგლებს" ერთის გარდა კიდევ შეეძლო გატანა, მაგრამ სწორედ იაშვილი იდგა მოწოდების სიმაღლეზე. ისიც უნდა ითქვას, რომ ტაიმები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, მეორე ნახევარი პირველზე უკეთესი და უხვგოლიანი აღმოჩნდა.

მასპინძლები მალევე დაწინაურდნენ, მე-8 წუთზე ზუგდიდელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით კარგად ისარგებლა **ერიკ რომეო ჩასემმა** და ანგარიში გახსნა.. მეტიგოლი პირველ ტაიმში აღარ გვინახავს, მეორე ნახევარში კი ერთბაშად სამი გატანილი ბურთი ვიხილეთ.

მეორე ტაიმის სტარტზე სტუმრებს შეეძლოთ წონასწორობის აღდგენა, მაგრამ ბოლნისელები მეკარემ იხსნა. სხვათა შორის, "სიონმა" მეორე გოლიც შესვენების მერე მალევე გაიტანა. ამჯერად **ქარდავამ** იმარჯვა **ქურასბედიანის** პასით. ორიოდე წუთში იმავე ქარდავამ დუბლი მიითვალა. მეორე გოლზე კი თანაავტორობა ჩასემმა გასწია. მერე კი "მგლების" ჯერიც დადგა და ზუგდიდელებმა პრესტიჟის გოლი გაიტანეს.

**დავით ქავთარაძე**
ბოლნისი-თბილისი



ლევან ცქიტიშვილი მოლოდინშია

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ცქიტიშვილის კონტრაქტი კვირისთვის გადაიდო

## კაიზერსლაუტერნში მენთეშაშვილსაც ელიან

ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ლევან ცქიტიშვილი მეორე ბუნდესლიგის "კაიზერსლაუტერნში" ვარჯიშს განაგრძობს. მის კონტრაქტზე საბოლოო მოლაპარაკებები გუშინ უნდა გამართულიყო.

*"საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ლევან ცქიტიშვილი კვლავაც "კაიზერსლაუტერნში" ვარჯიშობს. მან უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება, რომლის შედეგები დადებითია. როგორც ჩანს, ამჟამად ფინანსურ მხარეზე მიდის საუბრები და ქართველი ფეხბურთელის ტრანსფერის საკითხი მოკლე ხანში გადაწყდება. გერმანიის საფეხბურთო ლიგა მოსალოდნელი ტრანსფერის საქმის კურსშია და როგორც კი კონტრაქტი გაფორმდება ცქიტიშვილს "კაიზერსლაუტერნის" განაცხადში შეიყვანენ და მას კვირას, 9 დეკემბერს იენის "კარლს ცაისთან" თამაშის უფლებაც ექნება"*, - ეს ცნობა გუშინ გერმანულმა წყაროემა გაავრცელეს.

მართალია გერმანელები ცქიტიშვილის დებიუტს "ლაუტერნში" კვირისთვის მოელიან, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს ეს ამბავი გადაიწევს. ჩვენი ინფორმაციით, გარკვეულ მიზეზთა გამო, ცქიტიშვილის ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკებები კვირისთვის გადაიდო.

**დავით ცაბაძე**



ერიკ რომეო ჩასემი გოლით და საგოლე პასით გამოირჩა

# პირველი ლიგის კანდიდატი

**მერანი–დილა**

**1:0**

6 დეკემბერი. თბილისი. მერანი. 200 მაყურებელი

1:0 გოჩაშვილი (21. შენგელიას პასით)

მერანი: თევდორაძე – ლოლაძე, გიგაური, ლ. გრიგალაშვილი, სარალიძე – ჯანგიძე, შენგელია (74. ბურჯანაძე), ფურთუხია, ლომაშვილი (86. კალაძე) – ბ. ჟღენტი (70. ტყეშელაშვილი), გოჩაშვილი

*სათადარიგოები: სეფიაშვილი, იაკობ დეისაძე, იაგო დეისაძე, ქემაშვილი*

დილა: ილურიძე – დ. ხანიშვილი, ლაცაბიძე, ბალიაშვილი, ბალაშვილი – ტლაშაძე (29. ნ. ნოზაძე), სადალაშვილი (74. ლომიძე), შატაკიშვილი, სულთანიშვილი – ჩუკვუ (49. სამადაშვილი), ბ. ჩიტაია

*სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, მასურაშვილი, კურტანიძე, იჩქითი*

გაფრთხილება: შატაკიშვილი (32), ბ. ჩიტაია (56), დ. ხანიშვილი (77)

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

ორივე გუნდი გააფთრებით იბრძვის უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად და ბუნებრივია, გუშინდელ მატჩს "მერანისთვისაც" და "დილისთვისაც" უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. თბილისელებმა და გორელებმა აქამდეც მრავლად დაკარგეს დაგეგმილი თუ დაუგეგმავი ქულები და მორიგი წარუმატებლობა მათ მდგომარეობას საგრძნობლად გააუარესებდა.

მასპინძლებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და მართალია, მეტოქეს მთელი თავით ვერ აჯობეს, მაგრამ მათი გარკვეული უპირატესობა თავიდანვე გამოიკვეთა. მატჩი სახიფათო მომენტებით მწირი იყო, ასე რომ, დაფიქსირებული შედეგი რეალურად ასახავს მოედანზე განვითარებულ მოვლენებს.

შეხვედრის 21-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა **შენგელიამ** ფლანგური გარღვევა განახორციელა და ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა. იქ ყველას გამოცდილმა **ვლადიმერ გოჩაშვილმა** დაასწრო და ანგარიშიც გაიხსნა.

ამის შემდეგ თამაში კიდევ უფრო მოსაწყენი გახდა. სტუმრებს გამწვავება უჭირდათ, "მერანი" კი საკუთარი ნახევრის უსაფრთხოებას თავს რიგიანადართმევდა.

"დილას" შემადგენლობიდან ყველაზე რეალური საგოლე შანსი **ლაცაბიძეს** ჰქონდა. გორელთა გამოცდილმა მცველმა ახლოდან დაარტყა, მაგრამ თბილისელთა ახალგაზრდა გოლკიპერმა **რევაზ თევდორაძემ** საკუთარი კარი იხსნა.

მეორე ტაიმში დასამახსოვრებელი, ფაქტობრივად, არაფერი მომხდარა, **დავით ეჯიბიშვილის** შეგირდებმა საქმე მშვიდად მიიყვანეს სასურველ დასასრულამდე. ამ გამარჯვებით მერანელებმა დიდი შესვენების წინ განწყობა გამოიკეთეს და გადამწყვეტი ბრძოლების წინ ნორმალური პოზიციაც მოიპოვეს.

"დილას" მდგომარეობა კი გაცილებით მძიმეა. შიდაქართლელებს უმაღლესში დარჩენის მიზერული შანსი აქვთ, თუმცა პირველი წრის ბოლოს, ძნელი წარმოსადგენია, რომ მათ ამ მიზანს მიაღწიონ...

**ნიკა გვათუა**

# მედია სტადიონის წინააღმდეგ

„პაიჭაძეზე" სეზონი დაიხურა. სტადიონის დირექციას სურდა წელიწადი სასამოვნო და სახალისო მატჩით დასრულებულიყო და მოიფიქრა - ეროვნული სტადიონისა და ჟურნალისტების ამხანაგური ბურთაობა.

სტადიონის ხელმძღვანელობა თამაშისთვის უმაღლესად მოემზადა და მედიის დასამარცხებლად დიდებული ტრანსფერებიც გაჩარხა: მეკარე **სერგო ჭურაძე, კახა ცხადაძე, გიორგი ლუდუშაური, გია ხიზანიშვილი, ავთანდილ ასათიანი, მიხეილ მაზიაშვილი, აჩიკო არველაძე, დავით იაშვილი**, ექიმი **ზურაბ კახაბრიშვილი**. თავად სტადიონის დირექციიდან კი ვეტერანი ფეხბურთელებით გაძლიერებულ გუნდში ასევე ყოფილი მოთამაშეები მოხვდნენ - **მიშა ასათიანი, ნიკა ჯღარკავა და ფაცო ნორაკიძე**.

ჩანს, ჟურნალისტებს ტრანსფრებისთვის ასეთივე სოლიდური ბიუჯეტი არ აღმოაჩნდათ და მათ მხოლოდ თბილისის „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი **გიორგი კიკნაძე** დაიმატეს. მედია უმთავრესად საკუთარ აღზრდილებს დასჯერდა - **დიმა ობოლაძე, ლაშა დვალიშვილი, ლევან ჯავახიშვილი, გოგა კოლუაშვილი, ვაჟა არჩვაძე, მამამთავრიშვილი, გუჯაბიძე, კობა კოჩიძე, მიშა დუმბაძე**.

ანგარიში მედიელმა ლაშა დვალიშვილმა გახსნა, მაგრამ დათო იაშვილმა, ავთო ასათიანმა და აჩიკო არველაძემ ჩვენი კოლეგები სამჯერ უპასუხეს. ამის მერე კიკნაძემ ჩინებული საჯარიმო დარტყმით ანგარიში შეამცირა. თუმცა, რად გინდა, შეხვედრის მიწურულს გიორგი ლუდუშაურმა ისეთი მაკრატელა დაარტყა, მისი აღება უხერხულიც იყო და მეკარესაც მოერიდა.

ეროვნული სტადიონის გუნდმა 4:2 მოიგო, მაგრამ მსაჯმა ჟურნალისტები რომ დაწვა, ორი აზრი არაა. ელემენტრულად, ჟურნალისტებს კითხვის დასმას არ აცლიდა და წააგებდნენ, აბა, როგორ იქნებოდა.

ცალკე ისიც ვთქვათ, რომ თამაში თითქმის ყველა ტელევიზიამ გააშუქა. ამდენი ტელეკომპანია ეროვნულ ჩემპიონატის მატჩებს არ ესწრება.

**მერაბ მამულაშვილი**

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

# იყო საფუძველი...

## ამერი ზაფხულამდე უცვლელია


ზურაბ ფოცხვერია გუშინწინდელ მატჩზე

გუშინწინდელი „ამერი"-"ვიტ ჯორჯიას" შეხვედრა 55-ე წუთზე შეწყდა - ამერელთა პრეზიდენტმა **ზურაბ ფოცხვერიამ** თავისი გუნდი მოედნიდან გაიყვანა.

იმ დროისთვის „ამერი" 0:1-ს აგებდა და მინდორზე ცხრა კაცით იყო. არბიტრმა **კვარაცხელიამ ზურაბ ქვაჩახია** და **გიორგი ელბაქიძე** გააძევა; „ამერს" გოლი პენალტით გაუტანეს. ყველაფერმა ამან სიტუაცია დაძაბა, მაგრამ „ამერის" ასეთი გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო - ზოგადად, მოედნის პროტესტის ნიშნად თუ სიტუაციის უფრო გამწვავების მოსარიდებლად დატოვება ვერ არის მოსაწონი საქციელი, ხოლო „ამერი" არის კლუბი, რომელსაც პრეტენზია აქვს, იყოს მოწინავე და პროგრესული.

ფოცხვერიას ჯერ ამ ფაქტის თაობაზე დავუსვით კითხვები, მერე კი სხვა თემასაც გადავწვდით.

**- ასეთი მოულოდნელი გადაწყვეტილება ალბათ ცხელ გულზე მიიღეთ. ასეთი ქმედება თქვენი და თქვენი კლუბის სტილი არ არის...**

- ცხელ გულზე კი არა, ეს გადაწყვეტილება შეგნებულად, საღ გონებაზე მივიღე. რა თქმა უნდა, თვითონ ის ფაქტი, რომ მოედანი დავტოვეთ, უარყოფითად უნდა შეფასდეს, მაგრამ კონკრეტულ, შექმნილ ვითარებაში ეს არ იყო უსაფუძვლო გადაწყვეტილება.

**- უკმაყოფილება მსაჯის გადაწყვეტილებების გამო - ეს იყო მოედნის დატოვების მიზეზი?**

- მსაჯის გადაწყვეტილებაზე კომენტარის გაკეთებას არ ვაპირებ.

**- მაშინ რა იყო ასეთი გადაწყვეტილების საფუძველი?**

- მსაჯი ვერ აკონტროლებდა ვერც თამაშს და ვერც საკუთარ თავს. შეიქმნა დიდი ალბათობა იმისა, რომ სერიოზული ინცინდენტი მომხდარიყო ფეხბურთელებსა და მსაჯს შორის და მეტოქე გუნდების ფეხბურთელებს შორის. სიტუაციას ძალიან ნერვიული ფონი გასდევდა.

**- როგორც უნდა იყოს, მოედნის დატოვებით „ამერი" მოგებული ვერ დარჩება - სადისციპლინო კომიტეტი თქვენ გუნდს ალბათ ტექნიკურ ნაგებას ჩაუთვლის, შესაბამისად, „ვიტ ჯორჯია" სამ ქულას აიღებს...**

- რა გადაწყვეტილებას მიიღებენ დასციპლინარები, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ თუ ნაგებას ჩაგვითვლიან ან სხვა რაიმე სანქციებს დაგვიწესებენ, ეს ლოგიკური იქნება.

**- „ამერსა" და „ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირება ძალიან პრინციპულია არა მხოლოდ სატურნირო მდგომარეობის გათვალისწინებით - ესორი კლუბი ერთმანეთს იმაშიც ეჯიბრება, თუ ვისი პოლიტიკაა სწორი და ეფექტური. ასეთ დაპირისპირებას ყოველთვის ახლავს განსაკუთრებულად ნერვული ფონი, შესაბამისად იზრდაბა ყვითელ-წითელი ბარათების და უსიამოვნო ინციდენტების რისკი. რაც მოხდა, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ამ ფაქტორზე „ამერმა" სათანადოდ ვერ იმუშავა?**

- თქვენს მოსაზრებას ვერ უარვყოფ, რადგან ამას ლოგიკა უდევს საფუძვლად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერში გეთანხმებით.

**- „ამერი" მომხდარის გამო თუ აპირებს ფეხბურთელების დასჯას?**

- ასეთი კატეგორიული პოზიცია არ გვაქვს. 9 დეკემბერს სუპერთასზე გველის თამაში. „ამერი"-"ვიტ ჯორჯიაზე" მომხდარზეც ამის მერე ვიმსჯელებთ.

**- რამდენიმე თვის წინათ მითხარით, ამერის" სამომავლო გეგმეზე ნოემბერში გეტყვითო. ნოემბერიც მიილია და თუ გაქვთ უკვე შემუშავებული კონკრეტული გეგმა?**

- გადავწყვიტეთ, რომ ეს საკითხი სეზონის ბოლომდე გადავდოთ. საშუასეზონო პერიოდში „ამერში" მკვეთრი ცვლილებები არ იქნება.

**- „ამერის" რამდენიმე გადაწყვეტილება მოულოდნელი გამოდგა, განსაკუთრებით გუნდის ბოლოდროინდელ სელექციაში. ვინ არის ზურაბ ფოცხვერიას მთავარი მრჩეველი „ამერში"?**

- გუნდის დაკომპლექტების საკითხში ჩემი მთავარი მრჩეველი მწვრთნელია, საორგანიზაციო საკითხებში გენერალური მენეჯერი, შესაბამის საკითხებში აღმასრულებელი დირექტორი.

**- „ამერი" - ეს არის კლუბის პრეზიდენტის თუ მწვრთნელის გემოვნების მიხედვით შექმნილი გუნდი? გემოვნებასთან ერთად, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ კლუბის შესაძლებლობებსაც.**

- „ამერი" შექმნილია პრეზიდენტის, მწვრთნელის და გენერალური მენეჯერის ერთობლივი გემოვნებით, რაც განპირობებულია ფინანსური შესაძლებლობებით და კიდევ იმით, თუ კონკრეტულ პერიოდში გუნდს რა, როგორ დასჭირდება.

**- სხვაზეც გკითხავთ. თქვენ ფეხბურთის ფედერაციის უმაღლეს ორგანოს, აღმასკომის წევრი ხართ, თუმცა აღმასკომის სხდომის გარეშეც გადაწყვეტილია, რომ ფედერაცია კლაუს ტოპმიოლერთან კონტრაქტს გააგრძელებს...**

- არ მიმაჩნია, რომ აღმასკომის წევრობა მხოლოდ ფორმალობაა. მე რომ აღმასკომზე საკუთარი აზრის გამოთქმის დაფიქსირების საშუალება არ მქონდეს, მისი წევრი არ ვიქნებოდი. რაც შეეხება ტოპმიოლერს, მისი რამდენიმე გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ნაკრების სამომავლო მწვრთნელის საკითხის გადაწყვეტისას ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი. ტოპმიოლერი ორ წელიწადში ბევრ რამეში გაერკვა და საინტერესო მწვრთნელის გამოცდილება შეიძინა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტოპმიოლერმა ბევრი რამ სასიკეთოდ შეცვალა. ის ახლა უფრო დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს - ეს არის მთავარი ჩვენი ფეხბურთისთვის და ნაკრებისთვის.

**- მაშინ ასე გკითხავთ - „ამერი" რომ ბოლოსწინა ადგილზე გავიდეს, მის მთავარ მწვრთნელს გუნდიდან არ გაუშვებთ?**

- მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრე „ამერმა" ძალიან უარყოფითი შედეგით ჩაამთავრა, მაგრამ მწვრთნელის შეცვლაზე არ ვფიქრობ.

**- ახალგაზრდულ ნაკრებებზე რასფიქრობთ, ნუთუ არ არის ერთი ქართველი მწვრთნელი მაინც, ვინც რომელიმე ასაკობრივ ნაკრებს ჩაიბარებს?**

- ქართველ მწვრთნელთაგან შესაძლებელია ასეთი სპეციალისტის გამოძებნა, ვინც რომელიმე ასაკობრივ ნაკრებს გაუძღვება. ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელთა საკითხი სერიოზულად უნდა განვიხილოთ.

დავით თავართქილაძე

17-წლამდელთა ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# გოლით, მაგრამ მაინც, უგოლოდ

6 დეკემბერი. პორტუგალია. ბეჟა. "ფერნანდო მამედი". 100 მაყურებელი

**პორტუგალია-საქართველო 0:0**

საქართველო: ნადირაძე (კაპ.), ამაშუკელი, მირცხულავა, ფუტკარაძე, მამულაძე, ძალამიძე, ჩელებაძე, ელიზბარაშვილი, ჯიშკარიანი (77. გაბაშვილი), შეყილაძე, ჯიმშელეიშვილი.

არბიტრი: ლ. კოსტა სანტუში (პორტუგალია)

პორტუგალიაში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა, ადგილობრივ თანატოლებთან გუშინ მეორე ამხანაგური მატჩი გამართა. პირველი მატჩის მსგავსად, გუშინდელი თამაშიც ფრედ 0:0 დასრულდა.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ამ მატჩშიც მეკარე **ნადირაძე** და ცენტრალური მცველები **მირცხულავა** და **ფუტკარაძე** გამოირჩეოდნენ. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ პორტუგალიელებს არც ამ შეხვედრაში ჰქონიათ რეალური საგოლე მომენტი. **ჰერბერტ ცანკერის** ფეხბურთელებს კი არაერთხელ შეეძლოთ გოლის გატანა.

28-ე წუთზე **ნიკა ძალამიძის** მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ, **ელიზბარაშვილის** თავური პორტუგალიელთა მეკარემ გაჭირვებით მოიგერია. 59-ე წუთზე იმავე ძალამიძის მიერ დარტყმულმა ბურთმა მასპინძელთა კარის ძელი შეაზანზარა. 65-ე წუთზე **გიორგი ჩელებაძემ ირაკლი შეყილაძე** პორტუგალიელთა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ მისი დარტყმული ოდნავ აცდა კარს.



ჰერბერტ ცანკერი

69-ე წუთზე ჩვენმა ჭაბუკებმა გოლი მაინც გაიტანეს, მაგრამ... მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ გასულმა ირაკლი შეყილაძემ მეორე ცდიდან შეძლო მეტოქის კარის დალაშქვრა, მაგრამ თანამსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

გუშინ გამართულ თამაშს კვლავაც დაესწრო ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **პეტარ სეგრტი**, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

*"ჩვენმა გუნდმა ორივე მატჩში კარგად იასპარეზა. განსაკუთრებულ ქებას მეკარე და მცველები იმსახურებენ. ამ ნაკრებში ნიჭიერი ფეხბურთელები არიან და მჯერა გაისად გაცილებით კარგად ათამაშდებიან. ამ ორ შეხვედრაში თავდადებული თამაშისთვის ფეხბურთელებს მადლობას ვუხდი".*

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიური შეკრება დაამთავრა და დღეს სამშობლოში გამოეგზავრებიან.

დავით ცაბაძე

ფოლკსვაგენის თასი
გორის, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი
9 დეკემბერი
2007
ოლიმპი
ამერი
pfl.ge
დასაწყისი: 13:00
ფოლკსვაგენი VOLKSWAGEN
ჯეოსელი GEOCELL
აქსისი
დეველოპერული კომპანია
საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA
საინფორმაციო მხარდაჭერა
106.9 FM FORTUNA ფორტუნა
სარბიელი
ოლიმპი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ამერმა ვიტ ჯორჯიასთან მატჩი ჩაშალა

# ნუკრი მანჩხავას ლიტვური დარდები

**ნუკრი მანჩხავა** სამი წლის წინათ წავიდა ლიტვაში და „კაუნასის" ერთ-ერთ საკვანძო ფეხბურთელად იქცა. მას ბალტიისპირეთში თამაში ძლიერ ლიგაში გადასასვლელ ტრამპლინად წარმოედგინა, მაგრამ „ტრამპლინიდან ხტომა" ძალიან გაუგრძელდა. როდის აპირებს 25 წლის ქართველი მცველი „კაუნასის" დატოვებას, რა წინადადებები მიიღო და რა იმედებს უკავშირებს თანამეგობრობის თასს? ამის შესახებ ის „ლელოს" ესაუბრა.

„სეზონი ლიტვაში ნოემბერში დასრულდა და თბილისში ჩამოვედი. აქ მეგობრებთან თამაშით ვერთობი. მალე კაუნასში დავბრუნდებით მე, გია კვარაცხელია და აკაკი ხუბუტია. გუნდში 10 დეკემბერს დაგვიბარეს, ასე რომ, საკმაოდ ხანმოკლე შესვენება გამოგვივიდა. ახლა მომიწევს იმის გარკვევა, დავრჩები თუ თამაში სხვაგან მომიწევს. „კაუნასთან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ დარჩენის დიდი სურვილი არ გამაჩნია. ადრე ბელორუსში მიწვევდნენ, სოლიგორსკის „შახტიორის" ხელმძღვანელობა დამელაპარაკა, მაგრამ ეს ჩემთვის მიუღებელი წინადადება იყო.

ლიტვაში ფიზიკურად საკმაოდ მოვლონიერდი და მჯერა, რომ შემიძლია უკეთეს დონეზე თამაში. ამიტომაც, სანკტ-პეტერბურგში გასამართ თანამეგობრობის ტურნირს დიდი იმედით ველოდები. მთავარია, გუნდმა და პირადად მე კარგად ვითამაშო. ტურნირს ბევრი სელექციონერი ესწრება და უფრო ძლიერ გუნდში მოხვედრის იმედი გამაჩნია.

სამწუხაროდ, ყველაზე მეტად რისი იმედიც მქონდა, არ გამოვიდა. რომანოვმა ლამის მთელი „კაუნასი" შოტლანდიაში გადაიყვანა. მითხრა, რომ „ჰართსში" ჩემი წაყვანაც სურდა, თუკი სანაკრებო პროცენტებს დავაგროვებდი. სამწუხაროდ, სანაკრებო პროცენტებს ვინ ჩივის, ეროვნულში ჩემით არასდროს დაინტერესებულან. არავინ იცის, ახლა რა ფორმაში ვარ, როგორ ვთამაშობ, საქართველოდან წასვლის შემდეგ გავიზარდე თუ რეგრესი განვიცადე... სამწუხაროდ, სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ „ჰართსმა" გვერდზე ჩამიქროლა და რომანოვიც ფიქრობს, რომ თუკი საინტერესო წინადადება იქნება, ხელი აღარ უნდა შემიშალოს და გამიშვას. ასე რომ, „თანამეგობრის თასს" ორივე დიდი იმედით ველოდებით".

ნუკრი ლიტვასთან წაგების შემდეგ წარმოქმნილ უხერხულობაზე გვესაუბრა: „ლიტვის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი „კაუნასში" ჩემი გუნდელი და მეგობარია. ერთმანეთს ხშირად ვეხმიანებოდით, მაგრამ საქართველოს ნაკრებს 2:0 რომ მოუგეს, მას შემდეგ არავის დავკავშირებივარ. სიმართლე გითხრათ, მრცხვენია და საუბარს გავურბივარ. ლიტვაში რომ მოგვიგეს, ჯერ მაშინ აგვიკლეს ქართველები შაყირით, მაგარი გუნდი გყოლიათო. ჩამოხვალთ თბილისში და გაჩვენებთ, რეალურად რაც ხართ, გადაგივლით-მეთქი. დარწმუნებულიც ვიყავი, 3:0 ან მსგავსი ანგარიშით მოვუგებდით. პირიქით კი მოხდა, აქაც შევრცხვით და აღარ მინდა მათი მოსმენა. ერთი მოგება ყოფნით ცხვირის ასაწევად. ჩვენი მეტოქე ლიტვა კი არა, შოტლანდია და უკრაინა უნდა ყოფილიყო და ამ დროს, ლიტვასაც ვერ ვაჯობეთ. მე და გია კვარაცხელიამ ხომ ვიცით, ლიტველების რეალური პოტენციალი. გული მწყდება, მათი სისუსტეებით რომ ვერ ვისარგებლეთ."

„კაუნასის" ქართველ ლეგიონერს საქართველოს ჩემპიონატის დღევანდელი დონის შეფასებაც ვთხოვეთ და იმედგაცრუება არ დაუმალავს.

„ნოემბერში ჩამოსული საქართველოს პირველობის რამდენიმე თამაშს დავესწარი. ისეთი თაბეჭდილება შემექმნა, რომ „ლოკომოტივიდან" ბალტიისპირეთში ჩემი წასვლის დროს უფრო მაღალი დონის ჩემპიონატი გვქონდა და უკეთესი გუნდები გვყავდა. დამიჯერეთ, ლიტველებმა ძალიან გაგვისწრეს. თამაშის ხარისხი, ტემპი და მოძრაობა სულ სხვაა. აქ ლიდერები მსგავს თამაშებს იოლად იგებენ, რადგან აუტსაიდერები ფიზიკურად ძალიან სუსტები არიან. ლიტვაში აუტსაიდერთან ასე იოლად მოგება შეუძლებელია, რადგან ფიზიკურად ყველა კარგადაა მომზადებული, განსხვავება კლასშია. „კაუნასი" აუტსაიდერებს რომ ხვდება, გაცილებით მეტი დაძაბულობაა.

სამწუხაროა, რომ ლიტველებმა ასე გაგვისწრეს. იქაურ და აქაურ პირობებს, სტადიონებს, ორგანიზაციას ვერ შევადარებთ. ეს სანაკრებო დონეზეც გამოჩნდა. ორივე თამაში მოგვიგეს და ექვსი ქულით გაგვისწრეს. რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, რომ მათზე ნიჭიერები ვართ, ფაქტია, ლიტველებმა ბევრი იშრომეს და სასიკეთო ნაბიჯებით ბოლო წლებში გაგვისწრეს."

**მერაბ მამულაშვილი**

# სამი ამბავი პროფლიგაში

დღეს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში დიდი თავყრილობა იქნება. სუპერთასის მონაწილე გუნდების მწვრთნელთა წინასამატჩო პრესკონფერენციისა და თასის გათამაშების მეოთხედფინალის წილისყრის საკითხი რამდენიმე დღის წინათ გადაწყდა, ამას გარდა, დღეს სადისციპლინო კომიტეტიც ჩაებმება საქმეში და „ამერი"-"ვიტ ჯორჯიას" შეხვედრაში მომხდარ სკანდალზე იმსჯელებს. **ანატოლი პისკოვეცი** და **გიორგი ჩიხრაძე** ჟურნალისტთა წინაშე 16 საათსა და 30 წუთზე წარსდგებიან.

გარკვეული ვარაუდის გამოთქმა ახლავე შეიძლება. კერძოდ, იმის თქმა, რომ მატჩის არბიტრ **ლევან კვარაცხელიას** სანქცია არ ემუქრება. სადავო ეპიზოდების ვიდეოჩანაწერი არაერთმა მსაჯმა, მწვრთნელმა თუ სპეციალისტმა ნახა და არავინ დავობს იმაზე, რომ კვარაცხელიას ყველა გადაწყვეტილება მართებული იყო. სხვათა შორის, ამას თვით „ამერის" წარმომადგენლებიც აღიარებენ. რაც შეეხება თამაშის სადავეების ხელიდან გაქცევას, ასეთი შეცდომა სამსაჯო კოდექსში

მოხსენიებული არაა და შესაბამისად, ეს მეტად სუბიექტური და არახელშესახები ცნებაა. ბუნებრივია, ნებისმიერი არბიტრის ქმედება სწორი თუ არასწორი გადაწყვეტილებებით ფასდება და ამ მხრივ კვარაცხელია უშეცდომოდ გაისარჯა.

„ამერს" კი ტექნიკური 0:3 არ ასცდება. შესაბამისად, სამი ქულა მიეკუთვნება „ვიტ

ჯორჯიას", რითიც ვეტერინარები ლიდერებს მჭიდროდ მიუახლოვდებიან. მოსალოდნელია, რომ „ამერს" მატჩის თვითნებურად ჩაშლისთვის ფინანსური სანქციებიც დაეკისრება, გლდანელთათვის ქულების დაკლება კი ნაკლებ სავარაუდოა.

გადასაწყვეტია გაძევებული ამერელების საკითხიც. **ზურაბ ქვაჩახიასა და გიორგი ელბაქიძეს** წითელი ბარათები არასპორტული საქციელისთვის რომ არ მიელოთ, სუპერთასზე მათი თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგებოდა. თუმცა მაინც არაა გამორიცხული, მათ „ოლიმპის" წინააღმდეგ მოედანზე გასვლის ნება დართონ. ბუნებრივია, ქვაჩახია და ელბაქიძე საგაისოდ ოფიციალურ მატჩებს ნებისმიერ შემთხვევაში გამოტოვებენ.

ორიოდე სიტყვით „ფოლკსვაგენის" სუპერთასსაც შევეხოთ. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეს შეხვედრა 9 დეკემბერს, გორში, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე 13 საათზე დაიწყება. პფლ-ის გადაწყვეტილებით, მატჩზე დასწრება უფასო იქნება.

აქვე თასის მეოთხედფინალის წილისყრის პროცედურაზეც შეგახსენებთ. გუნდები ორ კალათაში განაწილდებიან და ერთ კალათაში მოხვედრილები ერთმანეთს არ შეხვდებიან. პირველი კალათა (ჯგუფების პირველადგილოსნები): ამერი, დინამო, ზესტაფონი, ბორჯომი. მეორე კალათა (ჯგუფების მეორეადგილოსნები): ოლიმპი, სპარტაკი, დილა, მალაროელი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ხიზანიშვილი კონტრაქტს აგრძელებს

THIS IS LANCASHIRE იუწყება, რომ „ბლექბერნ როვერსის" და საქართველოს ნაკრების მცველი **ზურაბ ხიზანიშვილი** სავარაუდოდ მალე გააგრძელებს კონტრაქტს ინგლისურ კლუბთან. ამის თაობაზე თავად ზურასაც უსაუბრია „ლელოსთან". ხიზანიშვილს მოქმედი კონტრაქტით ჯერ კიდევ 18 თვე რჩება „ევუდ პარკზე" გასატარებელი, თუმცა კლუბი დაინტერესებულია უფრო დიდი ხნით დაიტოვოს ქართველი მცველი, რომელსაც ბოლო ხანს პრობლემები შეექმნა ნაკრების გერმანელ თავკაც **კლაუს ტოპმიოლერთან.**



ხიზანიშვილი შოტლანდიური „რეინჯერსიდან" „ბლექბერნში" 500 ათას გირვანქა სტერლინგად გადავიდა. ამ ინგლისურ გამოცემას აქვს ინფორმაცია, რომ ზურაბი ამ დღეებში ესაუბრა უელსელ მწვრთნელ **მარკ ჰიუზს** თავის პრობლემებზე, რადგან ამ სეზონში მას სულ სამჯერ მოუწია თამაში, აქედან მხოლოდ ერთხელ პრემიერლიგის მატჩში, სამაგიეროდ უელსელმა გამოთქვა სურვილი კონტრაქტის გაგრძელების. გასულ სეზონში ზურამ 31 მატჩში ითამაშა, მაგრამ კლუბში **კრის სამბას** გამოჩენის შემდეგ, მას სასტარტოში მოხვედრის პრობლემა შეექმნა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუერთდი, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. იაპონია 2007

# ორი ქართველი მუნდიალზე

**დღეს იაპონიაში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი იწყება. წარმოგიდგენთ ტურნირში მონაწილე გუნდებს, მით უმეტეს, რომ მუნდიალზე ქართველი ფეხბურთელებიც ითამაშებენ...**

## სეპაჰანი (ირანი)

აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი. გადამწყვეტ მატჩში იაპონურ „ურავასთან" დამარცხდა (0:2). ეს უკანასკნელი ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებდა ტურნირში მონაწილეობას, როგორც მასპინძელი ქვეყნის ჩემპიონი, ამიტომ, აზიამ დამატებით ერთი ადგილი მიიღო და ეს ადგილი წილად ხვდა სწორედ ფინალისტ თეირანის „სეპაჰანს".

გუნდს 52 წლის ხორვატი სპეციალისტი **ლუკა ბონაჩიჩი** წვრთნის. ის „სეპანჰანში" 2006 წელს, სპლიტის „ჰაიდუკიდან" გადავიდა. იმ წელსვე მან გუნდს ქვეყნის თასი მოაგებინა, რაც ავტომატურად ნიშნავდა აზიის ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობას. საინტერესო შტრიხი მწვრთნელის პორტრეტისთვის: სამშობლოში მუშაობისას ის კატეგორიულად უარობდა საფეხბურთო აგენტებთან თანამშრომლობას, რის გამოც ერთხელ მასზე თავდასხმაც მოაწყვეს...

მკითხველს ეცოდინება, რომ „სეპაჰანში" თამაშობს ქართველი მცველი **ჯაბა მუჯირი**. გუნდის ცენტრალური ფიგურა კი კაპიტანი **მაარამ ნავიდკია** გახლავთ. 2004 წელს ის „ბოხუმში" ცდილობდა კარიერის აწყობას, მაგრამ ტრავმის გამო მხოლოდ 10 მატჩში მიიღო მონაწილეობა. თეირანში გასულ წელს დაბრუნდა. მუჯირის გარდა, „სეპაჰანში" არის კიდევ ერთი ლეგიონერი: ნიგერიელი ფორვარდი **კაბირ ბელო**.

## უაითეკერ იუნაიტედი (ახ. ზელანდია)

ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული ოკეანიის კონფედერაციიდან. ახალზელანდიელებმა ფინალში ფიჯის კლუბი დაამარცხეს. მთავარი მწვრთნელის პოსტზე აქ **კრის მილიჩიჩი** მუშაობს. სხვათა შორის, ეს კლუბი სულ ახლახან, 2004 წელს შეიქმნა და მისი პირველი დამრიგებელიც სწორედ მილიჩიჩი გახლდათ. პირველივე ცდაზე, „უაითეკერმა" შინაურ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. შემდეგ, მილიჩიჩმა პოსტი ერთი წლით **სტივენ კეინს** გადაულოცა. ის გუნდში გასული სეზონის ბოლოს დაბრუნდა.

*„მსოფლიოს საუკეთესო კლუბების წინააღმდეგ თამაში ჩვენთვის დიდი პატივია, - აცხადებს ახალზელანდიელთა მწვრთნელი, - გუნდში უმრავლესობა მოყვარული ფეხბურთელია. კონტინენტის ამ დონეზე წარდგენას უდიდეს მისიად მივიჩნევთ. ჩვენგან განსაკუთრებულს არაფერს ელიან და შეიძლება, ეს კოზირიც იყოს. გაიხსენეთ, 2004 წელს, ევროპის ჩემპიონატზე, ბერძნების არავის ეშინოდა და ყველამ ვიცით, როგორც დამთავრდა ის ტურნირი".*

გუნდის ლიდერია 32 წლის **დენი ჰეი**, რომელსაც 7 წლის წინ „ლიდსში" 4 მატჩი აქვს ჩატარებული, მათ შორის, ერთი ჩემპიონთა ლიგაშიც („ბარსელონასთან", 0:4). ჰეი ახალი ზელანდიის ნაკრების კაპიტანიცაა და ერთი წლის წინ, მან საქართველოს ეროვნულ გუნდთან ამხანაგურ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა.

## ეტუალ დიუ საჰელი (ტუნისი)

აფრიკის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული. ერთი თვის წინ, ტუნისურმა კლუბმა ფინალში ეგვიპტის წარმომადგენელ „ალ აჰლის" სძლია (0:0, 3:1). „ეტუალის" 19 წლის ფორვარდი **მოჰამედ ამინ ჩერმითი** 8 გოლით ტურნირის მეორე სნაიპერი გახდა. მთავარი მწვრთნელია ფრანგი **ბერტრან მარშანი**, რომელიც 2002 წლამდე ფრანგული „რენის" ჭაბუკებს ავარჯიშებდა. შემდეგ, მან ორი წელი იმუშავა „გენგამში", მერე იყო „ქლაბ აფრიკენი" (ტუნისი) და 2005 წლიდან „ეტუალი".

*„ჩემი ფეხბურთელები მთლიანად არიან ფოკუსირებულნი საკლუბო მუნდიალზე. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მექსიკურ „პაჩუკას" დავამარცხებთ და ღირსეულად ვითამაშებთ „ბოკა ხუნიორსის" წინააღმდეგ. თუ ისევე ვიასპარეზებთ, როგორც ჩემპიონთა ლიგის ფინალში, შეგვიძლია დიდ შედეგს მივაღწიოთ"* - აცხადებს მოსიე მარშანი.

„ეტუალში" ახალგაზრდა აფრიკელ ტალანტთა მთელი წყებაა. ზემოხსენებული ჩერმითის გარდა, შეიძლება გამოვყოთ 18 წლის განელი ფორვარდი **სადათ ბუქარი**, 21 წლის ნახევარმცველი **მუსა ნასრი** (ნიგერი) და 24 წლის ადგილობრივი თავდამსხმელი **მეჰდი ბენ დიფალა**.

## პაჩუკა (მექსიკა)

კონკაკაფ-ის ჩემპიონთა თასის ტრიუმფატორი. ფინალში, პენალტების სერიით, გვადალახარის „ჩივასს" მოუგო. გუნდს წვრთნის 59 წლის ადგილობრივი სპეციალისტი **ენრიკო მესა**. საუკუნეების მიჯნაზე ის ცოტა ხნით მექსიკის ეროვნულ გუნდშიც მუშაობდა, შემდეგ „ატლასს" ედგა სათავეში, მერე „კრუს ასულსა" და „ტოლუკას", ბოლოს კი „პაჩუკამდეც" მიაღწია. პირველსავე სეზონში, ამ კლუბს პრესტიჟული „კოპა სუდამერიკანა" მოაგებინა.

მოთამაშეებიდან გამოვყოფდით შესანიშნავ კოლუმბიელ მეკარე **მიგელ კალეროს**, რომელიც ამავე დროს გუნდის კაპიტანიცაა. შეტევების ორგანიზებაზე ნატურალიზებული არგენტინელი **გაბრიელ კაბალიერო** ზრუნავს. ის 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეა. აქვეა „ბოკა ხუნიორსის" აღზრდილი **კრისტიან ხიმენესიც**. ასე რომ, „პაჩუკა" საკმაოდ ძლიერი გუნდი ჩანს.

## ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)

პოპულარული „კოპა ლიბერტადორესის" გამარჯვებული. ფინალურ მატჩში იოლად დაამარცხა ბრაზილიური „გრემიო" (3:0, 2:0). „ბოკას" მწვრთნელია **მიგელ ანხელ რუსო**, რომელმაც 2005 წელს „ველეს სარსფილდს" კლაუსურა მოაგებინა. გასულ წელს, ბაირესელთა დამრიგებლის პოსტზე მან მექსიკის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **რიკარდო ლა ვოლპე** შეცვალა. მართალია, რუსოს მუშაობა „კოპა ლიბერტადორესზე" წარმატებული იყო, მაგრამ შინაურ ფრონტზე ის ორი ცდიდან ვერაფერს გახდა.

„ხუნიორსის" მთავარი შარმია შემტევი ტრიო - **ნერი კარდოსოს, მარტინ პალერმოსა** და **როდრიგო პალასიოს** შემადგენლობით. ამას გარდა, „ლა ბომბონერაზე" დაბრუნდა **ხუან რომან რიკელმე**, რომელიც 8 გოლით (ტურნირის მთავარი ბომბარდირი) ივნისის ტრიუმფის მთავარი შემოქმედი გახლდათ. ნახევარდაცვის მთავარ ფიგურებად **პაბლო ლედესმა** და **ევერ ბანეგა** ითვლებიან.

## ურავა რედ დაიამონდსი (იაპონია)

ქვეყნის ჩემპიონი და აზიის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული. გუნდის მთავარი მწვრთნელია 59 წლის გერმანელი **ჰოლგერ ოზიკი**, რომელიც 1990 წლის მუნდიალზე **ფრანც ბეკენბაუერის** თანაშემწე გახლდათ. „ურავაში" ის პირველად 1997 წელს მივიდა. მერე 7 წლის განმავლობაში იმუშავა თურქეთსა და კანადაში, 4 წელი იმსახურა ფიფას ტექნიკურ დეპარტამენტში, გასულ წელს კი „ურავაში" დაბრუნდა.

გუნდის ლიდერია 32 წლის კაპიტანი **ნაბუხისა აიმადა**, რომელსაც აქამდე არც ერთ სხვა კლუბში არ უთამაშია. „ურავას" მაისურით მას 500-მდე მატჩი აქვს ჩატარებული. ფლეიმეიქერი გახლავთ ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის კარგად ცნობილი ბრაზილიელი **რობსონ პონტე**, რომელსაც თავის დროზე „ლევერკუზენსა" და „ვოლფსბურგში" უთამაშია. თავდასხმაში ირჯებიან 25 წლის **ტაცუია ტანაკა** და ჯეი-ლიგის ტოპ-სნაიპერი, 32 წლის ბრაზილიელი **ვაშინგტონი**, რომელსაც ჩემპიონატის 26 მატჩში ამდენივე გოლი აქვს გატანილი.

## მილანი (იტალია)

ევროპის ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი. 2006/07 წლების ევროსაკლუბო სეზონის დასკვნით მატჩში „როსონერიმ" „ლივერპულს" 2:1 მოუგო. მიმდინარე სერია A-ს „მილანი" საკადრის დონეზე ვერ ატარებს, ამიტომ, **კარლო ანჩელოტისთვის** საკლუბო მუნდიალის მოგებას რაღაც დატვირთვა მაინც ექნება. „ბოკასთან" ერთად „შავ-წითლები" ტურნირის ფავორიტები არიან. იაპონელი გულშემატკივრები მოუთმენლად ელიან **კაკას** ნახვას. 25 წლის ასაკში ამ ფეხბურთელმა 8 ჯილდოს მოგება მოასწრო, გარდა მსოფლიოს საკლუბო მუნდიალისა. ასე რომ...



მილანის ვარჯიში იოკოჰამაში

**ტურნირის განრიგი**

პლეიოფი მეოთხედფინალისთვის

| მატ N | თარიღი | დრო (თაპ) | წყვილი |
|---|---|---|---|
| 1 | 07/12 | 19:45 | სეპაჰანი-უაითეკერი |
| მეოთხედფინალი | | | |
| 2 | 09/12 | 14:45 | ეტუალი-პაჩუკა |
| 3 | 10/12 | 19:30 | 1. გამარჯვებულ-ურავა |
| ნახევარფინალი | | | |
| 4 | 12/12 | 19:30 | 2. გამარჯვებული-ბოკა |
| 5 | 13/12 | 19:30 | 3. გამარჯვებული-მილანი |
| მატჩი III ადგილისთვის | | | |
| 6 | 16/12 | 16:00 | 4. დამარცხებული-5. დამარცხებული |
| ფინალი | | | |
| 7 | 16/12 | 19:30 | 5. გამარჯვებული-4. გამარჯვებული |



ვალერიან ისმაელი იანვარში ბაიერნიდან ჰანოვერში გადავა

ტრანსფერი

# ისმაელი ჰანოვერს დარჩა!

## რა მოსთხოვა ჰიონესმა წითლებს ვალერიანის სანაცვლოდ?

ის, რაზეც ბოლო დღეებში ხშირად ვწერდით, უკვე გადაწყვეტილი ამბავია: „ბაიერნის" ფრანგი მცველი **ვალერიან ისმაელი** პირველი იანვრიდან კარიერას „ჰანოვერში" გააგრძელებს. გუშინწინ ისმაელმა „წითლებში" სამედიცინო შემოწმება გაიარა, რის შემდეგაც ექიმებმა მას მწვანე აუნთეს. სამედიცინო შემოწმების შემდეგ ისმაელი გუნდის სპორტულ დირექტორ **კრისტიან ჰოხშტეტერს** შეხვდა, რომელთანაც საბოლოო მოლაპარაკებები გამართა და მისივე თქმით, „მცირე დეტალები" გაარკვია. ამის შემდეგ კი გაცხადდა, რომ ისმაელი „ჰანოვერთან" კონტრაქტს 2010 წლის 30 ივნისამდე გააფორმებს.

როგორც იცით, ისმაელს „ბაიერნთან" კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდებოდა. შესაბამისად, წესით „ჰანოვერს" მის სანაცვლოდ გარკვეული თანხა უნდა გადაეხადა. წინასწარ ცნობილი იყო, რომ „წითლებს"ფულის გადახდა არ სურდათ – მათ უნდოდათ, რომ „ბაიერნს" ფეხბურთელთან კონტრაქტი გაეწყვიტა. არადა, ეს არც ისე რეალური გახლდათ, რადგან მიუნხენურმა კლუბმა ისმაელის სანაცვლოდ თავის დროზე (2005/06 წლების სეზონისთვის) 8 მილიონი ევრო გადაიხადა და ძნელად დასაჯარებელი იყო ის, რომ ბავარიელებს ფრანგი უფასოდ დაეთმოთ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, სამედიცინო შემოწმების შემდეგ ჰოხშტეტერსა და „ბაიერნის" გენერალურ მენეჯერ **ული ჰიონესს** შორის სატელეფონო საუბარი შედგა, რომელმაც ძალიან ცოტა ხანს გასტანა. სწორედ ამ სატელეფონო საუბრით გადაწყდა, რომ „ბაიერნი" თანახმაა, ისმაელს კონტრაქტი გაუწყვიტოს და ფაქტობრივად უფასოდ გაუშვას ფეხბურთელი, რომელსაც ხელშეკრულების ვადა ჯერ არ უმთავრდება. ცხადია, ჰიონესმა ჰოხშტეტერისგან რაღაც მიიღო, მაგრამ მხარეები ამ საკითხზე კომენტარისგან თავს იკავებენ.

ამრიგად, ორწელიწადნახევრის შემდეგ ისმაელმა „ბაიერნი" დატოვა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ის **ოტმარ ჰიტცფელდის** გეგმებში არანაირ როლს აღარ თამაშობდა. ბოლო დროს ისმაელს სერიოზული ტრავმა ჰქონდა, რის გამოც ბოლო 18 თვეში მხოლოდ ერთხელ გავიდა მოედანზე (15 აპრილს). ბუნდესლიგის მეორე წრიდან ის „ჰანოვერის" ღირსებას დაიცავს.

## ფერბეეკი ავსტრალიაში

**პიმ ფერბეეკმა** სამხრეთი კორეიდან ავსტრალიას მიაშურა. კორეელებმა 51 წლის ჰოლანდიელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით აზიის წლევანდელ თასზე ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს. გუშინ ფერბეეკი ავსტრალიაში ჩავიდა და ხანმოკლე მოლაპარაკებების შემდეგ ადგილობრივ საფეხბურთო ასოციაციასთან გააფორმა კონტრაქტი. ხელშეკრულება სამწლიანია. ის 2010 წლის ზაფხულამდე იმოქმედებს. შეგახსენებთ, რომ ავსტრალიელები თითქმის შეთანხმებულნი იყვნენ დიკ ადვოკაატთან, თუმცა ამ უკანასკნელს ეტერბურგის ზენიტში ისეთი პირობები შესთავაზეს, რომ მწვანე კონტინენტზე წასვლა გადაიფიქრა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ფერბეეკის ასე უცბად დანიშვნას არავინ ელოდა. ორშაბათს ავსტრალიაში იმყოფებოდა ფრანგი მწვრთნელის ფილიპ ტრუსიეც, რომელმაც აფრიკაში მუშაობით გაითქვა სახელი და თეთრი ჯადოქარიც კი შეარქვეს.

## მალდინი ფეხბურთიდან მიდის

„მილანის" ლეგენდარულმა კაპიტანმა **პაოლო მალდინიმ** განაცხადა, რომ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის შემდეგ ის კარიერის დასრულებაზე ფიქრობს, გვამცნობს „გაძეტა დელო სპორტი". საქმე ისაა, რომ 39 წლის ვეტერანს მუხლის ტკივილები არ აძლევს საშუალებას, კარიერა გააგრძელოს იმ დონეზე, როგორც მას აქამდე უთამაშია და მას სხვა არჩევანი აღარ რჩება. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული პირველ მატჩს 13 დეკემბერს გამართავს. მისი მეტოქე გაირკვევა ირანული „სეპაჰანის" (სადაც ქართველი **ჯაბა მუჯირი** თამაშობს), ახალზელანდიური „უეიტეკირ იუნაიტედისა" და იაპონური „ურავა რედ დაიმონდსის" საკვალიფიკაციო მატჩებში.

## ვან დერ ვაარტი: ატლეტიკო რიგში ჩადგა

„ატლეტიკო" რაფაელ ვან დერ ვაარტისათვის ბრძოლაში ჩაება. „ასის" ცნობით, მადრიდელებმა 20 მილიონი ევრო გაამზადეს. ვან დერ ვაარტი ევროპული გრანდების ყურადღების ცენტრშია. მან „ჩელსი", „რეალი", „ვალენსია", „ინტერი", „მილანი" „იუვენტუსი" და „ბაიერნი" აკვირდებიან. რაფაელი „ჰამბურგის" საკუთრებაა. გასულ ზაფხულს ის „ვალენსიაში" აპირებდა გადაბარგებას. ესპანელ ჟურნალისტებთან შეხვედრისას „ლამურების" მაისურშიც კი გამოეწყო, რის გამოც კრიტიკის ნიაღვარი დაატყდა თავს. 24 წლის ნახევარმცველს უფრო ამბიციურ კლუბში გადასვლა უნდა. მისი ხელშეკრულება 2010 წელს იწურება. კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის თანახმად შეთანხმების ამოწურვამდე ერთი წლით ადრე, ანუ 2009 წლის ზაფხულში, დაინტერესებულ კლუბებს მისი შეძენა სულ რაღაც 1.5 მილიონ ევროდ შეეძლებათ. გერმანელი მიმომხილველების ვარაუდით, ვან დერ ვაარტის გაყიდვის ალბათობა იანვრის ტრანსფერებისას, ან უკიდურეს შემთხვევაში, გაისად ზაფხულს საკმაოდ მაღალია.

სამწვრთნელო რყევები

# სერბეთმა კლემენტე დაითხოვა

## არარეალისტური მოლოდინის მსხვერპლი

**ხავიერ კლემენტე** სერბეთის ნაკრების მწვრთნელი აღარ არის. ამის თაობაზე განცხადება იქაური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვეზდან ტერყიჩმა** გააკეთა. *„შედეგი მთავარი ბარომეტრია მწვრთნელის მუშაობის საზომად. ჩვენ ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, აღარ გაგვეგრძელებინა ხავიერ კლემენტესთან კონტრაქტი, რომელიც 31 დეკემბერს ამოიწურა“* - ვკითხულობთ პრეზიდენტის განცხადებაში.

არადა, ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, ტერყიჩი სხვანაირად „ჭიკჭიკებდა“. მან სერბული მედია მწვრთნელსა და ფანებს შორის ურთიერთობის დაძაბვაში დაადანაშაულა. ჩვენმა პრესამ კლემენტეს გარშემო ნეგატიური ატმოსფერო შექმნაო, - ეს სწორედ ფედერაციის პრეზიდენტის სიტყვებია. ამავე დროს, ის ბრალს სდებდა და ახლაც ადანაშაულებს ფანებს ნაკრების მიმართ გულგრილობაში: *„კარგად მესმის, რომ მოსაწონი შედეგები არ გვაქვს, მაგრამ ჩვენი გუნდი მოკლებული იყო ქომაგთა მხარდაჭერას იმ პირობებშიც კი, როცა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი ჯერ კიდევ გვქონდა. მე მახსენდება ცარიელი ტრიბუნები ნაკრების საშინაო მატჩების დროს“...*

რას გასაკვირია, რომ თავად კლემენტესაც აღარ სურდა მუშაობის გაგრძელება, რადგან ბოლო პერიოდში ის ვერც პრეზიდენტისგან გრძნობდა მხარდაჭერას. აი, მისი კომენტარიც: *„რთული ამოცანა მქონდა. ახალგაზრდული გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უნდა გამეყვანა. ამდენად, მეჩვენება, რომ ბევრს არარეალისტური მოლოდინი ჰქონდა და მეც ამ მოლოდინის მსხვერპლი გავხდი“.*

შეგახსენებთ, რომ სერბეთის ნაკრებმა საკვალიფიკაციო ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა. მას პოლონეთმა და პორტუგალიამ გაუსწრეს. არც ახალი ჯგუფია იოლი, მეტიც - მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ბალკანელებს საფრანგეთისა და რუმინეთის ბარიერის გადალახვა მოუწევთ. მაგრამ ეს უკვე ახალი მწვრთნელის საფიქრალია...

...და ვინ იქნება კლემენტეს მემკვიდრე, თუნდაც ვარაუდის დონეზე? ჯერჯერობით, ამაზე ინფორმაცია არ გვაქვს. ფედერაციის პრეზიდენტი მხოლოდ თარიღზე საუბრობს: *„ახალ დამრიგებელს 24 იანვრისთვის დავნიშნავთ. მაგრამ არ იქნება ტრაგედია, თუკი ეს დრო კიდევ გაიწელება, რადგან უმჯობესია, ცოტა დავაგვიანოთ, სამაგიეროდ, კარგად დავფიქრდეთ და სწორი არჩევანი გავაკეთოთ“.*


ხავიერ კლემენტე

# ბლოხინმა უკრაინა დატოვა


ოლეგ ბლოხინი

გუშინ **ოლეგ ბლოხინმა** უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. ექსსაბჭოთა ფორვარდის გადადგომის მიზეზი, ერთი შეხედვით, ბანალურია: უკრაინის ნაკრებმა ვერ მოიპოვა ევრო 2008-ის ფინალური ეტაპის საგზური. გუშინვე, ბლოხინი ჟურნალისტებს შეხვდა და გულახდილად ესაუბრა. ამჯერად, ის უჩვეულოდ მშვიდი იყო:

*„ეს მძიმე გადაწყვეტილება იყო. ნაკრებში ოთხი წელი ვიმუშავე. არ მიყვარს საკუთარი თავის ქება, მაგრამ ფაქტია, რომ ეროვნულ გუნდს დიდი წარმატება მოვუტანე. შარშანდელ მუნდიალზე მსოფლიოს 8 საუკეთესო გუნდს შორის მოვხვდით. მაგრამ გასულმა შესარჩევმა ციკლმა დამარწმუნა, რომ ნაკრებს ახალს ვეღარაფერს შევძენდი. ამ ეტაპზე, ჩემი შესაძლებლობები ამოწურულია. შესაბამისად, წარუმატებლობაში არავის ვადანაშაულებ, გარდა საკუთარი თავისა“.*

55 წლის ბლოხინი ნაკრებში 2003 წელს დაინიშნა. სამწლიანი მუშაობის შემდეგ მან იმდენი შეძლო, რომ უკრაინის ეროვნული გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში გაიყვანა. რაც შეეხება ბოლო შესარჩევ ციკლს, ცოტა არ იყოს, ძნელია წარუმატებელი უწოდო ფინალურ ეტაპზე ვერგასვლას, როცა ჯგუფში საფრანგეთი და იტალია გყავს...

უკრაინულ მედიას ბლოხინის წასვლაზე სხვა ვერსია აქვს. მწვრთნელის კონტრაქტი ამ წლის ბოლო იწურებოდა. მას სურდა, ფეხბურთის ფედერაციასთან ახალი 4-წლიანი ხელშეკრულება გაეფორმებინა, რათა ეროვნული გუნდისთვის ევრო 2012-ზეც ეხელმძღვანელა. მოგეხსენებათ, პოლონეთთან ერთად უკრაინა ამ ტურნირის თანამასპინძელია. მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **გრიგორი სურკისი** მხოლოდ ორწლიან თანამშრომლობაზე იყო ყაბულს, შესაბამისად, ბლოხინმა გადადგომა არჩია.

ბოლო ინფორმაციების თანახმად, უკრაინის ნაკრების აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი კარიერას კიევის „დინამოში“ ან რუსული პრემიერლიგის კლუბ „მოსკვაში“ გააგრძელებს. თუმცა თავად ამას უარყოფს, აცხადებს რა, რომ ჯერ არც ერთ კლუბს მისთვის სამუშაო არ შეუთავაზებია.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# იუვე მელბერგს შეუთანხმდა?

დიდი ხანია **კლაუდიო რანიერი** კარგ მცველს ეძებს. **ჟორჟე ანდრადეს** ტრავმამ და **დომენიკო კრიშიტოს** გამოუცდელობამ „იუვენტუსის“ მწვრთნელი სერიოზულად ჩააფიქრა. კარგი მცველი ძვირი ღირს. „ბებერი ქალბატონის“ მეპატრონეები კი, ჯერჯერობით, ფულის დახარჯვას არ აპირებენ, მით უმეტეს, მცველში...

თუმცა ყინული შეიძლება გალღვეს, ოღონდ არა „იუვეს“ ბოსების ხელშეწყობით. საქმე შემდეგშია: იტალიური მედია ამტკიცებს, რომ „იუვეს“ სამიზნედ „ასტონ ვილის“ შვედი ცენტრალური მცველი **ოლოფ მელბერგი** იქცა. მეტიც, ზოგიერთი წყარო დაბეჯითებით საუბრობს წინასწარ კონტრაქტზეც. ტრანსფერი ივნისში განხორციელდება. სწორედ ამ დროს იწურება მელბერგის ბირმინგემული ხელშეკრულება. გამოდის, რომ მელბერგი ტურინელებს ერთი ცენტიც არ დაუჯდებათ.

დაცვის გაძლიერება რანიერის პრიორიტეტია. მომავალი სეზონისთვის ის ჩემპიონთა ლიგაში თამაშს გეგმავს. ასე რომ, სხვა ტრანსფერებიც გარდაუვალია, სურთ თუ არა ეს „სინიორას“ მეპატრონეებს. „ფიატის“ ერთ-ერთი ბოსის **ჯონ ლაპო ელკანის** ამასწინანდელი განცხადება - კლუბმა სახსრები ყაირათიანად უნდა ხარჯოსო, იმის ნიშანია, რომ რანიერის დიდი ბრძოლა მოუწევს. ფულის შოვნის ერთ-ერთი გზა ბალასტის მოცილებაა. ზაფხულში „იუვეს“ ფრანგი მცველი **ჟან-ალენ ბუმსონგი** დატოვებს. საუბარია **ტიაგო მენდესისა** და **სერხიო ალმირონის** აბარგებაზეც. ისინი „ქალბატონს“ ვერ მოერგნენ, თუმცა ალმირონს უფრო მეტი პერსპექტივა აქვს ტურინში, ვიდრე ზემოხსენებულთ.

პრესა დარწმუნებულია, რომ მელბერგის ტრანსფერი **ბრანისლავ ივანოვიჩის** „იუვენტუსში“ მისვლას ვერ შეაფერხებს. რანიერი მოსკოვის „ლოკომოტივის“ სერბი მცველით აღფრთოვანებულია. თავად ფეხბურთელის დიდი სურვილიცაა, რომ კარიერა იტალიაში გააგრძელოს. მას ესმის, რომ ეს ზრდის გარანტიაა...


ოლოფ მელბერგი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ძამბროტა მილანში გადადის

**ჯანლუკა ძამბროტა** უფრო და უფრო ახლოსაა სამშობლოში დაბრუნებასთან. „ბარსელონის“ მარცხენა მცველის მთავარ უმთავრეს მსურველად „მილანი“ სახელდება. თუმცა სულ ცოტა ხნის წინათ ასევე გაჟღერდა მიუნხენის „ბაიერნის“ სახელიც. მას მერე რაც გაჩნდა ინფორმაცია, რომ შეიძლება **მალდინიმ** კარიერა უახლოეს ხანში დაასრულოს, „როსონერი“ ეტყობა ძალიან გააქტიურდა. ვარაუდებისა და ჭორების დონეზე მსჯელობა პრესას იმიტომ უხდება, რომ **ადრიანო გალიანიმ** საერთოდ გამორიცხა ზამთარში ფეხბურთელის დამატების შესაძლებლობა. ჯანლუკა უკმაყოფილოა მისი ბარსელონური ბედით. „იუვენტუსის“ სერია ბ-ში გაძევების შემდეგ მან დაუყოვნებლივ დატოვა ტურინი და კატალონიას მიაშურა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მის ანგარიშზე სულ 46 მატჩია, რაც ამბიციური იტალიელის უკმაყოფილებას იწვევს. იტალიაში დაბრუნების სურვილს მას უძლიერებს ისიც, რომ მისი მეუღლე ესპანეთში თავს კომფორტულად ვერ გრძნობს. ძამბროტას სატრანსფერო თანხა საკმაოდ მცირეა, 3 მილიონი გირვანქა.

## არშავინი, რუსეთის უმდიდრესი ფეხბურთელი

„**ზენიტმა**“ **ანდრეი არშავინს** ახალი კონტრაქტი შესთავაზა. შეთანხმების შემთხვევაში, 26 წლის თავდამსხმელი ქვეყნის უმდიდრესი ფეხბურთელი გახდება. პეტერბურგელები მას წლიურად 2.7 მილიონ ევროს აღუთქვამენ. არშავინმა „ზენიტთან“ ახალი კონტრაქტი ექვსი თვის წინ გააფორმა. ის კლუბს 2011 წლის ზაფხულამდე ეკუთვნის. რატომ გახდა აუცილებელი პირობების გადახედვა. მიზეზი არშავინით ევროპული კლუბების დაინტერესებაა. „სპორტ-ექსპრესის“ ცნობით, „ნიუკასლი“ მზადაა, იანვრის ტრანსფერებისას 12 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. ფეხბურთელს რამდენიმე სარფიანი წინადადება აქვს ესპანეთიდან, მაგრამ „ზენიტის“ შეთავაზება საუკეთესოა.

## კერჟაკოვი: 8 მილიონად ინგლისში?

„სევილიის“ თავდამსხმელ **ალექსანდრ კერჟაკოვს** ინგლისში ეპატიჟებიან. 25 წლის რუს ფორვარდს ანდალუსიელთა ძირითადში იშვიათად ათამაშებენ. სკამზე ჯდომის მიუხედავად, მის კვალიფიკაციაში ეჭვი არავის ეპარება. ის სევილიელ გულშემატკივართა შორისაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამის მიზეზია თამაშის ის ხარისხი, რომლის ჩვენებას კერჟაკოვი დროის შეზღუდულ მონაკვეთში ახერხებს. ალექსანდრით „პორტსმუთი“ და „ვესტ ჰემი“ დაინტერესდნენ. მის კანდიდატურას „არსენალი“, „ჩელსი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ტოტენჰემი“ განიხილავენ. იანვრის ფანჯრის გახსნამდე სამი კვირით ადრე ფეხბურთელის ფასი 8-9 მილიონი ევროა. „სევილიის“ წარმომადგენლებმა უკვე განაცხადეს, რომ ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებენ. 20 იანვარს აფრიკის ერთა თასი დაიწყება. ანდალუსიელთა წამყვანი თავდამსხმელი **ფრედერიკ კანუტე** მალის ნაკრებში გაემგზავრება. მისი არყოფნა კერჟაკოვის შანსია. მას შეუძლია, სასტარტო შემადგენლობაში მოიკიდოს ფეხი.

## მაკარტიმ და ულიემ კორეა დაიწუნეს

სამხრეთ კორეის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ამ კვირაშივე დაინიშნებაო, გვაუწყებს „როიტერი“. კორეელებს მწვრთნელად **მიკ მაკარტის** ან **ჟერარ ულიეს** ხილვა სურთ, რომელთაც სანაკრებო დონეზე გამოცდილება არ დაეწუნებათ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ძიება ივლისის მერე გრძელდება, ანუ მას შემდეგ, რაც აზიის თასის დასრულების შემდეგ, თანამდებობიდან გადადგა ჰოლანდიელი **პიმ ვერბეკი**. შეგახსენებთ, რომ კორეელებს სხვადასხვა დროს **ანატოლი ბიშოვეცი**, **გუუს ჰიდინკი** და **დიკ ადვოკაატი** წვრთნიდათ. [illegible] სურთ აზიელებს, ეს საკითხის ერთი მხარე[illegible] მეორე მხარეც, ანუ ულიე და მაკარტი [illegible] „სქაი სპორტსთან“ საუბარში მოკლედ და კონკრეტულად განაცხადა, რომ არ სურს სამუშაოდ აზიაში წასვლა. რაც შეეხება ირლანდიის ნაკრების ყოფილ თავკაცს, „გარდიანისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან თქვა: „მოხიბლული ვარ იმით, რომ კონკრეტულ თანამდებობაზე ჩემი კანდიდატურა განიხილებოდა ისეთი დიდი მწვრთნელის პარალელურად, როგორიც ჟერარ ულიეა. ამის მიუხედავად, მე ყოველთვის აღვნიშნავ ხოლმე, რომ „ვულვერჰემპტონში“ ყველაფრით კმაყოფილი ვარ. მე დღეს ველაპარაკე კლუბის მესაკუთრეს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მას ჩემი დიდი იმედი აქვს.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. ოთხშაბათის მატჩები

# ნიურნბერგი, პირველად 1963 წლის შემდეგ

### A ჯგუფი

**ევერტონი–ზენიტი 1:0**

**ევერტონი:** ჰოვარდი, ბაინესი, ლესკოტი, ფ. ნევილი, არტეტა, კაჰილი, კარსლი, ჟაგიელკა, პიენაარი, ჯონსონი (81. ვოგანი), მაკფადენი (64. ანიჩებე).

**ზენიტი:** მალაფეევი, ანიუკოვი (78. ლი), კიმი, ლომბერტსი, შკრტელი, დომინგესი (46. გორშკოვი), შირლი, ტიმოშჩუკი, ზურიანოვი, არშავინი, პოგრებნიაკი (61. ჰაგენი).

**გოლი:** 1:0 კაჰილი (85)

*31-ე წუთზე არტეტამ ვერ გაიტანა პენალტი*

**გაძევება:** ლომბერტსი (30. ზენიტი)

**მაყურებელი:** 38 407

**ნიურნბერგი–ალკმაარი 2:1**

**ნიურნბერგი:** ბლაჟეკი, ბოშამი, რაინჰარდტი, ვოლფი, ენგელჰარდტი, გალაშეკი, კლუგე, ადლერი (61. საენკო), ბენკო (38. მინტალი), ხარისტეასი, მისიმოვიჩი (90. კრისტიანსენი).

**ალკმაარი:** ვატერმანი, იალიენსი, ოპდამი (73. კუნდერსი), პოკონიოლი, სტეინსონი, აგუსტიენი, კზიომერი (79. იენერი), დე ზეეუვი, მენდესი, დემბელე, პელე.

**გოლები:** 0:1 დე ზეეუვი (29), 1:1 მინტალი (83), 2:1 მინტალი (85)

**მაყურებელი:** 35 020

მიმომხილველთა გარკვეულ ნაწილს „ნიურნბერგზე" ხელი ჩაქნეული ჰქონდა, რადგან ფანკებს ორი თამაშიდან მხოლოდ ერთი ქულა ჰქონდათ მოპოვებული. „ალკმაართან" შეხვედრაში **ჰანს მაიერის** გუნდს აუცილებლად გამარჯვება სჭირდებოდა და აქვე იმასაც გეტყვით, რომ „რკინის ჰანსისთვის" მწვრთნელის რანგში ეს რიგით 75-ე მატჩი იყო ევროთასებზე. AZ 29-ე წუთზე **დე ზეეუვის** გოლით დაწინაურდა და უნდა ითქვას, რომ ჰოლანდიელები დამსახურებულად გავიდნენ წინ, რადგან პირველ ტაიმში მეტოქეზე უკეთ მომზადებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს. მეორე ნახევარში კი „ნიურნბერგმა" უდიდესი პროგრესი განიცადა და მეტოქეს რამდენჯერმე შტურმი მოუწყო. ბავარიელებმა თამაშის შემობრუნება მატჩის მიწურულს მოახერხეს: **მარეკ მინტალმა** ჯერ ანგარიში გაათანაბრა (83-ე წუთზე), მერე კი, ზუსტად ორ წუთში გამარჯვების გოლი გაიტანა და FCN-ს უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოუტანა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო „ნიურნბერგის" პირველი საშინაო გამარჯვება ევროთასებზე 1963 წლიდან! მაიერის შეგირდები ბოლო ტურში ჯგუფის აუტსაიდერ „ლარისას" ესტუმრებიან, რომელიც ამ ტურში ისვენებდა და რომელსაც ქულა არ აქვს. გამარჯვების შემთხვევაში, ფრანკები ჯგუფიდან გავლენ.

A ჯგუფის მეორე შეხვედრაში „ევერტონმა" რუსეთის ჩემპიონ „ზენიტს" უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით დაამარცხა, რითაც ინგლისელებმა მესამე თამაშიც მოიგეს და არა მხოლოდ ჯგუფიდან გასვლა, არამედ პირველი ადგილიც გაინაღდეს. **დიკ ადვოკაატის** გუნდის კარში ერთადერთი გოლი **ტიმ კეჰილმა** 85-ე წუთზე გაიტანა. აღსანიშნავია, რომ 30-ე წუთიდან „ზენიტი" კაცნაკლული თამაშობდა, რადგან მსაჯმა მოედნიდან **ლომბერტსი** გააძევა, რომელმაც საჯარიმოში ხელით ითამაშა, **არტეტამ** კი პენალტი ვერ გამოიყენა (ააცილა). ამრიგად, „ზენიტი" საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია – ადვოკაატის გუნდმა 5 ქულა დააგროვა, რაც იმას ნიშნავს, რომ პეტერბურგელთა ბედი მათსავე ხელში აღაარაა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ევერტონი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| 2. ზენიტი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-6 | 5 |
| 3. ალკმაარი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 4. ნიურნბერგი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| 5. ლარისა | 3 | 0 | 0 | 3 | 3-7 | 0 |

### B ჯგუფი

**კოპენჰაგენი–ატლეტიკო 0:2**

**კოპენჰაგენი:** კრისტენსენი, გრავგაარდი, ჰანგელანდი, იენსენი, ვენდტი, ჰატჩინსონი (83. იორგენსენი), კვისტი, ნორეგაარდი, ვიურტცი (54. ზიონკო), ოლბაკი, ნორდსტრანდი (53. ალმეიდა).

**ატლეტიკო:** აბიატი, ანტონიო ლოპესი, ელერი, პაბლო, პერნია, კლებერი (73. მანიშე), ლუის გარსია, მოტა, სიმაო (67. მაქსი როდრიგესი), აგუერო, ფორლანი (72. რაულ გარსია).

**გოლები:** 0:1 სიმაო (21), 0:2 აგუერო (62)

**მაყურებელი:** 33 034

**პანათინაიკოსი–ლოკომოტივი 2:0**

**პანათინაიკოსი:** გალინოვიჩი, ფისასი, მორისი, სარიეგი, ვინტრა, დიმუცოსი (66. კარაგუნისი), ჟუნიორი, რომერო (82. ნინისი), ციოლისი, ნდოიე (63. სალპინგიდისი), პაპადოპულოსი.

**ლოკომოტივი:** პელიცოლი, ასათიანი, გურენკო, ივანოვიჩი, სენიკოვი, იანბაევი, ბილიალეტდინოვი, მამინოვი (82. ფომინი), სამედოვი (64. კუზნეცოვი), კოჩიში, ტრაორე (86. კორჩაგინი).

**გოლები:** 1:0 სალპინგიდისი (70), 2:0 სალპინგიდისი (74)

**მაყურებელი:** 7 013

ჯგუფის ლიდერმა „პანათინაიკოსმა" მოსკოვის „ლოკომოტივს" უმასპინძლა. მართალია, ბერძნებს „აბერდინისა" და „კოპენჰაგენის" დამარცხებით ჯგუფიდან გასვლა უკვე განაღდებული ჰქონდათ, მაგრამ არც „ლოკომოტივთან" მოეშვნენ და ზედიზედ მესამე თამაში მოიგეს, **მალხაზ ასათიანის** გუნდი კი ჯგუფში ჩატოვეს. პანათინაიკოსის გამარჯვება შეცვლაზე შესულმა **სალპიგიდისმა** განაპირობა, რომელმაც მოსკოველთა კარი 70-ე და 74-ე წუთებზე დალაშქრა.

დანიურმა „კოპენჰაგენმა" კი შინ მადრიდის „ატლეტიკოსთან" წააგო, რითაც ჯგუფიდან გასული მეორე გუნდის ვინაობა გაარკვია: მადრიდელებიც 1/16 ფინალში არიან. „ატლეტიკოს" გამარჯვება **სიმაომ** და **აგუერომ** მოუტანეს. ამ ჯგუფს ბოლო ტურის წინ ერთადერთი ინტრიგა შერჩა: 20დეკემბერს „აბერდინი", რომელიც ამ ტურში ისვენებდა, „კოპენჰაგენს" უმასპინძლებს და სწორედ ეს შეხვედრა გაარკვევს ჯგუფიდან გასული მესამე გუნდის ვინაობას. „აბერდინს" მხოლოდ მოგება დააკმაყოფილებს, დანიელებს კი ფრეც ეყოფათ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-0 | 9 |
| 2. ატლეტიკო | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 3. კოპენჰაგენი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-3 | 3 |
| 4. ლოკომოტივი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-7 | 2 |
| 5. აბერდინი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |

### C ჯგუფი

**მლადა–აეკ 0:1**

**მლადა:** პიზანოვსკი, კოპიჩი, პროჰაზკა, ჰრდლიჩკა, მატეიოვსკი, რაინოხი, ვორიშეკი, კისელა (63. ვანეჩეკი), მენდი, რეზნიჩეკი (53. ტაბორსკი), სედლაჩეკი (76. ჰოლუბი).

**აეკ:** მორეტო, არუაბარენა, დელასი, ჟერალდო, რამოსი, ნსალივა, რივალდო (89. პაცაცოპულოსი), ტოშერი, ბლანკო (46. მანდუკა), ლიბეროპულოსი, მანუ (75. ჟულიო სეზარი).

**გოლი:** 0:1 ნსალივა (46)

**მაყურებელი:** 4 670

**ვილიარეალი–ელფსბორგი 2:0**

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ანხელი, კაპდევილია (75. ხავი ვენტა), სიგანი, გოდინი, ფერნანდესი, მავუბა, კასორლა, სენა (78. ბრუნო), ნიჰატი (69. ფრანკო), ტომასონი.

**ელფსბორგი:** ვილანდი, ანდერსონი, აუგუსტსონი, ფლორენი, მობეკი, ბახრამი, იშიზაკი, ა. სვენსონი, ავდიჩი (90. კარლსონი), კინი (90. ბერგლუნდი), მ. სვენსონი (85. ოლანდერი).

**გოლები:** 1:0 ტომასონი (2), 2:0 ტომასონი (51)

*88-ე წუთზე ტომასონმა ვერ გაიტანა პენალტი*

**მაყურებელი:** 10 000

მე-4 ტურმა C ჯგუფიდან გასული ერთი გუნდის ვინაობა გაარკვია: ესპანურმა „ვილიარეალმა" **იონ დალ ტომასონის** დუბლის წყალობით ბოლოადგილოსანი "ელფსბორგი" 2:0 დაამარცხა და ჯგუფიდან გასვლა გაინაღდა. წარმატების გზას ადგას ბერძნული აეკ-იც, რომელიც საბერძნეთის ჩემპიონატში ლიდერობს და საქმეები უეფას თასზეც კარგად წაუვიდა. ელადელებმა სტუმრად ჩეხური „მლადა" დაამარცხეს (1:0) და ეს ერთადერთი გოლი **ტამადანი ნსალივამ** გაიტანა. ამრიგად, აეკ-მა მესამე ადგილზე აინაცვლა და ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი აქვს. თანაც, ბოლო ტურში ბერძენი „ვილიარეალს" მასპინძლობენ, რომელიც უმოტივაციო იქნება. ფლორენციის „ფიორენტინას" კი, რომელიც ამ ტურში ისვენებდა, ბოლო ტურში ჯგუფიდან გასასვლელად საკუთარ მოედანზე „მლადასთან" ფრეც ეყოფა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვილიარეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 2. ფიორენტინა | 3 | 1 | 2 | 0 | 8-3 | 5 |
| 3. აეკ | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 4. მლადა | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| 5. ელფსბორგი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-12 | 1 |

### D ჯგუფი

**ბაზელი–ბრანი 1:0**

**ბაზელი:** კოსტანცო, მაისტროვიჩი, მარკე, კ. ნაკატა, ზანი, კაისედო (68. დეგენი), კარლიტუში, ერგიჩი, ჰუგელი, დერდიოკი, ედუარდო და სილვა.

**ბრანი:** ოპდალი, ბიარნასონი, კორალესი (46. ბიორნსონი), დალი, ჰანსტვეიტი, გუნტვეიტი (51. სიოჰაგე), ჰუსეკლეპი, მუნი, სოლი, ჰელსტადი, კარადაში.

**გოლი:** 1:0 კარლიტუში (40)

**მაყურებელი:** 13 731

**დინამო (ზ)–ჰამბურგი 0:2**

**დინამო:** კოხი, კალე, კარლოსი, დრპიჩი, ეტო, სამირი (76. ვრდოლიაკი), მოდრიჩი, პოკრივაცი (90. სოკოტა), ვუკოიევიჩი, ბალაბანი (58. ტადიჩი), მანძუკიჩი.

**ჰამბურგი:** როსტი, ატუბა, ბოატენგი, კომპანი, მატიისენი, რაინჰარდტი, დე იონგი, იაროლიმი, ვან დერ ვაარტი (89. ტროხოვსკი), კასტელენი (76. დემელი), ოლიჩი (84. ჩუპომოტინგი).

**გოლები:** 0:1 დე იონგი (88), 0:2 ტროხოვსკი (90-პენ)

**მაყურებელი:** 27 000

„ჰამბურგს" ზაგრებში „დინამოსთან" ჯგუფიდან გასასვლელად ფრეც ეყოფოდა, მაგრამ **ჰუუბ სტევენსის** გუნდმა უდიდესი მონდომებით ითამაშა და 2:0 გაიმარჯვა, რითაც ჯგუფში ლიდერობა განიმტკიცა. HSV-მ 90 წუთის განმავლობაში დისციპლინირებული და ჭკვიანური ფეხბურთი აჩვენა, თუმცა გვიანი გოლებით მოიგო: ანგარიში 87-ე წუთზე **ნაიჯელ დე იონგმა** გახსნა და საბოლოო ანგარიში მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე **პიოტრ ტროხოვსკიმ** (პენალტით) დააფიქსირა. აღსანიშნავია, რომ ხორვატებს მთელი მატჩის განმავლობაში ერთი რეალური საგოლე მომენტიც კი არ ჰქონიათ.

„ჰამბურგთან" ერთად ჯგუფიდან გასვლა გაინაღდა „ბაზელმაც" – შვეიცარიელებმა „ბრანი" დაამარცხეს (1:0). „ბაზელს" 7 ქულა აქვს და არანაირი საფრთხე აღარ ემუქრება. 20 დეკემბერს „ჰამბურგი" და „ბაზელი" ერთმანეთს დაუპირისპირდებიან და პირველ ადგილზე გასული გუნდის ვინაობას გაარკვევენ. „ბრანმა" ყველა თამაში ჩაატარა, 4 ქულა დააგროვა და მესამე, ანუ ჯგუფიდან გამსვლელ ადგილზე, მაგრამ ბოლო ტურში ნერვიულობა მოუწევს, რადგან „რენს" და ზაგრების "დინამოს" თითო ქულა აქვთ და ისინი ერთმანეთს ხვდებიან. შესაბამისად, „ბრანის" ფეხბურთელებმა იმაზე უნდა იოცნებონ, რომ ის თამაში ფრედ დასრულდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰამბურგი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-0 | 9 |
| 2. ბაზელი | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| 3. ბრანი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 4. დინამო | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| 5. რენი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

*უეფას თასის წუხანდელი მატჩების შედეგები იხილეთ მე-16 გვერდზე*



მარეკ მინტალმა (მარცხნივ) ალკმაარს დუბლი შეუსრულა

## მანჩინი გაკვირვებულია

მილანის „ინტერის" მთავარმა მწვრთნელმა **რობერტო მანჩინიმ** „ლაციოსთან" სერია ა-ს გამოტოვებული მატჩის მოგების შემდეგ აღნიშნა, რომ მისმა გუნდმა თამაშის ხალისი მხოლოდ მატჩის მე-10 წუთზე, მას შემდეგ გამოავლინა, რაც პირველი გოლის გატანა მოახერხა მეტოქის კარში. იქამდე კი, ის აღფრთოვანებული დარჩენილა „ლაციოს" ფეხბურთელთა გარჯით. ამას გარდა იტალიის ჩემპიონთა მწვრთნელმა გააკრიტიკა გადაწყვეტილება, რის თანახმადაც, მატჩის დასრულების შემდეგ ფეხბურთელებმა ერთმანეთს ხელი აუცილებლად უნდა ჩამოართვან: *„ვთვლი, რომ ეს ჟესტი ნებაყოფლობითი უნდა იყოს. ასე ვთქვათ, სპონტანური. დიდი ხანია, რაც რაგბიში მსგავსი პრაქტიკაა დანერგილი, თუმცა მაინც ვთვლი, რომ ფეხბურთში ამის საჭიროება არ არსებობს."*

## ბექჰემი ინგლისელთა სახე გახდება

„დეილი ექსპრესის" ცნობით, ინგლისის ნაკრებისა და „ლოს ანჯელეს გელაქსის" ნახევარმცველი **დევიდ ბექჰემი** 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგანაცხადო ჯგუფის სახე გახდება. იდეა დიდი ბრიტანეთის სპორტის საქმეთა მინისტრ **რიჩარდ კებორნს** ეკუთვნის. „გალაქტიკომ" თანხმობა უკვე განაცხადა. „2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის განაცხადს ფიფა-ში მე წარვადგენ. რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებ, იმისთვის რომ უდიდეს ფორუმს ჩემმა სამშობლომ უმასპინძლოს," - განაცხადა მან.

## ვაგნერმა ვარჯიშზე უარი განაცხადა

12 დეკემბერს, ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელი ტურის მატჩში მოსკოვის ცსკა თურქულ „ფენერბაჰჩეს" სტამბულში შეხვდება. მოგეხსენებათ, რუსეთის ჩემპიონატი დასრულებულია, ამიტომ ფორმის შესანარჩუნებლად მოსკოველები შეკრებას საბერძნეთში მართავენ. იქ გუნდი 11 რიცხვამდე დარჩება. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, იქამდე ვიდრე გუნდის ბრაზილიელმა ლიდერმა **ვაგნერ ლავმა** ცსკა-ს შემადგენლობაში ვარჯიშზე უარი არ განაცხადა, მან ყოველგვარი კომპრომისი უარყო და კატეგორიული ტონით მოითხოვა ზამთარში მისი ტრანსფერზე დაყენება. მსგავსი მოულოდნელი დემარშის შემდეგ **ვალერი გაზაევი** იძულებული გახდა ფეხბურთელი შეკრებიდან დაეთხოვა. ბრაზილიელმა დაუყოვნებლივ მიაშურა ალექსანდრუპოლის აეროპორტს, საიდანაც მოსკოვს მიაშურა. სავარაუდოდ მისი მსურველი გუნდების სია მალე უნდა გაცხადდეს. არ გვგონია, არმიელებმა ამ ინციდენტის შემდეგ მასთან თანამშრომლობის გაგრძელება ისურვონ.

## პისაროს ნაკრებიდან მოკვეთა ემუქრება

პერუს ფეხბურთის ფედერაციამ გამოძიება დაიწყო. საქმე ეხება მუნდიალის ბოლო შესარჩევ მატჩს, რომელშიც პერუელებმა ეკვადორთან დიდი ანგარიშით წააგეს, 1:5. ჟურნალისტების მტკიცებით, თამაშის წინა დღეებში ნაკრების ბანაკი გასართობ ცენტრად იყო ქცეული. ფეხბურთელები დისციპლინას საერთოდ 'არ იცავდნენ. ისინი მოახლოებულ თამაშზე არცკი ფიქრობდნენ. ერთ-ერთი ყველაზე უდისციპლინო „ჩელსის" ვარსკვლავი **კლაუდიო პისარო** იყო. ფედერაციის პრეზიდენტმა **ხუვენალ სილვამ** განაცხადა, რომ მომხდარს დეტალურად შეისწავლის. თუ გაზეთებში გამოქვეყნებული ფაქტები დადასტურდება, დამნაშავეები ვლარასოდეს მოირგებენ ეროვნული გუნდის მაისურს.

სპეკულაციები

# ლივერპულმა კაპელო უარყო

„ლივერპულის" პრესსამსახურმა გაავრცელა კლუბის ხელმძღვანელობის ოფიციალური განცხადება, სადაც კატეგორიულადაა უარყოფილი ჭორები იმის თაობაზე, თითქოს ისინი „რეალის" ყოფილ დამრიგებელ **ფაბიო კაპელოს რაფაელ ბენიტესის** სავარაუდო შემცვლელად განიხილავდნენ. კაპელოს თემა ინგლისში ძალიან პოპულარულია, ის **სტივ მაკლარენის** მემკვიდრედაც აქტიურად სახელდება. სახელოვანი იტალიელი ივლისის შემდეგ უმუშევარია და აქედან გამომდინარე მისი სახელის გარშემო ჭორების გავრცელებას ნოყიერი ნიადაგი აქვს.

რაც შეეხება ბენიტეს, მისი აბარგების შესახებ საუბრობენ მას შემდეგ, რაც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ მასა და კლუბის ხელმძღვანელებს, **ჯორჯ ჟილეტსა** და **ტომ ჰიკსს,** შორის გარკვეულ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი. რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მხარეებმა გაუგებრობებს წერტილი საბოლოოდ დაუსვეს, მაგრამ ბრიტანული პრესა არ ცხრება და სკანდალს ხელახლა აღვივებს. *„კაპელოსთან კონტაქის დამყარება არც ჩვენ გვიცდია და არც იტალიელს გამოუხატავს ამის სურვილი,"* - განაცხადა კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა **რიკ პერიმ** გაზეთ „ლივერპულ ექოსთან" საუბარში.

გამოკითხვა

# ჟურნალისტებმა დროგბა აირჩიეს

ლონდონის „ჩელსის" თავდამსხმელმა **დიდიე დროგბამ** და მეკარე **პეტრ ჩეხმა** სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაცია AIPS-ის პრიზები მიიღეს, როგორც წლის საუკეთესო ფორვარდმა და გოლკიპერმა. აღნიშნული პრიზები ფეხბურთელებმა „ჩელსისა" და „ვესტ ჰემის" მატჩის დაწყებამდე მიიღეს. *„ეს ფანტასტიკაა. დაიმსახურო ამხელა დაფასება საერთაშორისო პრესისგან, ეს დიდი საქმეა, რადგან სწორედ ისინი არიან ჩვენი ყველაზე მკაცრი კრიტიკოსები"*. მეგობრის სიტყვას პიოტრ ჩეხმა დაამატა, რომ: *„ყოველთვის სასიამოვნოა პრიზების მიღება, მაგრამ ეს განსაკუთრებულია. რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენი კარგი თამაში პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში შეუმჩნეველი არავის დარჩენია."* AIPS-ის პრეზიდენტმა **ჯანი მერლომ** კი განაცხადა: „ჩვენ ორგანიზაციის წევრები წელიწადში 365 დღე ფეხბურთზე წერენ. ეს უნიკალური პრიზია, რადგან მთელ მსოფლიოში მომოფანტული პროფესიონალი ჟურნალისტების ნააზრევს გადმოსცემს." რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულისთვის იბრძოლებენ. ესენი არიან, რა თქმა უნდა, დიდიე დროგბა, **ემანუელ ადებაიორი** (არსენალი), **მიკაელ ესიენი** (ჩელსი), **სამუელ ეტოო** (ბარსელონა), **ფრედერიკ კანუტე** (სევილია).

ამასობაში „ტაიმსის" ცნობით, დიდიეს დიდი ხნით უფეხბურთოდ დარჩენა ემუქრება. ორიოდე დღის წინ მას რენტგენის სურათი გადაუღეს, რამაც ფეხბურთელს მუხლზე მენისკის საკმაოდ მძიმე ფორმა აღმოუჩინა. მას დაუყოვნებლივ გაუკეთებენ ოპერაციას თუ შობის დღესასწაულებამდე მოიცდიან, ამ დღეებში გაირკვევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაწყობილი თამაშები

# ბინძური ფეხბურთი

## საეჭვო მატჩების სიაში: პანიონიოსი-დინამო და ტობოლი-ზესტაფონი

**გასული უქმეების შემდეგ უეფა ახალი სკანდალის გამოძიებით დაკავდა: ისევ ჩაწყობილი თამაშები. თანაც, ევროპის საფეხბურთო ასოციაციას ამჯერად გაცილებით მასშტაბურ სკანდალთან აქვს საქმე. ნიონში, სადაც უეფას შტაბ-ბინაა, გამოძიება სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს. და რაც ყველაზე სამწუხაროა, გერმანული პრესის ცნობით, სპორტული პოლიცია პანიონიოსი-დინამოს (5:2) მატჩის შემდეგ, „ტობოლი"-„ზესტაფონის" ორრაუნდიანი დაპირისპირების გამოძიებასაც შეუდგა. როგორც გახსოვთ, ყაზახურმა კლუბმა „ზესტაფონს" პირველი თამაში 3:0 მოუგო, საპასუხო შეხვედრაში კი, ქართულმა კლუბმა 2:0 გაიმარჯვა, რის შედეგადაც მომდევნო ეტაპზე ყაზახები გავიდნენ...**

ტოტალიზატორი რომ ფეხბურთს აბინძურებს, ეს არავისთვის აღარ წარმოადგენს საიდუმლოს და არც იმაში შეაქვს ვინმეს ეჭვი, რომ საბუკმეკერო კანტორების გამო უამრავი მატჩის „ჩაწყობა" ხდება. უეფა ამ ტენდენციას ებრძვის, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ყველა შეხვედრის გაკონტროლება შეუძლებელია. შესაბამისად, ფაქტობრივად ერთადერთი შანსი, რომ რომელიმე შეხვედრის „ჩაწყობის" ამბავი გამოაშკარავდეს, ისევ და ისევ ტოტალიზატორია, საიდანაც ინფორმაცია უნდა წამოვიდეს, რის შემდეგაც ესა თუ ის მატჩი გადამოწმდება.

გასული უქმეების შემდეგ უეფა 15 მატჩის განხილვას შეუდგა. საეჭვო თამაშებს შორისაა ჩემპიონთა ლიგის, უეფას თასის, ინტერტოტოს თასის და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შეხვედრები. უეფაში საეჭვო შეხვედრებს არ აკონკრეტებენ, თუმცა ინფორმაციამ გარკვეული დოზით მაინც გაჟონა.

უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** აცხადებს, ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ ფაქტები დეტალურად გამოაშკარავდეს და დამნაშავეები მკაცრად დაისაჯონო. პლატინი ახალ სკანდალს ერთგვარ გამოცდას უწოდებს – გამოცდას, რომელიც ევროპულმა ფეხბურთმა წარმატებით უნდა ჩააბაროს. *„ჩვენ ყველანი დაინტერესებულები უნდა ვიყოთ იმით, რომ ყველაფერი გაირკვეს. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ „მათ" ფეხბურთის დაბინძურება ვერ შეძლონ, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ აბსოლუტურად ყველა კლუბი მხარში ამოგვიდგეს. ეს კი, როგორც ჩანს, წარმოუდგენელია, რადგან ამ საქმეში თვითონ საფეხბურთო კლუბებიც აქტიურად არიან ჩართულები და მეტიც, ზოგიერთი კლუბი სწორედ იმისთვის არსებობს, რომ მანიპულაციების გზით ფული იშოვოს. პირობას ვდებ, რომ თუ ასეთ კლუბს აღმოვაჩენთ, ძალიან მკაცრად დავსჯით,"* – აცხადებს უეფას პრეზიდენტი.

ევროპის ჩემპიონატს ამ მხრივ არანაირი საფრთხე არ ემუქრება, რადგან ევრო 2008-ზე კონტროლი იმდენად დიდი და საიმედოა, რომ საეჭვო ძალები ასეთ დიდ ტურნირზე მანიპულირებას ვერ გაბედავენ. ასეთი ძალები უმეტესად დაბალი რეიტინგის მქონე მატჩებზე მუშაობენ, რათა ყურადღება არ მიიქციონ. უეფას მესვეურების თქმით, სპორტული პოლიცია აქცენტს სამხრეთ-აღმოსავლურ და აღმოსავლურ ქვეყნებზე გადაიტანს, რადგან მანიპულაციების უდიდესი ნაწილი სწორედ ამ ქვეყნებში ხდება. აქტუალური მდგომარეობით, შემოწმებას შემდეგი ქვეყნების კლუბები გაივლიან: ბულგარეთი, **საქართველო**, სერბეთი, ხორვატია და ბალტიისპირეთის ქვეყნები. როგორც ხედავთ, ამ სიაში საქართველო ცალკეა ნახსენები, რაც იმას უნდა მივაწეროთ, რომ უეფას ჩვენს შემთხვევაში კონკრეტული ფაქტები აქვს. ეს არ არის პირველი აქცია კორუფციის წინააღმდეგ, რომელსაც უეფა ატარებს და ამრიგად, ძალიან საეჭვოა, რომ ამ აქციამ სასურველი შედეგი გამოიღოს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ დამნაშავეების დასჯაც დიდი საქმე იქნება.

■ ■ ■

ახლა კი კონკრეტიკაზე გადავიდეთ და ვენდოთ ჩვენს გერმანელ კოლეგებს, რომლებიც კონკრეტული მატჩების ჩამონათვალს სანდო წყაროებიდან გვთავაზობენ. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა უეფას თასის საკვალიფიკაციო მატჩია გერმანული კლუბის მონაწილეობით: „ჰამბურგი"-„ჰონვედი" (ბუდაპეშტი). პირველი დაპირისპირება ბუდაპეშტში 0:0 დასრულდა, საპასუხო მატჩი კი, HSV-მ 4:0 მოიგო.

„თაგესშპიგელის" ინფორმაციით, ბერლინში დიდი თანხები დაიდო იმაზე, რომ „ჰამბურგი" ამ შეხვედრას დიდი ანგარიშით, მინიმუმ სამბურთიანი სხვაობით მოიგებდა. პირველი ტაიმი ჩრდილოგერმანულმა კლუბმა 2:0 მოიგო და საეჭვოც სწორედ ის არის, რომ 50-ე წუთზე სტუმართა ფეხბურთელმა **მიჩო სმილიანიჩმა** ერთობ კურიოზული ავტო-გოლი გაიტანა: **ტიმოთი ატუბას** ჩაწოდება **პაულო გერეროსკენ** იყო მიმართული, მაგრამ სმილიანიჩმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. მეოთხე გოლი კი, ჰამბურგელებმა მსაჯის მიერ დამატებულ პირველ წუთზე გაიტანეს. მას მერე, რაც გაირკვა, რომ ბერლინში „ჰამბურგის" დიდი ანგარიშით მოგებაზე დიდი თანხები იდებოდა, უნგრელი ფეხბურთელის ავტოგოლმა ამ შეხვედრაზე ეჭვები კიდევ უფრო გააძლიერა. ამ თამაშის შესახებ უეფას ლონდონელმა ბუკმეკერებმაც მიმართეს.

უეფას ერთ-ერთმა წარმომადგენელმა „თაგესშპიგელს" დაუდასტურა, რომ ამ შეხვედრის გარშემო ეჭვები გაჩნდა და გარდა ამისა, კიდევ ერთი საეჭვო თამაშის შესახებაც ისაუბრა. ესეც უეფას თასის საკვალიფიკაციო შეხვედრაა, რომელშიც ერთმანეთს ბულგარული „ჩერნო მორე" და მაკედონიური „სკოპიე" დაუპირისპირდნენ.

„შპიგელის" ინფორმაციით, საეჭვო მატჩების რაოდენობა ამ დღეებში 15-დან 26-მდე გაიზარდა. კონკრეტულად კი, საქმე ეხება უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის 12 მატჩს, ინტერტოტოს თასის 8 მატჩს, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის 3 შეხვედრას, უეფას თასის ჯგუფური ეტაპის 2 თამაშს და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ერთ მატჩს.

„თაგესშპიგელი" კი წერს, რომ საეჭვო მატჩების სიაშია ინტერტოტოს თასის მატჩი სარაევოს „სლავიასა" და ანდორის „სტ. ჯულიას" შორის. ანდორულმა კლუბმა ორივე თამაში 2:3 დათმო, მაგრამ ძალიან გასაკვირი იყო ის, რომ ანდორელებმა ორი მატჩის ჯამში 4 გოლის გატანა მოახერხეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპის ტოტალიზატორთა უმრავლესობამ ეს შეხვედრა პროგრამიდან ამოიღო. ბერლინის ერთ-ერთ ტოტალიზატორში კი აცხადებენ, რომ ძალიან საეჭვო იყო „სარაევოს" მომდევნო მატჩიც რუმინულ „ოტელულთან".

სწორედ ბერლინში ალაპარაკდნენ „ტობოლისა" და „ზესტაფონის" ორრაუნდიან დაპირისპირებაზეც, რის შემდეგაც, „თაგესშპიგელის" ცნობით, ამ მატჩმა უეფას საეჭვო შეხვედრების სიაში გადაინაცვლა. უშუალოდ ბერლინში ამ წყვილის პირველ მატჩზე დიდი თანხები დაიდო იმაზე, რომ „ტობოლი" ამ თამაშს მინიმუმ სამბურთიანი სხვაობით მოიგებდა, რასაც საკმაოდ მაღალი კოეფიციენტი ჰქონდა. როგორც იცით, „ტობოლმა" 3:0 გაიმარჯვა. საეჭვო თამაშების სიაშია მაკედონიური „რაბოტნიჩკისა" და ბოსნიური „მოსტარის", ასევე, „ჰაიფასა" და „ბისტრიცას" (რუმინეთი) შეხვედრებიც.

როგორც ირკვევა, მანიპულაციებში უმეტეს წილად მსაჯებიც აქტიურად მონაწილეობენ, თუმცა ეს სიახლეს არ წარმოადგენს – მატჩის მანიპულირებისთვის მსაჯების მოსყიდვა ხომ ერთ-ერთი ყველაზე აპრობირებული მეთოდია. უეფას თვალთახედვის არეში ერთი ასეთი შემთხვევაც მოხვდა: ევროტურნირის ერთ-ერთი მატჩის დროს, რომელიც ბელგრადში ტარდებოდა, დაახლოებით 15-20 კაცი ტრიბუნიდან მსაჯს უყვიროდა, რისთვის გადაგიხადეთ, გადაწყვეტილებები ჩვენი გუნდის სასარგებლოდ უნდა მიიღოო.

**გოტფრიდ ლენცი**




### ნიგერიული პრემია

აფრიკის ერთა თასის მოგების შემთხვევაში ნიგერიის ნაკრების თითოეულ ფეხბურთელს 49 ათასი დოლარი გადაეცემა. ეს გადაწყვეტილება ნიგერიელ ფეხბურთელთა პროფკავშირმა და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ერთობლივად მიიღეს. ტურნირი 20 იანვრიდან 10 თებერვლამდე გასტანს. ის განაში ჩატარდება. ნიგერიელებს კონტინენტის პირველობა ორჯერ აქვთ მოგებული. ჯგუფურ ეტაპზე მათი მეტოქეები კოტ დივუარი, მალი და ბენინი იქნებიან.

### კორინთიანსში მენეზეში დანიშნეს

სააგენტო „როიტერის" ცნობით, ბრაზილიურ „კორინთაინსში", ვინც სულ ცოტა ხნის წინათ ბრაზილიის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგიდან გავარდა, **მთავარ მწვრთნელად მანო მენეზეში** დაინიშნა. ამ მწვრთნელს ქვედა ლიგაში წარმატებული მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. შარშან მან ზედა დივიზიონში ასევე გაჭირვებული „გრემიო" ალაზევა და ახლა მზადაა, საკუთარი გმირობა კიდევ ერთხელ გაიმეოროს. დანიშვნის უმალ მანომ განაცხადა: *„მე სიხარულით დავთანხმდი ამ ძალიან დიდი კლუბის შემოთავაზებას. უმაღლეს ეშელონში აღზევება, ეს ჩვენი მიზანია."* მანომ „გრემიოში" 3 წელიწადი გაატარა, 2005 წელს ეს კლუბი ლიგაში მესამე ადგილას გავიდა, ხოლო უკვე 2006-ში მიზანი აისრულა. იმედია, სახელოვანი „კორინთიანსი" კრიზისს თავს მალე დააღწევს.

### რეინჯერსს დარშევილი გამოაკლდა

ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტ მატჩში, გლაზგოში, ერთმანეთს „რეინჯერსი" და „ლიონი" შეხვდებიან. ეს შეხვედრა მეორე ადგილოსნის ბედს გადაწყვეტს. ასეთ მნიშვნელოვან დაპირისპირებაში გლაზგოელებს ფრანგი ფორვარდი ჟან-კლოდ დარშევილი დააკლდებათ. „ბორდოს" ყოფილმა ფორვარდმა შოტლანდიის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში „კილმარნოკის" წინააღმდეგ ბარძაყი დაიზიანა.

### სოშოს ფრო მოისურვა

„სოშოს" პრეზიდენტმა **ჟან-კლოდ პლესიმ** პირადად გამოხატა პსჟ-ს ფორვარდის **პიერ-ალან ფროს** გადაბირების სურვილი. მან ამის თაობაზე რადიო რტლ-თან ინტერვიუში განაცხადა. საფრანგეთის თასის მფლობელთა ბოსმა ისიც განმარტა, რომ მისი განზრახვის შესახებ უკვე ესაუბრა პარიზელ კოლეგა **ალენ კაიზაკს**. 27 წლის ფეხბურთელს „სოშოში" უკვე უთამაშია, 1997-2004 წლებში. პიერ-ალანის სამსახურით დაინტერესებულნი არიან ასევე „ტულუზი" და „ლანსი".

### მიკაელ პაჟისი ჩარლტონში?

როგორც გაზეთი „ეკიპი" გვაუწყებს, „ჩარლტონ ატლეტიკი" „რენის" ფორვარდ **მიკაელ პაჟისის** გადაბირებითაა დაინტერესებული. „მარსელის" ყოფილი ფორვარდი სხვა კლუბების ყურადღების ცენტრშიცაა მოქცეული. კერძოდ, მისი შეძენის სურვილი გამოთქვა საფრანგეთის პრემიერდივიზიონის მეორე ლიგაში მოთამაშე „ნანტმა". ვეტერანმა ფორვარდმა ვერ მოახერხა ახალ კლუბთან შეწყობა. ის ძირითადის წევრად არ ითვლება. „რენის" ძირითად შემტევებად **სილვენ ვილტორი** და **ჯიმი ბრიანი** ითვლებიან, ამიტომ შედეგიც შესაბამისია - 10 თამაშში გატანილი 1 გოლი. ლაპარაკობენ, რომ ფეხბურთელი შეიძლება უკან, „მარსელში" დაბრუნდესო.

დოპინგი

# რომარიოს დასჯიან

„ვასკო და გამას" ფორვარდ **რომარიოს** ხანგრძლივი, დაახლოებით 4-თვიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. ამის მიზეზი შეიძლება გახდეს დოპინგ-ტესტის დადებითი პასუხი. 41 წლის ფეხბურთელს ბრაზილიის ჩემპიონატში ოქტომბრის ერთ-ერთი კალენდარული მატჩის შემდეგ ანალიზი გაუკეთეს. შედეგი შემაშფოთებელი იყო: მას სისხლში ფინასტერიდი აღმოუჩინეს. ეს პრეპარატი სტიმულატორი არაა. ის ძირითადად თმის ცვენის წინააღმდეგ გამოიყენება, მაგრამ ანტისადოპინგო კომიტეტის მიერ მაინც აკრძალული წამლების სიაშია შეტანილი. მიზეზი მარტივია: ფინასტერიდის დახმარებითაა ორგანიზმში ნანდროლონის კვალის დაფარვაა შესაძლებელი. განმეორებით ტესტზე რომარიომ უარი თქვა, რადგან გამოტყდა, რომ ამ ნივთიერებას სწორედ გამელოტების თავიდან ასაცილებლად იყენებდა. თუკი ამ პრეპარატის გამოყენების გამო დასჯილთა სიას თვალს გადავავლებთ, აღმოვაჩენთ, რომ ანტისადოპინგო კომიტეტი მათ წინააღმდეგ საკმაოდ მსუბუქ სანქციებს იყენებს. დასასრულს შეგახსენებთ, რომ რომარიო „ვასკო და გამის" მოთამაშე მწვრთნელია. 1994 წელს ფიფამ ის მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.

ფინანსური პრობლემა

# ლევანტეს ვალები დაუგროვდა

დრო გადის, მაგრამ „ლევანტეს" ფეხბურთელთა საბანკო ანგარიშები არანაირ ცვლილებას არ განიცდიან. გაირკვა, რომ ვალენსიური კლუბის ხელმძღვანელობა მოთამაშეებისთვის ხელფასების გადახდას ვერ ახერხებს. პრემიალურ თანხებზე ისედაც არ არის საუბარი, გუნდს მხოლოდ შვიდი ქულა აქვს და რა თქმა უნდა, დამატებითი ფულის მიღების ილუზია არავის აქვს. მართლაც რომელ პრემიაზეა საუბარი, როცა „ლევანტეს" ფეხბურთელები ხელფასების მიუღებლობით დაიღალნენ. მოთმინებამ ყველაზე ადრე **მუსტაფა რიგას** უმტყუნა და განელმა ნახევარმცველმა ნამდვილი სკანდალი მოაწყო:

*„დიდი ხანია, ხელფასი არ მიმიღია. გუნდის ფინანსური განყოფილება არაფერს მეუბნება, სამაგიეროდ ბანკიდან ყოველ დღე მირეკავენ და კრედიტის დასაფარავად და სხვადასხვა კომუნალური ხარჯებისთვის ფულის დროულად შემოტანას მთხოვენ. ძალიან მაინტერესებს, როგორ დავდო ანგარიშზე თანხა, როცა ხელფასს არ მიხდიან? იმედია, ყველა კარგად გამიგებს და მიხვდება, რა სატკივარიც მალაპარაკებს. ჩვენ ოჯახები გვყავს, ცოლები, შვილები. მშობლებს ვინახავთ და უცხოეთში იმისთვის წამოვედით, რომ ფული ვიშოვოთ. როცა პრობლემები ერთბაშად გიგროვდება და ათასგვარი თავსატეხი გიხვავდება, თითქმის შეუძლებელი ხდება, სრული კონცენტრაცია მოახდინო და გულმოდგინედ იმუშაო. პირადად მე, ვარჯიშისას თავში ერთადერთი ფიქრი მიტრიალებს, უხელფასობის პირობებში ოჯახის პრობლემები როგორ მოვაგვარო. იმედია, ხელმძღვანელობა გამოსავალს მალე მონახავს და კუთვნილ ფულს მოგვცემს. „ლევანტე" ურთულეს სიტუაციაშია ჩავარდნილი. ძალიან სამწუხაროა, რომ ამ სიტუაციაში არა ფეხბურთზე, არამედ ეკონომიკურ საკითხებზე გვიწევს საუბარი. გულშემატკივრებს ვთხოვ, დამიჯერონ, რომ ჩემი ბრალი არ არის. კვირა ისე არ ჩაივლის, ხელფასის მიღების პრობლემა არ შეგვექმნას. უკვე სოლიდური ვალი დაუგროვდათ. შემადგენლობაში არ არსებობს ფეხბურთელი, რომელიც „ლევანტეს" გადარჩენაზე არ ოცნებობდეს, მაგრამ საშუალება არ გვეძლევა მთელი ძალისხმევა ჩვენს საქმეს მოვახმაროთ, ძალაუნებურად მაინც გვიწევს პირად პრობლემებზე ფიქრი."*

როგორც ჩანს, „ლევანტე" გამოუვალ მდგომარეობაშია. გულშემატკივრებს იმედი ჰქონდათ, რომ იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნის შემდეგ შემადგენლობას გააძლიერებდნენ. მაგრამ რომელ ტრანსფერებზეა საუბარი, როცა ხელფასების გასტუმრებასაც ვერ ახერხებენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ რაულთან

# რეალი ჩემთვის ყოველდღიური სიხარული და სიამაყეა

## სამეფო კლუბის კაპიტანი 13 წლის განმავლობაში ერთხელაც არ დამთვრალა. ის ყველაზე ადრე იძინებს და ყველაზე ადრე იღვიძებს. მოკლედ, სამაგალითო მოთამაშეა...

რაული და ხენტო სამეფო კლუბის წარსულისა და აწმყოს სიმბოლოებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ორივე მათგანმა სრულიად სხვადასხვა ეპოქაში სამეფო კლუბის საამაყო ისტორია შექმნა. ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ყველა თაობის მოთამაშეთა საერთო ძალისხმევის ფასად ფიფამ „რეალი" მეოცე საუკუნის საუკეთესო გუნდად აღიარა. დრო გადის, მაგრამ მიზნები არ იცვლება. „რეალი" ყოველთვის მაქსიმალისტია და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ადრე მოპოვებული ტიტულები კიდევ არაერთხელ მოიპოვოს. ახალი ამბიციური მიზნების შესახებ რაულმა სანტიაგო ბერნაბეუს თასის შეხვედრის შემდეგ საპრესკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტების წინაშე ისაუბრა. შეკრებილი საზოგადოება კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ „რეალის" წარსულისა და აწმყოს ვარსკვლავებს გუნდის სიყვარული არაოდეს გაუნელდებათ. შესავალში ხენტო შემთხვევით არ გვიხსენებია. სენიორ პაკოს კლუბის ხელმძღვანელობამ მომპეზური ზეიმი მოუწყო. ამით ყველა ბედნიერი დარჩა, მათ შორის, რაულიც.



რაულ გონსალეს ბლანკო

**- შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შემდეგ ესპანეთის ჩემპიონატში სერიოზული პრობლემები გექმნებათ. არ გეშინიათ, რომ სანტიაგო ბერნაბეუს თასის შეხვედრის შემდეგ პრიმერადივიზიონური მატჩის მოგება გაგიჭირდებათ?**

- არა, ამის არ მეშინია. ჯერ ერთი, რომ სანტიაგო ბერნაბეუს თასის მოგება „რეალისთვის" პრესტიჟის საქმეა. ბედნიერი გახლავართ, რომ ჩვენ ეს შევძელით. „პარტიზანი" ტრადიციული, ბრძოლისუნარიანი და თავმოყვარე გუნდია. მათ საკმაოდ კარგად ითამაშეს, მაგრამ ჩვენ მაინც უკეთ ვიასპარეზეთ და 2:0 მოვიგეთ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შეხვედრის წინ პაკო ხენტოს პატივსაცემად ხელმძღვანელობამ საკმაოდ ლამაზი ღონისძიება გამართა. ამით კიდევ ერთხელ გაცხადდა, რომ სამეფო კლუბი საკუთარ გმირებს არ ივიწყებს. თქვენი კითხვის მეორე ნაწილს რაც შეეხება, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ სანტიაგო ბერნაბეუს თასი პრიმერა დივიზიონის მორიგი შეხვედრის მოგებაში ხელს არ შეგვიშლის. მზადება უკვე დავიწყეთ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ „ბილბაოს" მოვუგოთ. ეს არ იქნება იოლი. ბასკები „სან მამესზე" ყოველთვის სახიფათონი არიან, მაგრამ სამეფო კლუბს იქ არაერთი დაპირისპირება მოუგია. მჯერა, წელსაც გავიმარჯვებთ. ამის შემდეგ კი „ლაციოს" ვუმასპინძლებთ. რა თქმა უნდა, იტალიელებთანაც მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

**- პაკო ხენტოს აქტივში ექვსი ჩემპიონთა თასია. თქვენ კი ეს ჯილდო მხოლოდ სამჯერ მოიპოვეთ. როგორ ფიქრობთ, გაქვთ საიმისო შანსი, რომ ხენტოს გაუტოლდეთ?**

- გულწრფელად გეტყვით, ჩემპიონთა ლიგაში კიდევ სამჯერ გამარჯვება ძალიან ძნელი იქნება, თუმცა ძალღონეს არ დავიშურებთ. მე მჯერა ჩემი გუნდის და ზუსტად ვიცი, რომ „რეალს" შესწევს საიმისო უნარი, რომ ჩემი კარიერის დასრულებამდე ჩემპიონთა თასი სამჯერ მოიგოს. უდიდესი კონკურენციის გათვალისწინებით ბევრი რამ იღბალზეც იქნება დამოკიდებული. წელს მეათე თასის მოპოვებას შევეცდებით. ამ ტურნირს უპრეცედენტო პასუხისმგებლობით ვეკიდებით. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ძალიან დიდი კონკურენციის გადალახვა მოგვიწევს. ჩვენი მოწინაალმდეგეები ევროპის საუკეთესო კლუბებია. ფლეი ოფში კიდევ უფრო რთული შეხვედრები გაიმართება. მიუხედავად ყველაფრისა, ძალიან იმედიანად ვართ განწყობილები. „რეალის" უდიდესი ისტორია და ტრადიციები სხვა უფლებას არ გვაძლევს, ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ შემთხვევაში მხოლოდ პირველობისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ ნაკრებიდან ამოვარდნით, ძალიან ბევრი რამ დაკარგეთ?**

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩემი კლუბისთვის უწინდებურად ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელი ვარ. პრეზიდენტი და დირექტორატის უკლებლივ ყველა წევრი ყოველ დღე მაგრძნობინებენ, რომ ფუნდამენტურ როლს ვასრულებ. ნაკრებიდან ამოვარდნა, რა თქმა უნდა, ძალიან მტკივნეულია, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა მე აბსოლუტურად უძლური ვარ. გადაწყვეტილება მთავარმა მწვრთნელმა უნდა მიიღოს. ადრეც არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ლუის არაგონესს შემადგენლობის დაკომპლექტების ექსკლუზიური უფლება აქვს. რაულისთვის მეტისმეტად სამწუხაროა, რომ „სელექსიონში" დიდი ხანია აღარ თამაშობს, მაგრამ ის მართლაც ვერაფერს გააწყობს. ვნახოთ, ევროპის ჩემპიონატამდე ძალიან დიდი დროა დარჩენილი. არ გამოვრიცხავ, მანამდე რაიმე შეიცვალოს და ეროვნულ გუნდში დამაბრუნონ.

**- არაგონესი ახლა თქვენს შესახებ აგრესიულად აღარ საუბრობს. როგორ ფიქრობთ, ის მიხვდა, რომ რაულის იგნორირებით შეცდომა დაუშვა?**

- არ მახსენდება, სენიორ არაგონესს სადმე ეთქვას, შეცდომა დავუშვიო. რამდენიმე დღის წინ მოგახსენეთ, რომ დრო ყველას საკუთარ ადგილს მიუჩენს. ეს გარდაუვალი პროცესია. მოვლენათა განვითარებას უნდა დაველოდოთ.

**- „სანტიაგო ბერნაბეუზე" დაუმარცხებლად ასპარეზობთ. საინტერესოა, გასვლით შეხვედრებში რა გემართებათ?**

- მე არ მომიგონია, საყოველთაოდაა ცნობილი, რომ გასვლითი მატჩების მოგება ბევრად უფრო რთულია. განსხვავებას რამდენიმე გარემოება განაპირობებს. საშინაო შეხვედრებში შენი გულშემატკივრების წინაშე თამაშობ და ყველაფრის ბატონ-პატრონი ხარ. მადლობა ღმერთს, შარშანდლისგან განსხვავებით წელს ინჩასები გაცილებით უფრო კეთილგანწყობილები არიან. ხშირად გვაქვს შესაძლებლობა ვიხილოთ, თუ როგორ უჭირს ამა თუ იმ გრანდს სტუმრად თამაში. სეზონის დასაწყისში ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ბოლო დროს, განსაკუთრებით „მურსიის", „სევილიის", „ესპანიოლისა" და „ვერდერის" წინააღმდეგ სერიოზულ პრობლემებს გადავეყარეთ. ეს ალბათ, სანაკრებო პაუზის ბრალი იყო. ძალიან კარგი რიტმი გვქონდა, მაგრამ ნაკრებებიდან დაბრუნებული ფეხბურთელები დაღლილები იყვნენ და შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოამჟღავნეს. მიუხედავად ყველაფრისა, სამეფო კლუბი ლიდერია და უახლოეს მდევრებს ოთხი ქულით უსწრებს. სეზონის ამ ეტაპზე რა თქმა უნდა, ეს არ არის გადამწყვეტი უპირატესობა, მაგრამ მაინც სასიამოვნოა, რომ პირველები ვართ და არა მეორე ან მესამე.

**- ჩემპიონთა ლიგაში საკმაოდ ბევრი ქულა დაკარგეთ. როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი? იქნებ, უცხოურ კლუბებს „რეალი" ისე არ აშინებს, როგორც ესპანურ კოლექტივებს?**

- დიახ, ფაქტია, ქულები დავკარგეთ, მაგრამ „რეალი" ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტად რჩება. შიშს რაც შეეხება, ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი არ ეშინიათ. კარგად თუ დააკვირდებით, სამეფო კლუბის წინააღმდეგ ყოველთვის მინიმუმ ოთხი მცველით თამაშობენ და მათ დამატებით კიდევ ორ ნახევარმცველს ახმარენ ხოლმე. ყველამ იცის, რომ უდიდესი შემტევი პოტენციალი გვაქვს. ხშირად შემინიშნავს მეტოქეთა შეშინებული თვალები.

**- ძნელია „რეალის" შესახებ რაიმე ახალი თქვა, მაგრამ მაინც გკითხავთ. რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა სანტიაგო ბერნაბეუს თასის შეხვედრის წინ ხელმძღვანელობამ ხენტოს პატივსაცემად პომპეზური ღონისძიება მოაწყო...**

- რაიმე ახლის თქმა მართლაც ძალიან რთულია. ალბათ, არ არსებობს მაღალფარდოვანი სიტყვა, რომელიც „რეალის" მისამართით არ თქმულა. და მაინც, „რეალი" ჩემთვის ყოველდღიური სიხარული და სიამაყეა. ტანში ჟრუანტელი მივლის, როცა სათამაშოდ „სანტიაგო ბერნაბეუზე" გავდივარ. არადა, ერთი შეხედვით ალსაფრთოვანებელი არაფერია. მე ხომ უკვე ათ წელზე მეტია ვთამაშობ. ველარც კი დავითვლი რამდენჯერ გავსულვარ „ბერნაბეუზე". მიუხედავად ამისა, ყოველი ახალი მატჩი ნამდვილი დღესასწაულია. იმიტომ, რომ სამეფო კლუბი უდიდესი ადამიანების მიერ შექმნილი ცოცხალი ორგანიზმია. დიახ, ცოცხალი ორგანიზმი. მერე რა რომ ხენტო და კოპა ახლა აღარ თამაშობენ? მათი მაგია ისევ „ბერნაბეუზეა" და ჩვენ გვეხმარება, რომ დიდი გამარჯვებები მოვიპოვოთ. მერწმუნეთ, მართლაც ასეა. იგივე ზიდანი, ფიგუ, იერო, სანჩისი, ბუტრაგ[illegible], მიჩელი, პუშკაში [illegible] ყველა გენიალუ[illegible]ლებში ცხოვრებენ და უ[illegible] ძალას გვაძლევენ იმისათვის, რომ ი[illegible]რიულ შედეგებს მივაღწიოთ. გენიალური კლუბის კაპიტანი ვარ. შეუძლებელია, ამ გრძნობის სიტყვებით გადმოცემა. ღმერთს ყოველთვის მადლობას ვწირავ, რომ ამხელა პატივი მაღირსა. ყოველდღიურობა ზოგჯერ დიადი მოვლენის ბრწყინვალებას ჩრდილს აყენებს. არადა, რომ დავფიქრდე, მე ხომ ღვთაებრივი გუნდის, მისი უდიდებულესობა მადრიდის „რეალის" კაპიტანი ვარ."

**- ამასწინათ, სამეფო კლუბის შიდასამზარეულოდან ძალიან საინტერესო ინფორმაციამ გამოჟონა. ჩემთვის კარგად ნაცნობმა ადამიანმა მითხრა, რომ რაული მის მიერვე მოგონილი მეთოდებით ვარჯიშობს. როგორც ჩანს, საკუთარი მდგომარეობა არ გაკმაყოფილებთ და გსურთ, მომავალში კიდევ უფრო კარგად იასპაროთ.**

- ძალიან მაინტერესებს ვინ გამცა (იცინის). სერიოზულად თუ ვისაუბრებთ, მოგახსენებთ, რომ დასამალი არაფერი მაქვს. დიახ, ბოლო დროა ჩემი მეთოდებით ვვარჯიშობ. არ მინდა, იფიქროთ, რომ შუსტერის მითითებებს არ ვასრულებ. საუბარია, ინდივიდუალურ მზადებაზე. გუნდის ვარჯიშის დასრულების შემდეგ მოედანზე ვრჩები და სხვადასხვა სახის სავარჯიშოებს ვასრულებ. ხან დარტყმების დახვეწაზე ვმუშაობ, ხან საჯარიმოებს ვასრულებ. სხვათა შორის, რამდენჯერმე ბავშობის მეგობრები მოვიყვანე, რათა ცოცხალი კედლის ფუნქცია შეესრულებინათ. სიმულატორთან მუშაობა მომბეზრდა და მსურდა, ეგრეთ წოდებული ცოცხალი ვარჯიში ჩამეტარებინა. ვაკვირდებოდი, როდის ხტებოდნენ ისინი, რა სიმაღლეზე და ასე შემდეგ. ბუნებრივია, სიმულატორი საამისო საშუალებას არ მომცემდა.

**- ეს ყველაფერი თქვენი წარმატების საიდუმლოდ უნდა მივიჩნიოთ? ახლა უკვე გასაგებია, როგორ ახერხებთ 13 სეზონის განმავლობაში მოვლენათა ეპიცენტრში ყოფნას.**

- ბევრი რამ ერთმანეთს დაემთხვა. უფრო სწორად, ვცდილობდი საკითხს კომპლექსურად მივდგომოდი. მხოლოდ ვარჯიშით ძალიან შორს ვერ წახვალ. აუცილებელია სწორი კვება, სრულფასოვანი დასვენება, რეჟიმი, ანუ ადრე დაძინება და ადრე გაღვიძება. ახალგაზრდა კაცისთვის ეს ძალიან მოსაწყენია, მაგრამ პროფესიონალიზმი და ტრიუმფალური კარიერა ძალიან დიდ მსხვერპლს მოითხოვს. წარმოიდგინეთ, 17 წლის ვიყავი, როცა „რეალის" პირველ გუნდში მიმიწვიეს. ეს ის ასაკია, როცა მოზარდს თავში უქრის. სკოლის დამთავრების შემდეგ ყველა ალკოჰოლისკენ, სიგარეტისა და ქალებისკენ იყურება. ჩემთვის ასეთი ცხოვრება არ არსებობდა. ფაქტობრივად, ბავშვობიდან ფეხბურთელის უმკაცრესი რეჟიმით ვცხოვრობ. ბევრს უჭირს ახალგაზრდობაში უამრავ ცდუნებაზე უარის თქმა და კარიერას ილუპავს. შესაძლოა, მათ გართობა უფრო დიდ სიამოვნებასა და ბედნიერებას ანიჭებს. მე კი სავსე ტრიბუნების ხმაური და გოლის გატანისას განცდილი ბედნიერება ყველაფერს მირჩევნია. ერთი შეხედვით 13 წლის განმავლობაში ყველაფერი გავიღე რაც კი მებადა, მაგრამ ამ საქმეში ზღვარი უბრალოდ არ არსებობს. სანამ კარიერას არ დაასრულებ, არ უნდა გაჩერდე. ახლა 30 წლის ვარ, ჯან-ღონითა და ენერგიით დახუნძლული გახლავართ (იცინის). ფეხბურთიდან წასვლაზე კიდევ დიდ ხანს არ ვიფიქრებ. ამიტომ, მომიწევს ისევ ადრე დავიძინო და დილით ოჯახის ყველა წევრზე უფრო ადრე ავდგე (იცინის). შესაძლოა, არ დამიჯეროთ, მაგრამ ამ 13 წლის განმავლობაში ერთხელაც არ დავმთვრალვარ. მხოლოდ რამდენიმე ჭიქას ვსვამდი, ისიც შობაზე ან რომელიმე დიდ დღესასწაულზე. თავს არ ვიქებ, მაგრამ პროფესიონალები სწორედ ასე უნდა იქცეოდნენ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

LOYAL CAPITAL group
ქვარციტი QUARTZITE
BTA Silk Road Bank



ინტერვიუ მამუკა გორგოძესთან

# ჩელენჯ კაპი ფრანგულად და ქართულად

საქართველოს ნაკრების მეორეხაზელის, მამუკა გორგოძის „მონპელიემ“ წლევანდელი სეზონი აღმავლობით დაიწყო. სამწუხაროდ, გუნდის პირველი ორი თამაში მამუკამ ავადმყოფობის გამო გამოტოვა, თუმცა დღესდღეობით კარგ ფორმაშია და ყველა შეხვედრაში თამაშობს. გორგოძეს იტალიაში გამგზავრებას წინ დავურეკეთ - „მონპელიე“ შაბათს ჩელენჯ კაპის მორიგ ტურში „პადოვას“ დაუპირისპირდება.

- რამდენიმე კვირის წინ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები მქონდა, - გვითხრა მამუკა გორგოძემ. - ანტიბიოტიკებს ვსვამდი, ცოტა რომ მოვმჯობინდი ორი მატჩი ისე ვითამაშე, სიცხე 38 გრადუსი მქონდა. ახლა ყველაფერი რიგზეა.

**- ბოლო წლებისგან განსხვავებით, „მონპელიემ“ წლეულს წარმატებული სტარტი აიღო. წესით დივიზიონის დატოვების საფრთხე არ უნდა დაგემუქროთ?**

- „მონპელიეს“ ასეთი თამაში გამოგიტყდებით და ჩემთვისაც მოულოდნელობაა. საკმაოდ სერიოზული გუნდები დავამარცხეთ: „კასტრი“, „პერპინიანი“, „ბრივი“. დავით ზირაქიშვილისა და გოდერძი შველიძის „კლერმონმა“ კი, რომელიც ქვეყნის ვიცე-ჩემპიონია, მიუხედავად იმისა, რომ 20 წუთი კაცნაკლულები ვეთამაშებოდით, გაჭირვებით მოგვიგო. ამის მიზეზი ცოტა ძნელი ასახსნელია - სატრანსფერო სეზონზე ვინმე „დიდი“ მორაგბე არ შეგვიძენია, უბრალოდ, როგორც ჩანს გუნდი უკეთ შეთამაშდა.

**- წლეულს „მონპელიეში“ კიდევ ერთი ქართველი, დავით ქუბრიაშვილი ჩაირიცხა. როდის გამოჩნდება ის ძირითად გუნდში?**

- „დუდუ“ აქამდე სათადარიგო გუნდში იყო, მაგრამ რამდენიმე დღეა უკვე ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს. იტალიაში „პადოვასთან“ წესით უნდა ეთამაშა, მაგრამ სამწუხაროდ წინასწარ განაცხადში არ ყოფილა და თამაშის უფლება არ აქვს. რაც შეეხება ჩემპიონატის შეხვედრებს, აქ ცოტა რთულადაა საქმე. იქ მოხვედრა ძალიან ძნელია, მით უფრო გუნდში ახლაც მოსული მორაგბისთვის.

**- წლეულს რა მიზანი დაგისახათ კლუბის ხელმძღვანელობამ?**

- ფლეი ოფში მოხვედრა გაგვიჭირდება. კარგი იქნება თუ ექვსეულში შევაღწევთ, რაც მომავალ წელს ჰაინეკენის თასზე თამაშის უფლებას მოგვცემს.

**- ჯერჯერობით ამაზე საუბარი ადრეა, მაგრამ სხვა გუნდიდან შემოთავაზება ხომ არ გაქვთ? რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, „აჟენის“ მწვრთნელი ანრი ბრონკანია თქვენით დაინტერესებული.**

- აჟენიდან კონკრეტული წინადადებით ჩემთვის არავის მოუმართავს. სეზონის წინ „ტულონში“ და „ბრივში“ გადასვლის შანსი მქონდა, მაგრამ „მონპელიეში“ დარჩენა ვარჩიე და არც შევმცდარვარ. აქ მშვენივრად ვგრძნობ თავს. საფრანგეთში ალბათ საუკეთესო საწვრთნელი ბაზა გვაქვს, ახალი სტადიონი აგვიშენეს, კარგი პირობები გვაქვს, როგორც სავარჯიშო, ისე დასვენება-აღდგენითი საშუალებების. ასე რომ, „მონპელიედან“ მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ, თუ საფრანგეთის საუკეთესო ოთხეულიდან: „სტად ფრანსე“, „კლერმონი“, „ბიარიცი“ და „ტულუზი“, ერთ-ერთი მიმიწვევს. სხვა გუნდებს, ისევ „მონპელიეში“ თამაში მირჩევნია.

**- შაბათს ჩელენჯ კაპზე იტალიაში თამაშობთ. თუ შედეგებს გადავხედავთ, „მონპელიეს“ საქმე აქ მთლად დალხენილად არ აქვს.**

- ჩელენჯ კაპს აქ სერიოზულად არ უყურებენ. ჰაინეკენის თასი კი სხვა საქმეა, ეს უფრო პრესტიჟული ტურნირია და გუნდებში მთელი სერიოზულობით უდგებიან. ჩელენჯზე კი ფრანგული კლუბები ძირითადად ახალგაზრდა მოთამაშეებს ცდიან. შედეგიც შესაბამისია ხოლმე.

**- მომავალი წლიდან ჩელენჯ კაპზე ქართულმა გუნდმაც უნდა ითამაშოს. რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

- ეს ძალიან კარგია. ოღონდ ეგაა, თავიდან ძალიან გაგვიჭირდება. თუ ეგ მოხდა ძალიან ბევრი რამის შეცვლა მოუწევთ ქართული რაგბის ხელმძღვანელებს. მეტი ვარჯიში, აწყობილი ინფრასტრუქტურაა საჭირო რომ თუნდაც პირველ სეზონზე მეტნაკლებად ღირსეულად გამოვიდლეთ. მერე კი ნელ-ნელა ალბათ დონეც მოიმატებს. საბოლოო ჯამში კი რაგბის პოპულარიზაციისთვის ჩელენჯ კაპზე თამაში ბრწყინვალე საშუალებაა.

ბესიკ ჯანგავაძე

## თავისუფალი ჭიდაობა

ახალი სეზონის წინ

# როგორ მოვიპოვოთ დარჩენილი ხუთი ლიცენზია?

საქართველოს ნაკრები მომავალი სეზონისთვის ემზადება - გუნდი ამჟამად გლდანში, ყოფილი ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის ბაზაზე გადის შეკრებას. საქართველოს პირველობამდე იქაურობა გუნდის ძირითად ბაზად გადაიქცევა, სადაც მცირე პაუზებით რამდენიმე შეკრებას კიდევ მოაწყობს.

მოამავალი სეზონი ნაკრებისთვის უმძიმესი და გამორჩეულად საპასუხისმგებლო იქნება, რადგან ოლიმპიადაც გაისად ტარდება. თუმცა მთავარი იქამდე მისვლაა და ნაკრების ამოცანას სწორედ ეს ართულებს, რადგან წლევანდელი მსოფლიო პირველობა, პრაქტიკულად, ჩააგდეს და მხოლოდ ორი ლიცენზია მოიპოვეს - ბრინჯაოს პრიზიორმა **ოთარ თუშიშვილმა** (66) და მეხუთეზე გასულმა **გელა საღირაშვილმა** (74). ნაკრებმა საგზურები 2008 წელს უნდა მოიპოვოს, საამისოდ კი მხოლოდ სამი შანსი ეძლევა - ევროპის ჩემპიონატზე და ორად-ორ სალიცენზიო ტურნირზე. ბუნებრივია, იგივე მიზანი სხვებსაც ამოძრავებთ და ლიცენზიებისთვის ცხარე ბრძოლა გაჩაღდება საჭიდაო ხალიჩაზე თუ კულისებში. მათი მოპოვება მსოფლიო ჩემპიონატზე ბევრად იოლი იყო, მაგრამ, როგორც გითხარით, ეს ტურნირი ჩვენებისთვის უიღბლო აღმოჩნდა.

საქართველოს ჩემპიონატი 26-27 იანვარს გაიმართება, მაგრამ სად - ჯერ საბოლოოდ არ გარკვეულა. ბუნებრივია, უმთავრეს კანდიდატად დედაქალაქი რჩება, მაგრამ ბათუმის ვარიანტიც არანაკლებ აქტუალურია. მოგეხსენებათ, ქვეყნის პირველობას შარშან სწორედ აჭარამ უმასპინძლა და იდეამ ნამდვილად გაამართლა - ოთხდღიანმა ტურნირმა (ორივე სტილის მოჭიდავეებმა იქ იჭიდავეს) სრული ანშლაგით ჩაიარა. არაა გამორიცხული, წლეულსაც იქ ჩატარდეს, თუმცა ეს ნამდვილად არაა გადამწყვეტი - მთავარია, ბიჭებმა კარგად იჭიდაონ.

საქართველოს ჩემპიონატში ყველა უძლიერესი ფალავანი გამოვა, თუ ვინმეს ტრავმამ არ შეუშალა ხელი. ეს ნაკრების თავკაცთა მკაცრი პოზიციაა და უნდა ვივარაუდოთ, შელავათს არავის გაუკეთებენ. აი, სხვანაირადაა ლიცენზიამოპოვებულთა საქმე. მწვრთნელები დააკვირდებიან მათ იმჟამინდელ მდგომარეობას, აწონ-დაწონიან ვითარებას და მერე გადაწყვიტავენ, დართონ თუ არა ჭიდაობის ნება. გასაგებია, რომ მათ განსაკუთრებულად მოუფრთხილდებიან, ზედმეტად არ დაჯაფავენ და მაქსიმალურად შეუწყობენ ხელს ოლიმპიადისთვის კარგად მომზადებაში. მოკლედ, მათი საკითხი ტურნირის წინა დღეებში გაირკვევა.

ნაკრების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, აპრილში, ფინურ ტამპერეში გასამართ ევროპის პირველობამდე ნაკრები სამ ტურნირში გამოვა - თურქეთში, კიევში და პოლონეთში, თუმცა არაა გამორიცხული, გზადაგზა ეს გეგმა კიდევ შეიცვალოს. ცხადია, ეს ტურნირები ევროპის პირველობისთვის მოსამზადებელი ეტაპია და სწორედ მათში გამოიკვეთება ფინეთში წასაყვანი შემადგენლობა. ევროპის ჩემპიონატზე ლიცენზიებიც გათამაშდება - ყოველ წონაში მხოლოდ ერთი. ულიცენზიოდ დარჩენილთათვის ჯერ ცალკე ტურნირი ჩატარდება და სწორედ მისი გამარჯვებული მიიღებს პეკინის საგზურს, ამის შემდეგ კი ყველა ერთად გადაინაცვლებს ევროპის პირველობაში.

ევროპის ჩემპიონატს აპრილ-მაისში სალიცენზიო ტურნირები მოჰყვება - შვეიცარიასა და პოლონეთში. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირებში ლიცენზიამოპოვებული ფალავნები ვერ იჭიდავებენ. მეტიც - იმ წონაში, რომელშიც კონკრეტულმა ნაკრებმა უკვე მოიპოვა საგზური, მონაწილეს საერთოდ ვერ გამოიყვანს. ცხადია, ეს ულიცენზიოდ დარჩენილთა შანსებს ზრდის, მაგრამ კონკურენცია მაინც დიდია. ვითარებას სალიცენზიო ტურნირთა სიმცირეც ართულებს. თან, ბევრი საგზური არც დასახელებულ ტურნირებში გაიცემა - შვეიცარიაში 6-6, პოლონეთში - 4-4.

მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, ნაკრები საშეკრებო ციკლსაც წინა ანალოგიური პერიოდისგან განსხვავებულად წარმართავს. მთლიანობაში, მწვრთნელებმა უცხოეთში ერთობლივ წვრთნებზე წასვლა იუარეს. მათი აზრით, უკვე საქართველოში ბაზებიც ნორმალურია და სპარინგპარტნიორები არც ადრე უჭირდათ. ისინი მხოლოდ ერთ გამონაკლისს გააკეთებენ - სულ პირველ, ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ საბაზო შეკრებას არა ბაკურიანში, არამედ სომხურ ნახკაძორში გაივლიან. დანარჩენ შეკრებებს ან ბორჯომში, „ოლიმპის“ სპორტულ ბაზაზე გაივლიან, ან - თბილისში. აქვე ჩატარდება საკონტროლო შეხვედრებიც, პეკინში კი საჭიდაო ტურნირის დაწყებამდე ათი დღით ადრე გაემგზავრებიან აკლიმატიზაციის მიზნით.

ირაკლი თავაძე

## თარიღი



**თემო ყაზარაშვილი.** დაიბადა 07.12.1959, ახმეტა. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (48 კგ). მსოფლიოს ჩემპიონი (1982) და მესამე პრიზიორი (1983), მსოფლიოს თასის მფლობელი (1980), ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1985), მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (1981), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1982, 84) და ორგზის - მესამე პრიზიორი (1981, 83), სსრკ თასის მფლობელი (1984), სსრკ ხალხთა VIII სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1983), ბულგარეთის (1983, 85) და ივან პოდდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირში (198), 82, 85) გამარჯვებული. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის ექსტრა კლასის არბიტრი, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდლენტი (1994-იდან). ღირსების ორდენის კავალერი.



**ნინო გურიელი.** დაიბადა 7.12.1961, თბილისი. ჭადრაკი. საერთაშორისო დიდოსტატი (1979). საქართველოს ორგზის ჩემპიონი (1976, 92). სსრკ ჩემპიონატების მეორე (1980) და მესამე პრიზიორი (1985). მსოფლიო ჩემპიონატების ციკლის მონაწილე (1978-81, 88-90). მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების სამგზის ჩემპიონი (1992, 94, 96) და მეორე პრიზიორი (2000). საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი (2002-04). ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი.

## ჩოგბურთი

# ლომებზე მონადირე



ნიკოლოზ ბასილაშვილი

ახალგაზრდული ჩოგბურთის საუკეთესო საიტმა „ჯუნიორ ტენისმა“ **ნიკოლოზ ბასილაშვილს** „ორანჯ ბოულზე“ რამდენიმე ფავორიტის დამარცხების შემდეგ „ლაიონ ქილერი“ (ლომთა მკვლელი) უწოდა, გუშინ რიგით 61-ე „ორანჯ ბოულზე“, რომელიც ტრადიციულად კი ბისკეინის კორტებზე იმართება, ნიკა ბასილაშვილმა მე-3 ნომრად განთესილი ფავორიტი, მასპინძელი **დენის კუდლა** დაამარცხა - 6:2, 6:4. 15 წლის ქართველი მეოთხედფინალში გავიდა. 16-წლამდელთა „ორანჯ ბოული“ მოულოდნელობებით აღსავსე გამოდგა, მეოთხედფინალში მხოლოდ ერთი განთესილი გავიდა, პირველი ნომერი **ბერნარდ ტომიჩი** (აშშ). ბასილაშვილს მეტოქე კვლავ ამერიკელი იქნება, 16 წლის **ალექსანდრ დომიჯანი**. ბასილაშვილმა წყვილთა თანრიგში ასპარეზობა დაასრულა, მერვედფინალში ის და ამერიკელი **ფილიპ პოგოსტკინი** პირველ ნომრად განთესილებთან (**ობრი, პუჟე**) დამარცხდნენ - 4:6, 3:6.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული ნაკრები

# ყველა დამნაშავეა!

**წლევანდელი შემოდგომა მორიგ შავ ლაქად დარჩება ქართული კალათბურთის ისტორიაში. ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა მეორე ცდაზეც ვერ შეძლო ელიტაში აღზევება და მინიმუმ, კიდევ 2 წლით იყურყუტებს ევროპის მაჩანჩალათა რიგებში.**

**მართალია, საკმაოდ მოგვიანებით, მაგრამ სამაგიეროდ, ცივ გონებაზე ალბათ უპრიანი იქნება, თუ გადავხედავთ იმ მიზეზებს, რომელთა გამო 4 წელია ამაოდ ვცდილობთ ევროელიტის ჭიშკრის შემტვრევას.**

## კალათბურთის ფედერაცია

როდესაც ეროვნულ ნაკრებს არა აქვს შედეგი, ამაში რალაც დოზით, აუცილებლად ფედერაციაა დამნაშავე. ასეთ შემთხვევაში, ფედერაციის პასუხისმგებლობის დონე ძირითადად, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად შეურჩია გუნდს მთავარი მწვრთნელი, როგორი პირობები შეუქმნა სამუშაოდ მწვრთნელ-მოთამაშეებს და რამდენად უმტკივნეულოდ მოახერხა წამყვანი ლეგიონერების ჩამოყვანა ოფიციალური მატჩებისთვის. ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ ყველა საკითხს და ფედერაციის დანაშაულის ხარისხის დასკვნა მკითხველისთვის მიგვინდია.

## მწვრთნელები

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ყველაზე მეტად უნდა დავადანაშაულოთ ეროვნული ნაკრებისთვის მთავარი მწვრთნელის შერჩევის საკითხში.

2004 წელს, ქართული კალათბურთის უპირველესი გუნდი ჩაიბარა ხორვატმა **დრაჟენ ბრაიკოვიჩმა**. თავიდან, თითქოსდა არ ჩანდა ურიგო მწვრთნელი – მოსამზადებელ ეტაპზე დაამარცხა შვედეთი და მსოფლიოს ერთ-ერთი გრანდი რუსეთი, ოფიციალური მატჩები დაიწყო ფინეთის დამარცხებით, მაგრამ მაკედონიაში წააგო მოსაგები თამაში და ამას შეეწირა მისი კარიერა. თანაც, ბრაიკოვიჩი ვერც ქართულ მენტალიტეტს შეეწყო სათანადოდ. საბოლოოდ, დაიხურა ქუდი და წავიდა.

მერე იყო კანადელი **გორდონ ჰერბერტი**. სამწუხაროდ, ვერც მან გაამართლა იმედები – ბრაიკოვიჩის გაფუჭებული საქმე ვერ გამოასწორა და ორი წლით გადაიდო ელიტაზე ოცნება. თუმცა, კანადელი მაინც დარჩა თანამდებობაზე.

ამას მოჰყვა ჰერბერტის პირადი პრობლემები ახალი საკვალიფიკაციო ციკლის დაწყებამდე. ერთმანეთს დაემთხვა კანადელის საკლუბო და სანაკრებო ინტერესები. ალბათ მაშინვე ჯობდა მისი გაშვება, რაზეც სერიოზულად დაფიქრდა კალათბურთის ფედერაცია და მის შემცვლელად ამერიკელი **ჯეი ტრაიანო** შეიგულა. თუმცა, ფედერაციამ გადადგა კიდევ ერთი სარისკო ნაბიჯი, ჰერბერტი ნაკრებში დარჩენაზე დაიყოლია და როგორ ალმოჩნდა, ეს იყო საბედისწერო შეცდომა. ორ კურდღელს დადევნებულმა ჰერბერტმა ნაკრები სათანადოდ ვერ მოამზადა, შარშან შემოდგომით ფინეთში დამარცხდა და ელიტაში გადასვლის საკითხი კვლავ ბუნდოვან ფერებში დატოვა.

კალათბურთის ფედერაციამ დაგვიანებული ნაბიჯი ამ ზაფხულსლა გადადგა და კანადელს ჩაანაცვლა მისივე თანამემამულე **კენ შილდსი**. სამწუხაროდ, ნაგვიანევის გარდა, ეს იყო კიდევ ერთი მცდარი სვლა. როგორც მოგვიანებით ნაკრების კაპიტანი **ვახტანგ ნაცვლიშვილი** იტყვის, ჩვენს მენტალიტეტს და ქართულ სტილს ვერც შილდსი მოერგო, მის სქემებს ალლო ვერ აულეს კალათბურთელებმა და მივიღეთ სავალალო შედეგი – ყოვლად გაუმართლებელი წაგება ისლანდიაში, კვლავ B ჯგუფში ჩარჩენა და ელიტაში გადასვლის ოცნების კიდევ 2 წლით დასამარება...

მიზნის ვერმიღწევის გარდა, კიდევ ერთი საერთო ნაკლი ის ჰქონდა სამივე მწვრთნელს, რომ ხშირად არ ჩამოდიოდნენ საქართველოში, არ ესწრებოდნენ ჩვენს ჩემპიონატს, საქართველოში მოთამაშე კალათბურთელებზე ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ და ბოლომდე ვერ იყენებდნენ მათ ხელთ არსებულ რესურსს.

## პირობები

*"ის პირობები, რაც ნაკრებს ბოლო ორ საკვალიფიკაციო ციკლში აქვს, ადრე რომ გვქონოდა, გაცილებით მაღალ შედეგებს მივაღწევდით."* – თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში ნაკრების ყოფილმა თავკაცმა **ლევან მოსეშვილმა** და ძნელია, არ დაეთანხმო. ყოვლად უვარგის პირობებში, საშინელ მდგომარეობაში მყოფ ქართულ დარბაზებში მოვარჯიშე და თითქმის მთლიანად აქაურ ჩემპიონატში მოთამაშე კალათბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი მაშინ ტოლ-სწორად ეთამაშებოდა ევროგრანდებს.

ბოლო ორ საკვალიფიკაციო ციკლში კი კარდინალურად განსხვავებული მდგომარეობაა – ნაკრები სისტემატურად ევროპაში ემზადება, ატარებს საკონტროლო მატჩებს მაღალი კლასის გუნდებთან, ნაკრების ძირითად ბირთვს შეადგენენ ლეგიონერები, გვყავს უცხოელი მწვრთნელები, საკვალიფიკაციო ეტაპზე აღარ ვხვდებით გრანდებს, მაგრამ შედეგი არა და არ მოდის!

წინა საკვალიფიკაციო ციკლში, პირობებზე არავის დაუწუწუნია, მაგრამ წლეულს გამოითქვა პრეტენზიები, რომ მოსამზადებელ ეტაპზე ყველაფერი რიგზე ვერ იყო. მიუხედავად ამისა, მაინც ძნელი დასაჯერებელია, რომ შუაგულ ევროპაში ისეთი კატასტროფული პირობები ჰქონოდა ნაკრებს, რომ ისლანდიისთვის ვერ მოეგო და თბილისში ბეწვის ხიდზე ევარა უმოტივაციო ავსტრიასა და ფინეთთან.

## ლეგიონერები

როგორც ზემოთ ვთქვით, საქართველოს ნაკრების მთავარი "დამრტყმელი ძალა" ლეგიონერებია. ჰოდა, აბა გაიხსენეთ, ბოლო ორ საკვალიფიკაციო ციკლში ოდესმე თუ ყოფილა შემთხვევა, რომ ოფიციალური მატჩების წინ, ყველა წამყვანი ლეგიონერი ჯანმრთელად ყოფილიყოს, ან ახალი გუნდის ძიებით გართულ მინიმუმ ერთ კალათბურთელს მაინც, ნაკრებში ჩამოსვლა არ დაჰგვიანებოდეს?

სწორედ ესაა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. საქართველოს ნაკრებს აწუხებს მაღალი კლასის, გამოცდილი კალათბურთელების დეფიციტი და შესაბამისად, მოკლე სათადარიგოთა სკამიც. აქედან გამომდინარე, ერთი წამყვანი კალათბურთელის გამოკლება, ან ერთი წამყვანი მოთამაშის ფორმაში არყოფნაც კი, სერიოზულ პრობლემებს გვიქმნის თვით ფინეთის, მაკედონიისა თუ ავსტრია-ისლანდიის დონის გუნდებთან.

## გარეთ მხდალი, შინ ძლიერი

საქართველოს ნაკრებს ქრონიკულად აწუხებს კიდევ ერთი სენი – გასვლითი მატჩების სინდრომი. ცოტა შორეულ ისტორიას რომ თავი დავანებოთ, გადავხედოთ ბოლო ორ საკვალიფიკაციო ციკლს: სტუმრად ორჯერ წავაგეთ ფინეთთან, ერთხელ – მაკედონიასთან, ერთხელ ისლანდიასთან და ფაქტობრივად, წაგებული თამაში გადავარჩინეთ ავსტრიასთან. სამაგიეროდ, თბილისში მთელი ორი ციკლის განმავლობაში, ყველა მეტოქე განბილებული დავტოვეთ.

## ეროვნული ჩემპიონატი

ეროვნული ჩემპიონატი რომ ეროვნული ნაკრების ბალავერი და ფესვები უნდა იყოს, ამაში სადავო არაფერია. სამწუხაროდ, ვერც ამ მხრივ მოვიწონებთ დიდად თავს. ჩვენი კლუბების მოუწესრიგებელი მენეჯმენტის, სპონსორების ვერდაინტერესებისა და წლების განმავლობაში ნებაყოფლობითი საერთაშორისო იზოლაციის გამო, ჩვენი გუნდები და ეროვნული ჩემპიონატი გვარიანად ჩამორჩნენ ევროპას. ამის დასტურად მხოლოდ ის ფაქტიც კმარა, რომ ეროვნულ ნაკრებში მეტ-ნაკლებად სტაბილურად თამაშობს საქართველოს ჩემპიონატის ერთადერთი წევრი – **ლაშა გამყრელიძე**. სხვა აქაურ კალათბურთელებს კი მნიშვნელოვან ოფიციალურ მატჩებში ნაკლებად ენდობიან მწვრთნელები. მართალია, კალათბურთის ფედერაცია შარშანდელიდან მოყოლებული, აქტიურად ცდილობს ჩემპიონატის დონის ამაღლებას, ჩამოყალიბდა კარგად რეკლამირებული სუპერლიგაც, მაგრამ წინა წლებში იმდენი დავკარგეთ, რომ ევროპამდე კვლავაც საკმაოდ დიდი მანძილია. თუკი თავად კლუბებმაც არ გამოიღეს ხელი, არ მოაწესრიგეს მენეჯმენტი, ვერ იშოვნეს სტაბილური, მყარი სპონსორები და კვლავ არ ითამაშეს ევროთასებზე, მხოლოდ სუპერლიგა და რეკლამა საქმეს ნამდვილად ვერ უშველის.

ვერ ვიტყვი, რომ მაკედონიის, ფინეთისა თუ ისლანდიის ჩემპიონატები ძალიან მაღალი დონისაა, მაგრამ ფაქტია, რომ ძირითადად, ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტებულმა ამ ქვეყნების ნაკრებებმა დაგვამარცხეს.

## ერთი მსახიობის თეატრი

ნებისმიერ ნაკრებს ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი, ან ლიდერები. ჩვენს შემთხვევაში, სახეზეა "ერთი მსახიობის" თეატრი, ანუ ნაკრების გამოკვეთილი ლიდერია **ზაზა ფაჩულია**. მხოლოდ საქართველოში კი არა, ჩვენმა ყველა მეტოქემ იცის, რომ გუნდის თამაში, ძირითადად აწყობილია ზაზაზე. შესაბამისად, საქართველოს ნაკრები ფაჩულიათი და მის გარეშე, ორი ფრიად განსხვავებული გუნდია. ასეთ ვითარებაში, მეტოქეს საკმაოდ უიოლდება ამოცანის გადაჭრა, ანუ როგორმე გაანეიტრალებს გამოკვეთილ ლიდერს და მერე უკვე "ტექნიკის საქმეა" გამარჯვება. აქედან გამომდინარე, ჩვენი გუნდის თავკაცს ტაქტიკურ არსენალში აუცილებლად უნდა მოეძიებოდეს საიდუმლო იარალი – თამაში ზაზას გარეშე. ასეთი იარალი იმ შემთხვევაში უნდა აამუშავო, როდესაც ფაჩულიას გაანეიტრალებენ, თამაში არ წაუვა, ან დაშავდება.

წინა საკვალიფიკაციო ციკლში და წლევანდელის ნახევარში, ფაქტობრივად, ფაჩულია იყო ნაკრების "ორთქლმავალი" და მეტოქეები არცთუ მაღალი კლასის გამო, მის განეიტრალებას თავს ხეირიანად ვერ ართმევდნენ. წლეულს კი ისე მოხდა, რომ ფაჩულიამ თავადვე განაიარაღა საკუთარი თავი. ისეთი ინერტული და უემოციო ფაჩულია, როგორიც ამ შემოდგომით ვიხილეთ, ჯერ არ გვინახავს და თავადვე ალიარა, რომ მიზეზთა გამო, აშკარად არ წაუვიდა თამაში. ფინეთთან მატჩის შემდეგ, მან თქვა, რომ მისი არადამაჯერებელი გარჯა მოსამზადებელ ეტაპზე არასათანადო პირობების ბრალი იყო, მაგრამ რა იგულისხმებოდა ამ პირობებში, არ დაუკონკრეტებია.

ამას მოჰყვა ათასგვარი მითქმა მოთქმა ფაჩულიას შესახებ, რომ თითქოს მას აქვს გადამეტებული პრეტენზიები. ახლახან, "სარბიელთან" ინტერვიუში, ფაჩულიამ თქვა, რომ არანაირად არ აქვს გადამეტებული მოთხოვნები, რომ მისი ნათქვამი არასწორად გაიგო ხალხმა და საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს, ყველას თავის ადგილს მიუჩენს. ძალიან საინტერესოა, რას იტყვის იგი.

აქვე, ისიც ალსანიშნავია, რომ მოსამზადებელ ეტაპზე, საკმაოდ ბუნდოვან სიტუაციაში, ნაკრებში არ თუ ვერ ჩამოვიდა **ნიკოლოზ ცქიტიშვილი**, რომელიც საბოლოოდ, ნაკრებს მიღმა დატოვეს. არადა, თავიდანაც და მითუმეტეს, ოდნავ მოგვიანებით - **ვიქტორ სანიკიძის** დაშავების შემდეგ, იგი ჰაერივით გვჭირდებოდა. როდესაც სასწორზე დევს ელიტის საგზური, კალათბურთის ფედერაციისთვისაც და მწვრთნელებისთვისაც უმჯობესია, რომ ჯერ საქმეში გამოიყენოს ყველა წამყვანი კალათბურთელი, მიაღწიოს დასახულ ამოცანას და მერე წაუყენოის მათ პრეტენზიები.

## მომავალი

რაც შეეხება მომავლის პერსპექტივას, იგი ჯერჯერობით, ბუნდოვანია, რადგან ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი ჯერ არ დანიშნულა და და არც მეტოქეების ვინაობა ვიცით. ვიმედოვნებთ, ახალი მწვრთნელი წინამორბედებზე გაცილებით მაღალი დონის, ქართულ მენტალიტეტთან ახლოს მდგომი და ილბლიანი კაცი იქნება, მოგვარდება ზემოთ ნახსენები პრობლემები და მესამე ცდაზე მაინც შევალებთ 4 წლის განმავლობაში ჩარაზულ ელიტის კარს.

**კოკა ხატისაშვილი**

---

გამოხმაურება

# ზაზას ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა

„ფილადელფია"-„ატლანტას" მატჩის მიმოხილვაში მოგახსენეთ, რომ სამუელ დალამბერთან შეჯახების შემდეგ ზაზა ფაჩულიას ყბის ძვალი დაუზიანდა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. იქვე დავწერეთ, რომ ექიმების თქმით ტრავმას სერიოზული არ იყო.

გუშინ გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენში" გამოქვეყნდა მცირე მასალა ზაზას შესახებ, რომელშიც ქართველი ცენტრის მდგომარეობა დეტალურადაა აღწერილი. გთავაზობთ მის სრულ თარგმანს.

„ორშაბათ საღამოს „ფილადელფიასთან" მატჩისას ზაზა ფაჩულიას მარცხენა ყბის არეში სამუელ დალამბერის ხელი მოხვდა. „ატლანტას" ცენტრს ტვინის შერყევის სიმპტომები დაშავებიდან ორი დღის შემდეგაც ემჩნეოდა - მას თავის მცირე ტკივილი აწუხებს.

*„თავის ტკივილს ახლაც ვგრძნობ. ვსვამ წამლებსაც, მაგრამ სათანადოდ ვერ მშველის. ზოგჯერ, როცა მკვეთრ მოძრაობას ვაკეთებ, თავბრუსხვევას ვგრძნობ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ფილადელფიასთან" მატჩისას გვარიანი დარტყმა მივიღე."* - იხსენებს **ზაზა ფაჩულია.**

ქართველი ცენტრის თქმით, ტრავმის მიღების შემდეგ წამიერად გონება დაეკარგა. პირველი, ვინც გამოფხიზლებისას დაინახა, თანაგუნდელი **მერვინ უილიამსი** იყო: *„მახსენდება, მერვინი როგორ მეუბნებოდა - ფეხზე წამოდექიო. მის მითითების მიყოლას ვცდილობდი, მაგრამ არ შემეძლო. მოედნიდან ექიმის დახმარებით გავედი."*

როდის დაუბრუნდება ზაზა მოედანს, ამის შესახებ „ატლანტა კონსტიტუშენი" არაფერს წერს. ზაზამ ერთი თამაში უკვე გამოტოვა, და ცხადია, რომ ტრავმის გამო ძირითად შემადგენლობაში დასაბრუნებლად ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწევს. „ატლანტას" ქართველ ცენტრს მალე გამოჯანმრთელება ვუსურვოთ.

---

ლეგიონერი

# მესამე და წამგებიანი

**ვლადიმერ ბოისას „სპარტაკ-პრიმორიემ" „სურგუტთან" ბოლო ორ კვირაში მესამე მატჩი გამართა და პირველად დამარცხდა.**

მანამდე ვლადივოსტოკელებმა სურგუტელები რუსეთის თასის გათამაშებაში სტუმრადაც დაამარცხეს და შინაც, მაგრამ რუსეთის ჩემპიონატის შეხვედრაში, გუშინ „სპარტაკმა" საკუთარ მოედანზე „სურგუტთან" 66:70 დათმო.

მატჩში ანგარიში **ვლადიმერ ბოისამ** გახსნა, მაგრამ საბოლოოდ ჩვეულად ვერც ქართველმა ფორვარდმა ითამაშა და ვერც მისმა დანარჩენმა თანაგუნდელებმა. ვოვას ანგარიშზე 7 ქულა, 3 ჩაჭრა და თითო პასი-მოხსნა-დაფარებაა.

მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა **სერგეი ბობკოვმა** წაგება კალათბურთელებს დააბრალა: *„გუშინ ვარჯიშზე ბიჭებს თავდაჯერება შევნიშნე. დიდი ლექციაც ჩავუტარე, მაგრამ ჩემმა ლაპარაკმა არ გაჭრა - დღეს მოედანზე ცხვირაწეულები გამოვიდნენ და კისერიც წავიტეხეთ."*

რუსეთის ჩემპიონატში 10 ტურის შემდეგ „სპარტაკ-პრიმორიეს" 4 მოგება აქვს და მეცხრე ადგილზეა. მას 2 მოგებით ჩამორჩება გუშინდელი მეტოქე „სურგუტი", რომელიც ცხრილში მეთერთმეტეა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან

# დრაფტზე საუბარი ნაადრევია

**ჩვენი გაზეთის მკითხველს ყოველ კვირას უწევს მანუჩარ მარკოიშვილის სნაიპერობაზე კითხვა. შეიძლება, ზოგს მოსწყინდა კიდეც მშრალი სტატისტიკისთვის თვალ-ყურის დევნება. ამიტომ დღეს გთავაზობთ მანუს ინტერვიუს, რომელშიც იგი „კიევის" წარმატებებზეც საუბრობს, „დრაფტექსპრესში" გამოქვეყნებულ სტატიასაც ეხმაურება და ერთ არასასიამოვნო ამბავსაც გვატყობინებს.**



- ულების თასის ბოლო მატჩში, „არტლანდთან" ფეხი გადამიბრუნდა და კოჭი დავიზიანე. ტრავმის მიღების შემდეგ მოედანზე არ დავბრუნებულვარ.

**- ექიმებმა რა თქვეს, დაზიანება რამდენად სერიოზულია?**

- იმდენად სერიოზული არ არის, რომ ექიმებში მომიწიოს სირბილი, მაგრამ სრული დატვირთვით მაინც ვერ ვვარჯიშობ, კოჭი ცოტა მაწუხებს. მომდევნო მატჩში ჩემი თამაშიც ფეხის მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული.

**- სეზონი ეფექტურად დაიწყე. ელოდი ასეთ სტარტს?**

- ველოდი მეთქი, რომ გითხრა, მოგატყუებ. სეზონის დასაწყისს მთლად წარმატებულს ვერ ვუწოდებ - თავიდან თამაში სათანადოდ ვერ ამეწყო. თუმცა, ულების თასის გათამაშების დაწყებასთან ერთად მეც გავხურდი და ურიგოდ არ ვირჯები.

**- „პო ორტეზთან" 27 ქულა ჩააგდე. იმ მატჩის შემდეგ უკრაინელ ჟურნალისტებს უთხარი, ერთი კომბინაცია, რომელიც ჩემზე გადიოდა, კარგად გამოგვივიდა და 27 ქულაც ამიტომ ჩავაგდეო. როგორც ჩანს, ის კომბინაცია სხვა მატჩებშიც კარგად გამოგდით.**

- ვერ ვიტყვი, რომ „პო ორტეზთან" შეხვედრის შემდეგ თამაში ჩემზე ეწყობა. გუნდში ყველას თავისი ფუნქცია აქვს. ალბათ, თავდაჯერება საკმარისად მქონდა, რიგ ეპიზოდებში მეტოქეები უყურადღებოდ მტოვებდნენ და მეც მიზანი არ მღალატობდა. კალათბურთი ასეთი სპორტია - ერთხელ შეიძლება ჩააგდო და ტაში დაგიკრან, მეორე მომენტში - ააცილო და დაგისტვინონ. ასეა თუ ისე, საკუთარ მონაგარზე მეტად გუნდის გამარჯვება მაინტერესებს და მოხარული ვარ, რომ „კიევი" ულების თასზეც და უკრაინის ჩემპიონატშიც წარმატებით ასპარეზობს.

**- შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გუნდი წელს ყველა ფრონტზე მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს...**

- ასეა, ულების ტასზეცა და უკრაინის ჩემპიონატშიც მაქსიმალურ მიზნებს ვისახავთ. ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურად მიდის - მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა კარგი კონტინგენტი შეარჩია, გუნდი თანაბრადაა დაბალანსებული და ჯერჯერობით მწვრთნელითაც, გუნდითაც და რეზულტატითაც ყველა კმაყოფილია. მთავარი ბრძოლები წინაა.

**- ამასწინათ ინტერნეტ-გამოცემა „დრაფტექსპრესში" გამოქვეყნდა კვირის რეიტინგი, რომელშიც ევროპელთა შორის პირველი შენ იყავი...**

- სასიამოვნოა, რომ ამერიკელები ევროპელებს ასეთ ყურადღებას გვაქცევენ. ვფიქრობ, ის სტატიაც სარეკლამო ხასიათისა იყო - ავტორმა ხალხს ჩემი გვარი შეახსენა. ვფიქრობ, ეს უბრალო სკაუტის მოსაზრება იყო და ზედმეტი მსჯელობა გამართლებულად არ მიმაჩნია.

**- რატომ?**

- იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ NBA-ს დრაფტი 2008 წლის ივნისშია. მანამდე ძალიან დიდი დროა.

ვაჟა სიმონიშვილი

16-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირი

# რის გამო წავაგეთ?

**სლოვენია-საქართველო 77:62**

23:13, 22:15, 15:10, 17:24

საქართველო: **ტეტელაშვილი** (უქულოდ, 5 ფ), **კაკაურიძე** (11 ქ), **ბოქოლიშვილი** (19 ქ), **მაღრაძე** (3 ქ), **ჯავახიშვილი** (3 ქ, 5 ფ), **გურაბანიძე** (4 ქ), **ელაიძე** (5 ქ), **თენეიშვილი** (15 ქ), **ალხანაიძე** (3 ქ), **მირიანაშვილი** (უქულოდ), **შარაბიძე** (2 ქ, 5 მ); არ უთამაშიათ: მელაძეს და ჩერქეზიშვილს

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების სლოვენიელ თანატოლებთან წაგების მთავარი მიზეზი ფარქვექ ცუდი თამაში იყო. ქართველ კალათბურთელებს 25 მოხსნა დაუგროვდათ მოწინააღმდეგის 60-ის წილ. თანაც, ცუდად შევასრულეთ საჯარიმოები. 40-დან მხოლოდ 17 საჯარიმო მოხვნა მიზანს, რაც ჯამში 42 პროცენტს შეადგენს.

მარცხის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ისიც, რომ ძირითადი გამთამაშებელი **ტეტელაშვილი** და ცენტრი **ჯავახიშვილი** 5-5 ფოლის გამო სწრაფად გამოეთიშნენ თამაშს და მოედანზე მხოლოდ 21 წუთი დაჰყვეს. ამასთან, მართალია, ბოქოლიშვილი საუკეთესო მექულე გახდა, მაგრამ 16-დან მხოლოდ 5 ორქულიანი ჩააგდო, ხოლო 6 სამქულიანიდან მიზანში მხოლოდ ერთი მოარტყა. კაკაურიძემ, რომელზეც მოწინააღმდეგეები 13-ჯერ დაჯარიმდნენ, 14 საჯარიმო ისროლა და 11 გააფუჭა.

**გელა წულაძე** (ნაკრების მწვრთნელი): *„საშინლად ვისროლეთ საჯარიმოები. უყურადღებო თამაშმა და ზედმეტმა პერსონალურებმა დასახული გეგმის განხორციელების საშუალება არ მოგვცა. სლოვენიელთა გუნდი ამასთან საკმაოდ ტანმაღალი იყო. მათ რიგებში 208 და 206 სანტიმეტრის ორი მოთამაშეა, რაც 16-წლამდელთა გუნდებში საკმაოდ იშვიათობაა."*

პოზიტიურად ჩვენი გუნდის თამაშში შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ სლოვენიელებზე ნაკლები დაკარგვა გვქონდა 16/28 და გუნდმა თამაში 17 ჩაჭრით დაასრულა.

## ძიუდო

# ბერუაშვილის მემორიალი მეოთხედი საუკუნისაა

1 დეკემბერს გორის **გურამ პაპიტაშვილის** სახელობის ძიუდოს დარბაზში კიდევ ერთი ტურნირი გაიმართა. შიდა ქართლის ახალმა ძიუდოს დარბაზმა ამჯერად ტრადიციულ ტურნირს უმასპინძლა . სახელოვანი ფალავანის **დურმიშხან ბერუაშვილის** მემორიალი უკვე 25-დ ჩატარდა. შეჯიბრება ძირითადად ბერუაშვილის გარდაცვალების დღეს 23 ოქტომბერს იმართებოდა ხოლმე, თუმცა მიმდინარე წელს მიზეზთა გამო მისი ჩატარების თარიღმა გადაიწია.

შეჯიბრება კვლავინდებურად წარმომადგენლობითი გახლდათ. კერძოდ, მასში მონაწილობა მიიღეს გორის, ქარელის, კასპის, ერედვის, ქუთაისის, ბოლნისის, რუსთავის და თბილისის ძიუდოს სკოლათა 1992-94 წწ დაბადებულმა აღსაზრდელებმა. შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო ოლიმპიური ჩემპიონი **შოთა ჩოჩიშვილი.**

გუნდური პირველობა არავის დაუთმეს გორელებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით კი გამარჯვებულები მხოლოდ გორელი, ქარელელი და ქუთაისელი მოჭიდავეები გახდნენ: 46კგ- **ბექა ღვინიაშვილი** (გორი), 50კგ- **ლაშა შავდათუაშვილი** (გორი), 55კგ- **ლაშა გიუნაშვილი** (ქარელი), 60კგ- **ოთარ არჩვაძე** (გორი), 66კგ- **ნიკა გოგინაშვილი** (გორი), 73კგ- **გიორგი ცნობილაძე** (ქუთაისი), 81კგ- **ავთანდილ ბოგვერაძე** (ქუთაისი), 90კგ- **ნიკა გიორგაძე** (ქუთაისი), +90კგ- **უტა კოკაური** (გორი).

„ძალიან კარგია, რომ ტრადიცია გრძელდება და აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა დურმიშხან ბერუაშვილის სახელობის ტურნირი იმართება გორში. ამ შეჯიბრებაზე ყოველთვის იყრიდნენ თავს ფალავნები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. აღსანიშნავია, რომ რამდენჯერმე აქ კავკასიის ქვეყნებიდანაც გვწვევიან ძიუდოისტები. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი, ძიუდოს დიდი ტრადიციების მქონე ქალაქი ნელ-ნელა იბრუნებს თავის მნიშვნელობას ქართულ ძიუდოში - როგორც ტურნირების ორგანიზაციის, ისე შედეგების თვალსაზრისით, იმედი გვაქვს სამომავლოდ ამ შეჯიბრებასაც უფრო წარმომადგენლობითს გავხდით და იქნებ საერთაშორისო სტატუსიც დავუბრუნოთ." - განაცხადა გამარჯვებული გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა **ანზორ თენაძემ.**

ვასილ ბალახაძე
გორიდან




ეროვნული ბიბლიოთეკა



როჯერ ფედერერი



რაფაელ ნადალი

სეზონის შეჯამება

# ფედერერი: საშუალო ასაკის კრიზისი?

წლევანდელი საჩოგბურთო სეზონი დევისის თასის ფინალით დასრულდა და უკვე შესაძლებელია 2007 წლის შეჯამება.

ეს იყო ზედიზედ მეოთხე სეზონი, რომელიც დიადმა შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** რეიტინგის უმაღლეს საფეხბურთზე დაასრულა. ტურში მისი ტოლსწორი კვლავინდებურად არავინაა. უფრო მეტიც, თუ გამომუშავებულ ჰონორარებს დავითვლით, 11 თვის განმავლობაში, როჯერმა თავისი „უილსონის" ქნევით, არც მეტი არც ნაკლები 10 130 620 დოლარი მიიღო - 2 მილიონზე მეტი, ვიდრე გასულ სეზონში. ასე რომ, ეს წელი მისთვის განსაკუთრებულად წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. თუმცა სპორტული შედეგების გაანალიზებისას, შეიძლება სხვა აზრიც დაიბადოს.

საერთო ჯამში, შვეიცარიელმა დაადასტურა საჩოგბურთო გენიოსის რეპუტაცია. მაგრამ მის ანგარიშზე უკვე არა 12 ტიტულია, როგორც ეს 2006 წელს იყო, არამედ 8 გამარჯვება. მოგება-წაგების შეფარდებაც ყველაზე უარესია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში - 68 მოგება/9 წაგება (შედარებისთვის: 2003 წელს ეს მაჩვენებელი იყო - 78/17, 2004 წელს - 74/6, 2005 წელს - 81/4 და 2006 წელს - 92/5). რას ნიშნავს ეს - დროებით ჩავარდნას თუ გარკვეული ტენდენციის ჩამოყალიბებას? აქვს თუ არა ფედერერს ნერვიულობის საბაბი?

სპეციალისტთა დიდ ნაწილს მაინც არ სჯერა, რომ 2008 წელს ვინმე მოახერხებს მეფის ტახტიდან მის ჩამოგდებას. ეს არც **ნოვაკ ჯოკოვიჩს** შეუძლია და მით უმეტეს, არც **რაფაელ ნადალს** (თუ რატომ, ამაზე მეორე ნაწილში ვისაუბრებთ). ამავე დროს, გამორიცხული არ არის, რომ რეიტინგში უახლოესი მდევრების ფედერერთან ჩამორჩენა კლებას დაიწყებს, და აი, რატომ.

ნებისმიერი სპორტსმენი კარიერის მანძილზე გარკვეულ ეტაპებს გადის, რომელიც მეტწილად დამოკიდებულია გარემო სამყაროზე მისი შეხედულებების ცვლილებებზე. ეს პროცესი, როგორც წესი გარდაუვალია - თუ რა თქმა უნდა, ჩოგბურთელი იმდენად არის თავის თავში ჩაკეტილი, რომ გარშემო ვერაფერს ხედავს. ფედერერი ამ კატეგორიას არ მიეკუთვნება. მომავალი წლის აგვისტოში მას 27 წელი შეუსრულდება, ხოლო ATP-ის უახლესი ისტორია გვეუბნება, რომ ბევრი ვარსკვლავისთვის ეს ასაკი კრიტიკული აღმოჩნდა.

სწორედ 27 წლის ასაკში, ოჯახსმოკიდებულმა **ანდრე აგასიმ** გადაწყვიტა ცხოვრებისგან მაქსიმალური სიამოვნება მიეღო, საშინაო პირობებში საკმაოდ დიდი ლიპი დაიდო და „დეკრეტულ" შვებულებაში გაემგზავრა. ამავე პერიოდს ემთხვევა კრიზისი გერმანელი **ბორის ბეკერის** კარიერაში. და ბოლოს, სწორედ 27 წლის ასაკში **პიტ სამპრასმა** რის ვაი-ვაგლახით შეძლო ზედიზედ მეექვსედ პირველი ჩოგანის სტატუსის შენარჩუნება, შემდეგ კი, ლიდერობა ხელმეორედ გამხდარ აგასის გადაულოცა.

როჯერი თითქოს არ მიეკუთვნება გურმანთა რიცხვს, როგორც აგასი, ბეკერისგან განსხვავებით, არ ყოფილა შემჩნეული საპირისპირო სქესის წარმომადგენლებისადმი გადამეტებული ყურადღებაში. ფედერერს უცვლელი გერლ-ფრენდი ჰყავს - **მიროსლავა ვავრინეცი**, რომელიც ამავდროულად ჩოგბურთელის საქმეებსაც აგვარებს. თუმცა არ არსებობს მუდმივი მწვრთნელი, მაგრამ ასეთ უნივერსალურ ოსტატს, ის შეიძლება არც სჭირდებოდეს. და მაინც, სტაბილურობა, რომელიც ფედერერს ყველაფერში თან ახლავს, ნელ-ნელა იკლებს. და ეყოფა კი ფედერერს იმის გამძლეობა და ხასიათი, რომ ის ძველი დონე შეინარჩუნოს, რაც მას წლების განმავლობაში დომინირების საშუალებას აძლევდა. აქ დიდ კითხვის ნიშანთან გვაქვს საქმე.

გასულ სეზონში, როჯერის დამარცხება ერთბაშად ექვსმა ჩოგბურთელმა შეძლო: ნადალმა (მონტე კარლოში და როლან გაროსზე), **გილერმო კანიასმა** (ინდიან უელსი, მაიამი), **დავიდ ნალბანდიანმა** (მადრიდი, პარიზი), **ფილიპო ვოლანდრიმ** (რომი), ჯოკოვიჩმა (მონრეალი) და **ფერნანდო გონსალესმა** (შანხაი). გავრისკავთ და ვივარაუდებთ, რომ მომავალ წელს ეს სია კიდევ გაიზრდება.

მაგრამ ამის გამო ნერვიულობა დიდად არ ღირს. ATP-ის ტურში ლიდერობისთვის ბრძოლის სავარაუდო გამძაფრება მხოლოდ დადებითად წაადგება მამაკაცთა ჩოგბურთს. რა თქმა უნდა, საინტერესო საცქერია, როგორ ამხობს ერთიმეორის მიყოლების რეკორდებს ფედერერი, მაგრამ ნამდვილი ინტრიგის არარსებობა ნებისმიერი ტურნირისადმი და სპორტისადმი ინტერესს ანელებს, თუნდაც ეს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი იყოს. ამიტომაც, ფედერერს მომავალი წარმატებები ვუსურვოთ და იგივე სურვილები გამოვთქვათ მისი მეტოქეების მიმართაც. ჯერჯერთი, ასე უფრო სამართლიანი იქნება და გარდა ამისა, საჩოგბურთო ცხოვრება უფრო მხიარული გახდება.

## ნადალი: მუდმივად მეორე თუ უკვე აღარ?

რაფაელ ნადალისთვის ეს სეზონი უფრო წარმატებული გამოდგა, ვიდრე წინა წლებში იყო. ესპანელმა მოიგო არა ხუთი, არამედ ექვსი ტურნირი (ინდიან უელსი, მონტე კარლო, ბარსელონა, რომი, როლან გაროსი, შტუტგარტი), ხოლო მოგება-წაგებების შეფარდება იყო არა 52/10, არამედ 70/15. გარდა ამისა, რაფა ზედიზედ მეორედ გავიდა უიმბლდონის ფინალში, რითაც დაამტკიცა, რომ 2006 წელს ანალოგიური შედეგი სულაც არ ყოფილა შემთხვევითობა.

აგვისტოს ბოლომდე, ამერიკის ღია პირველობის წინ, ნადალი ინარჩუნება ლიდერობას ATP-ის ჩემპიონთა რბოლაში. და როჯერ ფედერერს ნიუ იორკში რომ წაეფორხილა, შემოდგომაზე ქულების მიხედვით წლის საუკეთესო ჩოგბურთელის ტიტულისთვის ბრძოლაში ძალიან საინტერესო დაპირისპირების მოწმენი გავხდებოდით. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, შვეიცარიელმა უშეცდომოდ ითამაშა, ნადალმა კი, მეოთხე წრეში წააგო კარგ ფორმაში შესულ თანამემამულე **დავიდ ფერერთან**. რაფაელის ამ მარცხმა განაპირობა კიდეც 2007 წელს საჩოგბურთო გვირგვინის ბედი.

რას უნდა ველოდოთ ესპანელი ჩოგბურთელისგან მომავალში?

საჩოგბურთო ექსპერტთა დიდი ნაწილი უკან დასახევ გზას არ იტოვებს და პირდაპირ ამბობს - ნადალი მომავალ სეზონში ვერ შეინარჩუნებს მეორე ჩოგანის სტატუსს. მით უმეტეს, მათ არ სჯერათ, რომ რაფა შეძლებს როჯერ ფედერერის გასწრებას.

სასურველია, თუ ექსპერტთა ამ ჯგუფის ვარაუდები მცდარი აღმოჩნდება, მაგრამ სავსებით ცხადია, რომ ნადალს მომავალ წელს რთული პერიოდი ელის. რატომ? ესპანელი ხომ ისეთი ენთუზიაზმით თამაშობს ყველა შეხვედრას, რომ ძნელია ამ ჩოგბურთელის ჩავარდნა იწინასწარმეტყველო. ექსპერტების აზრით, სწორედ ამაშია საქმე. როცა გაზაფხულზე თიხნარის სერიის ტურნირები იწყება, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ნადალს გულის ნაცვლად ძრავა უდგას სხეულში. მაგრამ ისმის კითხვა - რამდენიმე ხანი გაუძლებს ის ამ ტემპს? მთელი ცხოვრება ჩოგნის ასეთი მონდომებით ქნევა, როცა ყოველი დარტყმისას ასი პროცენტით იხარჯები, შეუძლებელია იმ შემთხვევაშიც კი, თუ შენი მარცხენა ხელის ბიცეპსი სიდიდითა და მოყვანილობით ტურში ყველაზე გამორჩეულია.

ფედერერისგან განსხვავებით, ნადალს უკვე რამდენიმე ისეთი ტრავმა აქვს, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული მისი თამაშის მანერასთან. მართალია, ესპანელი თავის ჯანმრთელობას დიდ ყურადღებას უთმობს, მაგრამ ადრე თუ გვიან, ის აუცილებლად შეეჩეხება სერიოზულ პრობლემებს, რის გამოც მოუწევს რეიტინგში მეორე ადგილის დათმობა. იგივე ექსპერტები ესპანელი ჩოგბურთელის გულშემატკივრებისთვის სპეციალურად უსვამენ ხაზს: მომავალ წელს, ნადალი არათუ პირველად კარიერაში ვერ შეძლებს უიმბლდონის მოგებას, მან შესაძლოა ბოლო ოთხ წელიწადში პირველად ვერ მოახერხოს თავის საყვარელ როლან გაროსზე გამარჯვება.

ასეთი რამ შეიძლება მოხდეს. მანამდე კი, რაფა ATP-ის საჩემპიონო რბოლის ულაპარაკო ვერცხლისმედალოსანია. თუ გნებავთ ასე დავარქვათ - „მუდმივად მეორე ფედერერის შემდეგ". სხვათა შორის, შვეიცარიელი ნადალის მადლიერი უნდა იყოს მხოლოდ იმისთვის, რომ ესპანელი არსებობს. ისეთი სუპერმოთამაშის ფონზე, როგორიც რაფაა, ფედერერის ნიჭი კიდევ უფრო ნათლად წარმოჩინდა. იმიჯის მხრივაც, თავისი გრძელი თმებითა და შარვლით, უსახელო მაისურებითა და რელიეფური კუნთებით, ნადალი ცდილობს განსხვავებული იყოს შვეიცარიელისგან, რომელიც ყველანაირად საჩოგბურთო კლასიკოსის ნამდვილ მაგალითს წარმოადგენს.

და ეს კარგია, რადგან სამყაროს მთელი მომხიბვლელობა სწორედ მის მრავალფეროვნებაშია.

ავსტრალიის ღია პირველობა

# მელბურნში უძლიერესები შეიკრიბებიან

2008 წლის 14 იანვარს სტარტს აიღებს „დიდი სლემის" რიგით პირველი ტურნირი - ავსტრალიის ღია პირველობა. როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორები იუწყებიან, ბოლო წლებში ეს იქნება ყველაზე წარმომადგენლობითი ტურნირი, ვინაიდან მელბურნში უძლიერესი შემადგენლობა აპირებს ჩასვლას.

როგორც გაირკვა, ATP-ის ტურის საუკეთესო ასეულში მყოფმა ყველა ჩოგბურთელმა შეიტანა ავსტრალიის ღიაზე მონაწილეობის განაცხადი. იგივე გააკეთა საუკეთესო 100 ქალი ჩოგბურთელიდან 99-მა მოთამაშემ.

რა თქმა უნდა, მამაკაცთა სიას სათავეში შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** უდგას, რომელიც ბოლო სამი სეზონია არავის უთმობს ავსტრალიაში პირველობას. გარდა როჯერისა, ტურნირის ძირითად ბადეში იქნება კიდევ ორი ექს-ჩემპიონი: შვედი **ტომას იოჰანსონი** და რუსი **მარატ საფინი**.

ქალებს შორის პირველი ნომერი ბელგიელ **ჟუსტინ ანენს** ერგება, რომელსაც მელბურნში ერთხელ - 2004 წელს გაუმარჯვია. WTA-დან სულ ხუთი ისეთი ჩოგბურთელია, რომელსაც ავსტრალიის ღია ჩემპიონატი აქვს მოგებული: ბელგიელის გარდა, ესენი არიან - ამერიკელი დები **უილიამსები**, ფრანგი **ამელი მორესმო** და ამერიკელი **ლინდსი დავენპორტი**. ასეულის ერთადერთი წარმომადგენელი, ვისაც მელბურნში ვერ ვიხილავთ, ეს არის WTA-ს რეიტინგის 44-ე ნომერი, რუსი **ვერა დუშევინა**, თუმცა ეს დიდი დანაკლისი არ არის.

როგორც წესი, ავსტრალიელები განსაკუთრებული მონდომებით ემზადებიან საშინაო ტურნირისთვის, რომელზეც მათ უკვე დიდი ხანია არ მიუღწევიათ წარმატებისთვის. ამჯერად, მამაკაცთა ბადეში სამი „აბორიგენი" იქნება - **ლეიტონ ჰიუიტი, პიტერ ლუჩაკი** და **კრის გუჩიონე**. ქალებს კი, ოთხი საგზური ერგოთ - პირველობისთვის იბრძოლებენ **სამანტა სტოშური, ალისია მოლიკი, ნიკოლ პრატი** და **კეისი დელაკუა**.

„დიდი სლემის" ტურნირების წესების თანახმად, კვალიფიკაციის გავლის გარეშე ძირითად ბადეში 104 საუკეთესო ჩოგბურთელი ხვდება. მართალია მათ შორის არ არის ბელიგელი **ქსავიერ მალისე**, რომელმაც ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გამოტოვა, მაგრამ ის მაინც მოხვდება ძირითად ბადეში, რადგან „დაცული რეიტინგის" 31-ე ნომერი აქვს.

ავსტრალიის ღია პირველობის დირექტორი **კრეიგ ტილი** აღფრთოვანებას ვერ მალავს იმის გამო, მელბურნში უძლიერესი შემადგენლობა მოიყრის თავს: *„ეს ფანტასტიკური სიახლეა - იანვარში აქ მსოფლიოს ყველა საუკეთესო ჩოგბურთელი ჩამოვა და ისინი მაყურებელს დაუვიწყარ სპექტაკლს აჩუქებენ".*

■ ■ ■

ამასობაში, ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ორგანიზატორები ეხმაურებიან ბოლო დროს, ჩაწყობილ თამაშებთან დაკავშირებულ სკანდალებს და ამ პრობლემასთან საბრძოლველად, ტურნირის მსვლელობისას „ცხელ ხაზის" ამოქმედებას აპირებენ. სატელეფონო კავშირის მეშვეობით ყველა შეეძლება ორგანიზატორებს მიაწოდოს ინფორმაცია იმ ჩოგბურთელებზე, რომლებიც არაპატიოსანი თამაშის წესებს ანიჭებენ უპირატესობას.

„ცხელი ხაზის" ტექნიკურ უზრუნველყოფაზე ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაცია იქნება პასუხიმგებელი - სწორედ ეს ორგანიზაცია გამოვიდა ამ ინიციატივით.

*„არ გვინდა ისეთ სიტუაციაში მოვხვდეთ, როცა მოთამაშეები იტყვიან: „დიახ, ორი წლის წინ, დერეფანში ვილაცამ მატჩის წაგება შემომთავაზა. მოთამაშეებს 48 საათიანი „დედლაინი" ექნებათ იმისთვის, რომ ნებისმიერი საეჭვო სიტუაციის შესახებ გვაცნობონ",* - ამბობს ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **სტივ ვუდი**.



ლეიტონ ჰიუიტი

ვარსკვლავი

# მარტინა მოხუცებზე იზრუნებს

ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **მარტინა ნავრატილოვა** ამერიკული ასოციაციის - AARP-ის ელჩი გახდა. ეს არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ხანშიშესული ადამიანების ჯანმრთელობითა და ფიტნესით არის დაკავებული. დღეისათვის AARP 39 მილიონ წევრს ითვლის.

როგორც სააგენტო AP იუწყება, 2008 წლიდან „დიდი სლემის" ტურნირების 18-გზის ჩემპიონი თანამშრომლობას დაიწყებს ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდთან (www.AARPfitness.com), სადაც მსურველებს საშუალება ექნებათ ნავრატილოვასგან მიიღონ სასარგებლო ინფორმაციები, რჩევები და რეკომენდაციები. AARP-ის წევრებისთვის ხელმისაწვდომი გახდება სხვადასხვა პროგრამები, ვარჯიშები და ვიდეოფაილები.

*„ჩემთვის უდიდესი პატივია ამ ორგანიზაციის ელჩად გახდომა. AARP ადამიანების ჯანმრთელობაზე და მათთვის სიცოცხლის გახანგრძლივებაზე ზრუნავს. ნებისმიერმა ადამიანმა უნდა იფიქროს თავის ჯანმრთელობაზე და მისდიოს აქტიური ცხოვრების რითმს. მინდა ასოციაციის წევრებს ჩემი ვარჯიშები ვასწავლო. ასევე დიდი სურვილი მაქვს, გავუზიარო მათ ის გამოცდილება, რაც სპორტული ცხოვრების დროს მივიღე. ეს მათ ცხოვრებაში თავიანთი მიზნების მისაღწევად გამოადგებათ",* - ამბობს 51 წლის ნავრატილოვა.

# კალათბურთი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ვაშინგტონი-კლივლენდი 105:86**

22:21, 31:13, 26:28, 26:24

**ვაშინგტონი:** ბატლერი (27 ქ. 7 მ. 4 ჩ), ჯეიმისონი (17 ქ. 12 მ), ჰეივუდი (17 ქ. 10 მ. 5 დ), დენიელსი (10 ქ. 5 მ. 9 პ).

**კლივლენდი:** გიბსონი (13 ქ. 8 პ), ილგაუსკასი (12 ქ. 10 მ).

**შარლოტი-ჩიკაგო 82:91**

21:21, 21:18, 18:14, 22:38

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (22 ქ. 8 მ. 3 ჩ), ფელტონი (17 ქ), რიჩარდსონი (17 ქ), ოკაფორი (10 ქ. 10 მ).

**ჩიკაგო:** დენგი (30 ქ), ნოჩიონი (15 ქ. 11 მ), გორდონი (13 ქ).

**ფილადელფია-ბოსტონი 103:113**

32:26, 25:26, 23:31, 23:30

**ფილადელფია:** მილერი (26 ქ. 12 პ), იგუოდალა (24 ქ), უილიამსი (18 ქ), დალემბერი (13 ქ. 9 მ).

**ბოსტონი:** გარნეტი (22 ქ. 3 ჩ), პირსი (19 ქ. 12 პ), პოუსი (17 ქ), ჰაუსი (15 ქ).

**ტორონტო-ფინიქსი 123:136**

28:33, 28:28, 29:45, 38:30

**ტორონტო:** ფორდი (27 ქ), პარკერი (22 ქ), კალდერონი (14 ქ. 9 პ), დელფინო (14 ქ. 4 ჩ), მუნი (8 ქ. 10 მ).

**ფინიქსი:** ბარბოზა (35 ქ), ა. სტაუდმაიერი (25 ქ), ჰილი (17 ქ. 9 პ), მერიონი (10 ქ. 14 მ), ნეში (10 ქ. 18 პ).

**ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი 93:100**

18:26, 24:25, 24:23, 27:26

**ნიუ ჯერსი:** ჯეფერსონი (31 ქ), კარტერი (19 ქ), ნახბარი (16 ქ), ალენი (13 ქ. 9 მ).

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (29 ქ. 7 პ), რენდოლფი (25 ქ), ჯონსი (15 ქ).

**ნიუ ორლეანი-დეტროიტი 76:91**

26:16, 16:28, 18:22, 16:25

**ნიუ ორლეანი:** სტოიაკოვიჩი (19 ქ), ჩენდლერი (17 ქ. 22 მ), პოლი (14 ქ. 7 პ).

**დეტროიტი:** ჰემილტონი (21 ქ), ბიულაპსი (18 ქ. 7 მ. 7 პ), რ. უოლასი (13 ქ. 10 მ).

**ჰიუსტონი-მემფისი 105:92**

24:20, 31:22, 30:29, 20:21

**ჰიუსტონი:** იაო მინი (24 ქ. 13 მ. 4 დ), უელსი (24 ქ), მაკგრეიდი (17 ქ. 10 მ. 12 პ), სკოლა (16 ქ).

**მემფისი:** გასოლი (23 ქ. 12 მ), დ. სტაუდმაიერი (19 ქ), გეი (17 ქ. 10 მ).

**სან ანტონიო-დალასი 97:95**

18:24, 24:25, 31:17, 24:29

**სან ანტონიო:** ჯინობილი (37 ქ. 6 პ), პარკერი (23 ქ), ფინლი (14 ქ. 8 მ).

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (22 ქ. 9 მ), ტერი (20 ქ), ბასი (18 ქ), ნოვიცკი (15 ქ. 9 მ).

**დენვერი-ლეიკერსი 107:111**

24:29, 34:33, 30:26, 19:23

**დენვერი:** აივერსონი (51 ქ. 8 პ), ენტონი (26 ქ. 8 მ. 4 პ. 4 ჩ), კემბი (20 მ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (25 ქ. 8 მ. 5 პ), რადმანოვიჩი (21 ქ), ფიშერი (20 ქ), ოდომი (17 ქ).

**სიეტლი-კლიპერსი 95:88**

18:17, 25:18, 30:26, 22:27

**სიეტლი:** დიურანი (18 ქ), კოლისონი (18 ქ. 17 მ), შჩერბიაკი (17 ქ), უილკინსი (17 ქ).

**კლიპერსი:** მაგეტი (23 ქ), კამანი (19 ქ. 14 მ. 5 დ).

**გ. სტეიტი-მილუოკი 120:90**

30:25, 27:11, 28:27, 35:27

**გოლდენ სტეიტი:** დევისი (20 ქ. 9 პ), ჯექსონი (20 ქ), აზუბუიკე (16 ქ), ჰარინგტონი (15 ქ).

**მილუოკი:** რედი (24 ქ), იანლიანი (9 ქ. 10 მ).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი* | 17 | 15 | 2 | 88.2 |
| 2. ორლანდო* | 20 | 16 | 4 | 80.0 |
| 3. დეტროიტი* | 18 | 13 | 5 | 72.2 |
| 4. ტორონტო | 19 | 10 | 9 | 52.6 |
| 5. ვაშინგტონი | 18 | 9 | 9 | 50.0 |
| 6. ნიუ ჯერსი | 19 | 9 | 10 | 47.4 |
| 7. ინდიანა | 19 | 9 | 10 | 47.4 |
| 8. მილუოკი | 17 | 8 | 9 | 47.1 |
| 9. კლივლენდი | 20 | 9 | 11 | 45.0 |
| 10. ატლანტა | 17 | 7 | 10 | 41.2 |
| 11. ნიუ იორკი | 17 | 6 | 11 | 35.3 |
| 12. შარლოტი | 17 | 6 | 11 | 35.3 |
| 13. ჩიკაგო | 16 | 5 | 11 | 31.3 |
| 14. ფილადელფია | 18 | 5 | 13 | 27.8 |
| 15. მაიამი | 17 | 4 | 13 | 23.5 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. სან ანტონიო* | 19 | 16 | 3 | 84.2 |
| 2. ფინიქსი* | 19 | 15 | 4 | 78.9 |
| 3. იუტა* | 19 | 13 | 6 | 68.4 |
| 4. ნიუ ორლეანი | 19 | 12 | 7 | 63.2 |
| 5. დალასი | 19 | 12 | 7 | 63.2 |
| 6. ლეიკერსი | 19 | 11 | 8 | 57.9 |
| 7. დენვერი | 19 | 11 | 8 | 57.9 |
| 8. გ. სტეიტი | 18 | 10 | 8 | 55.6 |
| 9. ჰიუსტონი | 19 | 10 | 9 | 52.6 |
| 10. საკრამენტო | 17 | 7 | 10 | 41.2 |
| 11. კლიპერსი | 17 | 6 | 11 | 35.3 |
| 12. პორტლენდი | 18 | 6 | 12 | 33.3 |
| 13. მემფისი | 18 | 6 | 12 | 33.3 |
| 14. სიეტლი | 19 | 4 | 15 | 21.1 |
| 15. მინესოტა | 16 | 2 | 14 | 12.5 |

**ქულები**

| | |
|---|---|
| ლ. ჯეიმსი (კლი) | 30.7 |
| ბრაიანტი (ლეი) | 27.1 |
| რ. ჯეფერსონი (ნ-ჯერ) | 25.7 |
| მაკგრეიდი (ჰიუ) | 25.4 |
| ენტონი (დენ) | 25.3 |
| აივერსონი (დენ) | 25.0 |
| ბუზერი (იუტ) | 24.9 |
| კ. მარტინი (საკ) | 24.5 |
| რედი (მილ) | 23.4 |
| დ. ჰოვარდი (ორლ) | 23.2 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| დ. ჰოვარდი (ორლ) | 15.1 |
| კემბი (დენ) | 15.0 |
| კამანი (კლიპ) | 13.9 |
| ბუზერი (იუტ) | 11.4 |
| ოკაფორი (შარ) | 11.4 |
| გარნეტი (ბოს) | 11.3 |
| მერიონი (ფინ) | 11.3 |
| ე. ჯეფერსონი (მინ) | 11.0 |
| ილგაუსკასი (კლი) | 11.0 |
| ჩენდლერი (ნ-ორლ) | 10.8 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ნეში (ფინ) | 11.8 |
| კიდი (ნ-ჯერ) | 10.4 |
| პოლი (ნ-ორლ) | 9.9 |
| დ. უილიამსი (იუტ) | 9.0 |
| ბ. დევისი (გ-სტე) | 8.6 |
| ტინსლი (ინდ) | 8.6 |
| ლ. ჯეიმსი (კლი) | 8.1 |
| კალდერონი (ტორ) | 8.0 |
| ბილაპსი (დეტ) | 8.0 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| პოლი (ნ-ორლ) | 2.9 |
| რ. ბრიუერი (იუტ) | 2.4 |
| მერიონი (ფინ) | 2.3 |
| ბ. დევისი (გ-სტე) | 2.3 |
| აივერსონი (დენ) | 2.3 |
| ბატლერი (ვაშ) | 2.1 |
| ჯ. უოლასი (შარ) | 2.1 |
| ტინსლი (ინდ) | 2.0 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 1.9 |
| იგუოდალა (ფილ) | 1.9 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 3.5 |
| კემბი (დენ) | 3.2 |
| დ. ჰოვარდი (ორლ) | 3.0 |
| კამანი (კლიპ) | 3.0 |
| კირილენკო (იუტ) | 2.4 |
| ბოგუტი (მილ) | 2.2 |
| დალემბერი (ფილ) | 2.2 |
| იაო მინი (ჰიუ) | 2.2 |
| ოკაფორი (შარ) | 2.1 |
| ჰეივუდი (ვაშ) | 2.1 |

ULEB-ის თასი

## 5 ოვერტაიმი და 268 ქულა

ULEB-ის თასის ჯგუფური ეტაპის მეხუთე ტურში უნიკალური რეკორდი დაფიქსირდა. გერმანიის „ალბასა“ და ბოსნიის „ბოსნას“ შეხვედრაში გამარჯვებულის გამოსავლენად 5 (!) ოვერტაიმის ჩატარება გახდა საჭირო. კალათბურთელებმა მოედანზე 65 წუთი სუფთა დრო გაატარეს, რაც ერთნახევარჯერ აღემატება ჩვეულებრივი საკალათბურთო მატჩის ხანგრძლივობას. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ეს მატჩი ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა ULEB-ის თასის ისტორიაში - ორივე გუნდმა ჯამში 268 ქულა მოაგროვა („ალბამ“ საკუთარ მოედანზე 141:127 მოიგო). გარდა ამისა, მეტოქეებმა გზად გააუმჯობესეს ამავე ტურნირეზე ერთი გუნდისთვის ერთ მატჩში დაგროვებული ქულების რეკორდი. საინტერესოა, რომ მარტო ოვერტაიმებში, „ალბამ“ და „ბოსნამ“ ჯამში 126 ქულა (!) მიითვალეს.

დამატებითი დროებისა და მოპოვებული ქულების წინა რეკორდები თითქმის ოთხი წლის იყო დამყარებული - 2003 წლის 11 დეკემბერს, როცა ბულგარეთის „აკადემიკამ“ სამ ოვერტაიმში მინიმალური ანგარიშით დაამარცხა ხორვატიის „ზაგრები“ - 116:115.

„ალბასა“ და „ბოსნას“ მატჩში არ შედგა კიდევ ერთი რეკორდი. გერმანული კლუბის მცველმა **ბობი ბრაუნმა** 44 ქულა დაგროვა და 5 ქულა დააკლდა იმისთვის, რომ გაემეორებინა **რენდი დაკის** რეკორდი. ამ კალათბურთელმა 2004 წლის 27 იანვარს, ინგლისის „ბრაიტონის“ შემადგენლობაში თამაშისას 49 ქულა ჩაუგდო ფრანგულ „შოლეს“ (იმ მატჩში სულ რაღაც ორი ოვერტაიმი ითამაშეს).

„ბოსნას“ სნაიპერი **ლენს უილიამსი** იმით გამოირჩა, რომ მესამე ოვერტაიმში, მისი გუნდის მიერ დაგროვებული 14 ქულიდან 12 თავის ანგარიშზე მიითვალა. თამაში კი იმით დასრულდა, რომ ორივე გუნდიდან ზედმეტი პერსონალურების გამო, ხუთ-ხუთმა კალათბურთელმა ვერ შეძლო მატჩის დასრულება, ბოლო დამატებით დროში კი, „ალბამ“ „გადაუარა“ მეტოქეს - 19:5.

სხვათა შორის, ULEB-ის თასის მეხუთე ტურში კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა. რუსეთის „ხიმკისა“ და ესპანეთის „პამესას“ შეხვედრაში, სტუმართა ამერიკელმა ლეგიონერმა **რუბენ დუგლასმა** რუსებს 9-სამქულიანი (12 ცდიდან) ჩაუგდო. წინა რეკორდი 8-სამქულიანს უდრიდა და მისი მფლობელი ერთშაბად რვა კალათბურთელი იყო.

# კრივი

ეს საინტერესოა

## კალათბურთიდან პროფესიულ კრივში



კასპარს კამბალა

ცნობილი ლატვიელი კალათბურთელი **კასპარს კამბალა** პროფილს იცვლის და სულ მალე პროფესიონალი მოკრივის რანგში მოგვევლინება. მისი დებიუტი 11 ნოემბერს, ამერიკის ქალაქ ლას ვეგასში შედგება. ამ დღეს იმართება ორი ამერიკელი მძიმეწონოსანის, **უილი ჩეპმენისა და კარლოს ბარნეტის** ბრძოლა, მანამდე კი, ე.წ. გასახურებელ ჩხუბში მონაწილეობას სწორედ კამბალა მიიღებს.

თავის დროზე, ლატვიელი კალათბურთელი რამდენიმე ცნობილ კლუბში გამოდიოდა - თურქეთის „ფენერბაჰჩეში“, მადრიდის „რეალში“... ის აგრეთვე ლატვიის ნაკრების წევრიც იყო. მაგრამ კამბალას კარიერა 2006 წლის დეკემბერში შეწყდა, როცა მას დოპინგის მიღება დაუდგინეს და ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ კამბალა ლას ვეგასში ცნობილი სპეციალისტის, **რიჩარდ სტილის** ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა და წესების გარეშე ბრძოლებში აპირებდა ძალების მოსინჯვას.

რამდენიმე დღეში, ლატვიელს 29 წელი შეუსრულდება. მისი სიმაღლეა 206 სანტიმეტრი, წონა - 125 კილოგრამი.

# TV სპორტი

**7 დეკემბერი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქენდის მატჩების ანონსი.
13:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. შახტარი-ბენფიკა.
15:25 სასტვენი.
16:00 ტოქ-შოუ - 2:1.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:10 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მილანი-სელტიკი.
19:15 უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ევერტონი-ზენიტი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:30 საფეხბურთო კლუბი.
22:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-არმინია (LIVE).
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:40 საფეხბურთო კლუბი.
02:30 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
03:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:42 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
09:10 მინი-მოედანი.
09:27 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:56 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-ფილადელფია.
11:58 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. ფინალი. არსენალი-ამერიკა.
13:43 ფეხბურთი. Barca TV.
13:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ბირმინგემი.
15:37 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
16:06 მინი-მოედანი.
16:24 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მილანი-სელტიკი.
18:13 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-იუვენტუსი.
08:42 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
20:26 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-ტორონტო.
22:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:28 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:51 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-არმინია (LIVE).
01:25 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:40 კრივი. რინგ-საიდი.
02:42 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
02:53 ფეხბურთი. Barca TV.
03:01 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. ფინალი. არსენალი-ამერიკა.
04:48 მინი-მოედანი.
05:07 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ოტავა (LIVE).

**EUROSPORT**

11:30 ევროსპორტის ჩემპიონები [illegible]
12:00 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.
12:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლევერკუზენი (გერმანია)-სპარტა (ჩეხეთი).
13:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. შახტარი-ბენფიკა.
14:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სპრინტი. ჰოჰფილცენი. ავსტრია (LIVE).
16:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მილანი-სელტიკი.
17:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. ჰოჰფილცენი. ავსტრია (LIVE).
18:45 ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი. გერმანია (LIVE).
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS131. კვალიფიკაცია. ტრონდჰეიმი. ნორვეგია (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:30 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ასპენი. აშშ.
22:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სწრაფდაშვება. ასპენი. აშშ (LIVE).
23:30 ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 1/2 ფინალი. გერმანია (LIVE).
01:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. აშშ-ის გრან-პრი.
02:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
02:30 ექსტრემალური სპორტი.
03:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
04:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთის რალი.
14:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. მიმოხილვა.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ისთანბული (თურქეთი)-მურსია (ესპანეთი).
18:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. რიეკა (ხორვატია)-პილა (პოლონეთი).
18:45 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ნიურნბერგი (გერმანია)-ალკმაარი (ჰოლანდია).
19:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ვილიარეალი (ესპანეთი)-ელფსბორგი (შვედეთი).
20:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლევერკუზენი (გერმანია)-სპარტა (ჩეხეთი).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:00 მულტისპორტი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
23:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ნიურნბერგი (გერმანია)-ალკმაარი (ჰოლანდია).
00:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ვილიარეალი (ესპანეთი)-ელფსბორგი (შვედეთი).
01:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთის რალი.
02:00 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| კიდერმინსტერი-კემბრიჯი | 1:0 |

**იტალიის თასი**

| | |
|---|---|
| ემპოლი-იუვენტუსი | 2:1 |

*(მჭედლიძე სათადარიგო იყო)*

**ჰოკეი**

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| აკ ბარსი-ლადა | 5:2 |
| ნეფტეხიმიკი-ს. იულაევი | 4:4 დ.დ.4:5 |
| ხიმიკი-ტორპედო | 3:0 |
| სკა-ცსკა | 3:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| მანჰაიმი-ინგოლშტადტი | 3:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სლავია-კარლოვი ვარი | 6:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| მოდო-ფერიესტადი | 5:3 |
| ლულეა-სიოდერტალე | 1:4 |
| ჰვ 71-ლინჩოპინგი | 0:0 დ.დ.0:1 |
| ბრიუნასი-სკელეფტე | 4:3 |
| ფრიოლუნდა-ტიმრე | 0:4 |
| იურგორდენი-მორა | 3:3 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ჟალგირისი-ტაუგრესი | 95:92 |
| მაკაბი-არისი | 85:70 |
| ლე მანი-მილანი | 63:71 |
| პანათინაიკოსი-რეალი | 92:85 |
| ოლიმპია-პროკომი | 68:49 |

ჰოკეი

## ენსტრიომი საუკეთესო დებიუტანტია

ჰოკეის ეროვნულმა ლიგას ნოემბრის თვის საუკეთესო დებიუტანტად „ატლანტა ტრეშერზის“ მცველი **ტობიას ენსტრიომი** დაასახელა.

წინა თვეში შვედმა ჰოკეისტმა 12 მატჩში 10 ქულა (2+8) დააგროვა. ამ ტიტულის მოსაპოვებლად ენსტრიომის კონკურენტები იყვნენ ორი ჩიკაგოელი ფორვარდი **ჯონათან ტეივზი** (5 გოლი, 5 პასი) და **პატრიკ კეინი** (2 გოლი, 9 პასი), აგრეთვე „ფინიქსის“ ცენტრალური ფორვარდი **პიტერ მიულერი** (6 გოლი, 3 პასი). ამ სამივე ჰოკეისტმა ნოემბერში 13-13 მატჩი ჩაატარა.

კალათბურთი

## გერშონი ბულგარეთს გაწვრთნის

საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის“ მთავარი მწვრთნელი **პინი გერშონი** ამიერიდან ორ თანამდებობას შეითავსებს. ცნობილმა სპეციალისტმა ბულგარეთის კალათბურთის ფედერაციასთან გააფორმა კონტრაქტი და ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მოამზადებს.

საინტერესოა, რომ გერშონის ბულგარული კონტრაქტი „ოლიმპიაკოსსაც“ წაადგება. ამ გუნდის ამერიკელი ფორვარდი **კინტელ ვუდსი** ამ დღეებში ბულგარულ პასპორტს მიიღებს და შესაბამისად, საბერძნეთის ჩემპიონატში არაევროპელ ლეგიონერად აღარ ჩაითვლება.

## კლივლენდი ვარეჟაოსთვის იბრძვის

როგორც გუშინ ვიტყობინებოდით, „შარლოტ ბობკეტსმა“ სამწლიანი და 17-მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა ბრაზილიელ **ანდერსონ ვარეჟაოს**, რომელიც შეზღუდული უფლებების მქონე თავისუფალი აგენტი გახლავთ. იმასაც ვწერდით, რომ თუ უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში, ვარეჟაოს ამჟამინდელი კლუბი „კლივლენდ კავალიერზი“ კალათბურთელს იგივე პირობებს არ შესთავაზებდა, ბრაზილიელი ავტომატურად „შარლოტის“ მფლობელობაში გადადიოდა. „კავალიერზის“ ხელმძღვანელობამ არ მოისურვა ფორვარდის დაკარგვა და ზუსტად ისეთი პირობები შესთავაზა ვარეჟაოს, როგორიც „შარლოტმა“.

ახლა საბოლოო სიტყვა თავად კალათბურთელს ეკუთვნის. მას შეუძლია ამ წინადადებას არ დათანხმდეს და დაელოდოს, სანამ შეუზღუდავი თავისუფალი აგენტი არ გახდება. სხვათა შორის, „კლივლენდს“ აკლია თავისი ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი**, რომლის გარეშეც, გუნდმა ზედიზედ წააგო ბოლო ოთხი მატჩი.



სკოტ ნიდერმაიერი

ანაჰაიმ დაქსი

# იხვებს ნიდერმაიერი უბრუნდება

სტენლის თასის მფლობელ „ანაჰაიმ დაქსის" ბანაკში ამაღლებული განწყობა სუფევს. „იხვების" გენერალურმა მენეჯერმა **ბრაიან ბურკმა** სპეციალური პრესკონფერენცია მოიწვია, სადაც გამოაცხადა, რომ „ანაჰაიმის" შემადგენლობაში ბრუნდება სტენლის თასის შარშანდელი ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშე, წლების განმავლობაში „დაქსის" დაცვის ბურჯი **სკოტ ნიდერმაიერი**.

როგორც იცით, 34 წლის ჰოკეისტმა გასული სეზონის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ სავარაუდოდ აღარ გააგრძელებდა კარიერას, არადა ნიდერმაიერს კლუბთან კიდევ ორწლიანი ხელშეკრულება აკავშირებდა, რომლის განმავლობაშიც 13.5 მილიონი დოლარი უნდა მიეღო. სკოტს ბოლო მომენტამდე არ ჰქონდა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება. NHL-ის წესების თანახმად, ჰოკეისტი, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ თამაშზე უარს ამბობს, ხელფასს ვერ მიიღებს. დღემდე სწორედ ასეთი სტატუსით სარგებლობდა ნიდერმაიერი და ბოლოს, როგორც იქნა ვეტერანმა აქტიურ სპორტში დაბრუნება გადაწყვიტა.

*„ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია ჩვენთვის. დარწმუნებული ვარ, დღეიდან გუნდის საქმეები წინ წავა"*, - განაცხადა ბურკმა. მართლაც, ნიდერმაიერის გარეშე „ანაჰაიმს" ძალიან გაუჭირდა სეზონის სტარტზე. დღეისათვის ეს გუნდი წყნარი ოკეანის დივიზიონში მესამე ადგილზეა და 28 მატჩში მხოლოდ 12 მოგება აქვს.

*„შესანიშნავ ფორმაში ვიმყოფები და მზად ვარ დასაბრუნებლად. ბოლო კვირა სრული დატვირთვით ვვარჯიშობდი და ფიზიკურადაც კარგად ვგრძნობ თავს. დანარჩენი კი, ყინულზე გამოჩნდება"*, - ასეთი კომენტარი გააკეთა ნიდერმაიერმა. სავარაუდოდ, სკოტის დებიუტი წლევანდელ რეგულარულში ერთ კვირაში შედგება.

ცნობილია, რომ ნიდერმაიერის მსგავსად, ამ სეზონში არ თამაშობს „ანაჰაიმის" კიდევ ერთი ლიდერი **ტეემუ სელიანე**, რომელსაც ჰოკეიზე ბოლომდე უარი ასევე არ უთქვამს და დღემდე ფიქრობს საბოლოო გადაწყვეტილებაზე. გენერალური მენეჯერი ფინელი ჰოკეისტის თემასაც გამოეხმაურა და იმედი გამოთქვა, რომ ტეემუ ნიდერმაიერს მიბაძავს და ამ სეზონში „ანაჰაიმს" დაეხმარება. სელიანე გასულ სეზონში „იხვების" საუკეთესო გოლეადორი და მექულე იყო - შესაბამისად 48 გოლი და 94 ქულა.

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ნიუ ჯერსი-ბოსტონი 4:3 (ო)**

0:3, 2:0, 1:0, 1:0

გოლები: 0:1 ხარა-4 (კესელი-6), 0:2 გ. მიურეი-9 (აქსელსონი-6), 0:3 ვიდემანი-2 (სავარი-27, შტურმი-11), 1:3 ელიაში-5 (ჯონტა-11, პარიზე-17), 2:3 პარიზე-13 (ელიაში-9, პ. მარტინი-11), 3:3 პარიზე-14 (ბრუკბანკი-1, მოტო-4), 4:3 ელიაში-6 (პარიზე-18, ბრუკბანკი-2).

**ატლანტა-აილენდერსი 4:3 (ბ)**

0:1, 3:1, 0:1, 0:0

გოლები: 0:1 კომრი-9 (სიმონი-2, კამპოლი-10): 1:1 მარიან ჰოსა-11 (პერენი-9, ჰავლიდი-8), 2:1 კოვალჩუკი-23 (მარიან ჰოსა-13), 3:1 დუპუი-3 (პერენი-10), 3:2 სილინჯერი-5 (სატონი-4, ჰილბერტი-2), 3:3 ჰანტერი-5 (შატანი-9, გერენი-7).

ბულიტები გაიტანეს: ვიაჩ. კოზლოვი (ატლანტა), კოვალჩუკი (ატლანტა).

**ედმონტონი-პიტსბურგი 2:4**

1:0, 1:0, 0:4

გოლები: 1:0 რ. ნილსონი-2 (პიტკანენი-3, ბროძიაკი-6), 2:0 ჰორკოფი-12 (ჰემსკი-12), 2:1 ტელბოტი-7 (მალკინი-22, იტონი-2), 2:2 ლეტანგი-2 (კროსბი-24, კ. არმსტრონგი-6), 2:3 კ. არმსტრონგი-3 (იტონი-3, კროსბი-25), 2:4 რეი უიტნი-5 (კროსბი-26, მალკინი-23).

**ფინიქსი-ლოს ანჯელესი 4:1**

2:1, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 რაინპრეხტი-7 (მიულერი-5), 2:0 ვრბატა-10 (ყოვანოვსკი-14, პ. მიულერი-6), 2:1 კამალერი-13 (კოპიტარი-13, დ. ბრაუნი-10), 3:1 პ. მიულერი-8 (რაინპრეხტი-11, ბოინტონი-4), 4:1 დოუნი-7 (ვრბატა-7, ბოინტონი-5).

**კოლორადო-კოლამბუსი 4:5**

0:1, 3:0, 1:4

გოლები: 0:1 ნეში-17 (ბიჩი-2, ფუტი-4), 1:1 ვოლსკი-9 (ჰეიდუკი-10, ბ. კლარკი-5), 2:1 შჩასტნი-11 (ლაილსი-7, რ. სმიტი-10), 3:1 ფინგერი-2 (რ. სმიტი-11, ჰენანი-8), 3:2 ნეში-18 (ფიოდოროვი-11, ბრული-3), 3:3 ლინდსტრიომი-1 (ბიჩი-3, გლენკროსი-2), 3:4 ყერდიოვი-10 (გლენკროსი-3, ჰეიდა-4), 4:4 ჰენანი-1 (რ. სმიტი-12, შჩასტნი-22), 4:5 ფრიტშე-4 (ჩიმერა-8, ბიჩი-4).

**ფლორიდა-ოტავა 4:5**

2:2, 0:1, 2:2

გოლები: 0:1 რ. რობიტაილი-3, 0:2 ფიშერი-6 (ალფრედსონი-19, ფოლინო-2), 1:2 ო. იოკინენი-13 (ჰორტონი-12, მონტადორი-3), 2:2 მონტადორი-3 (ჰორტონი-13, ო. იოკინენი-15), 2:3 ფოლინო-3 (მეზაროში-8, ფიშერი-11), 2:4 სპეცა-5 (ალფრედსონი-20, კორვო-9), 3:4 ბუტი-8 (მონტადორი-4, კრეპსი-4), 3:5 რ. რობიტაილი-4 (სპეცა-24, კორვო-10), 4:5 ო. იოკინენი-14 (ზედნიკი-6, კ. ანდერსონი-1).

**მინესოტა-ფილადელფია 1:3**

0:2, 1:0, 0:1

გოლები: 0:1 აპშოლი-6 (ჯ. კარტერი-6, ტოლპეკო-2), 0:2 ჯ. კარტერი-9 (ტოლპეკო-3, აპშოლი-3), 1:2 დემიტრა-5 (როლსტონი-11, გაბორიკი-12), 1:3 კობურნი-1 (რ. ჯონსი-9).

**ჩიკაგო-ვანკუვერი 2:3**

1:2, 1:0, 0:1

გოლები: 0:1 ოლუნდი-5 (ნესლუნდი-13, დ. სედინი-16), 1:1 მ. ლაპოინტი-1 (კეიტი-6), 1:2 რიტჩი-2 (პიატი-7, ბ. მორისონი-9), 2:2 ჰავლატი-3 (ლანგი-15, ვანდერმეერი-7), 2:3 ბ. მორისონი-8 (პიატი-8, კუკი-3).

**დალასი-სან ხოსე 2:3**

0:1, 1:1, 1:1

გოლები: 0:1 ჩიჩუ-4 (ჯ. ტორნტონი-21), 1:1 დელეი-1 (ნორსტრიომი-1), 1:2 მარლო-5 (ჯ. ტორნტონი-22, დ. მიურეი-4), 2:2 მოდანო-9 (ლ. ერიქსონი-3, ნისკანენი-7), 2:3 ჯ. ტორნტონი-12 (მ. მიხალეკი-5, ერჰოფი-10).

**ანაჰაიმი-ბაფალო 4:1**

1:1, 2:0, 1:0

გოლები: 0:1 ჰეხტი-9 (პომინვილი-11, ქონოლი-16), 1:1 ე. მაკდონალდი-4 (ჰუსკინსი-6, დიპენტა-4), 2:1 შნაიდერი-3 (პრონგერი-18, გეტცლაფი-18), 3:1 ბერტუცი-2 (ე. მაკდონალდი-12), 4:1 პერი-14 (ბოშემენი-10, შნაიდერი-8).



## უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

### E ჯგუფი

**ლევერკუზენი-სპარტა 1:0**

**ლევერკუზენი:** ადლერი, ფრიდრიხი, ჰაგი, ბარნეტა, კასტრო, ფრაიერი (66. ბ. შნაიდერი/83. გრეშკო), რამელოვი, როლფესი, შარპეი, გეკასი (78. ზინკიეიჩი), კისლინგი.

**სპარტა:** გრიგარი, კადლეცი, კლადრუბსკი, რუეპკა, ზაბავნიკი (89. ბრეჟინსკი), ჰორვატი, კისელი, პოსპეხი, დოზეკი, რეჟეკი (72. მატუსოვიჩი), შლეპიჩკა.

გოლი: 1:0 ფრიდრიხი (71)

გაძევება: რამელოვი (60. ლევერკუზენი)

მაყურებელი: 17 771

**სპარტაკი-ციურიხი 1:0**

**სპარტაკი:** პლეტიკოშა, დედურა, ივანოვი (46. სოავა), შიშკინი, შტრანცლი, კოვალჩუკი, ტიტოვი, ტორბინსკი, ბაჟენოვი (71. ბოიარინცევი), ძიუბა (58. ველიტონი), პავლიუჩენკო.

**ციურიხი:** გუატელი, როშა, მ. შნაიდერი, შტაჰელი, ტიჰინენი, აგერტერი (81. გაში), შიხლაუი, კონდე, ოკონკვო, ალფონსი, რაფაელი.

გოლი: 1:0 ტიტოვი (57)

მაყურებელი: 20 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 2. ციურიხი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 3. ლევერკუზენი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 4. სპარტა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 5. ტულუზა | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |

### F ჯგუფი

**არისი-ბრაგა 1:1**

**არისი:** ხალკიასი, ბარბიერი, ნეტო, პაპადოპულოსი, გუიარო რონალდო, გარსია, ნებეგლერასი, დიოგო (79. არანი), ივიჩი, ხავიტო (79. ფელიპი), კოკე.

**ბრაგა:** პაულუ სანტუში, ვალდელომარი, ჟუნიორი, ფერნანდესი, პეიშოტუ (53. ჟოაო პინტუ), ფრეშო, ჟოაო პერეირა, ჟორჟინიო (73. ჟაილსონი), ბრუნი, ლინცი, ვენდერი (81. კაშტანიერა).

გოლები: 0:1 ლინცი (6), 1:1 გუიარო რონალდო (26)

მაყურებელი: 14 000

**ცრვენა ზვეზდა-ბოლტონი 0:1**

**ცრვენა ზვეზდა:** რანჯელოვიჩი, ბაიალიცა, ბასტა, ბრონოვიცკი (80. ანჯელკოვიჩი), ტუტორიჩი, კორომანი, ჟოაო ლუკაში, მილიაში (73. ბურჟანოვიჩი), მილოვანოვიჩი, მოლინა, იესტროვიჩი (64. ჯორჯევიჩი).

**ბოლტონი:** ალ ჰაბსი, ჰანტი, მეიტე, მიხალიკი, სამუელი, იანაკოპულოსი, მაკკანი, სპიდი, თეიმურიანი, ვილჰელმსონი, ბრაატენი (87. სინკლერი).

გოლი: 0:1 მაკკანი (45)

მაყურებელი: 45 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოლტონი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-4 | 6 |
| 2. არისი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-2 | 5 |
| 3. ბაიერნი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-5 | 5 |
| 4. ბრაგა | 3 | 0 | 3 | 0 | 3-3 | 3 |
| 5. ცრვენა ზვეზდა | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |

### G ჯგუფი

**ოლბორგი-ხეტაფე 1:2**

**ოლბორგი:** ქარიმ ზაზა, კალიფი, იაკობსენი, ოლესენი, აუგუსტინუსენი, ენევოლდსენი (77. ლინდსტრიომი), იოჰანსონი, პედერსენი (58. ოლფერსი), რისგაარდი (58. ნომვეტე), კურტი, პრიცა.

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, ბელენგერი (81. მარიო), კონტრა, დიასი, ლიხტი, ჩელესტინი (60. კორტესი), გრანერო, ბრაულიო, დე ლა რედი, მანუ (76. ალბინი), პაბლო.

გოლები: 0:1 პაბლო (11), 0:2 გრანერო (78), 1:2 პრიცა (90)

მაყურებელი: 10 634

**ანდერლეხტი-ტოტენჰემი 1:1**

**ანდერლეხტი:** ზიტკა, დეშახტი, იუჰაში, ვან დამი, ვასილევსკი, ბილია, გოორი, ჰასანი, პოლაკი, ფრუტოსი (55. ტერო), მ. მპენზა (72. ბასეჯო).

**ტოტენჰემი:** რობინსონი, შიმბონდა, დოუსონი, ლი (81. სტალტერი), ჰალფრედსონი, ჟენასი, ლენონი, მალბრანკი, სოკორა, ბენტი (72. დეფო), კინი (59. ბერბატოვი).

გოლები: 1:0 გოორი (68), 1:1 ბერბატოვი (71-პენ)

მაყურებელი: 22 500

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტოტენჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 2. ხეტაფე | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 3. ანდერლეხტი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| 4. ჰაპოელი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| 5. ოლბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-6 | 1 |

### H ჯგუფი

**აუსტრია-პანიონიოსი 0:1**

**აუსტრია:** ფორნეცი, ბაკი, ერტლი (64. სულიმანი), მ. მაისტროვიჩი, შიმერი, აჩიმოვიჩი, ბლანშარი, ლასნიკი (71. მაირი), სარიარი, შტანდფესტი, ოკოტი (80. ლაფატა).

**პანიონიოსი:** კიონიგი, ბერტი, მანიატისი, პლეტჩი, სპიროპულოსი, გუნდულაკისი, კუმორძი (87. გასპარი), ი. მაისტროვიჩი, ნიკოლაუ (73. ფერნანდესი), სკუფალისი (85. კუცოპულოსი), ჯებური.

გოლი: 0:1 ი. მაისტროვიჩი (90)

მაყურებელი: 15 000

**ბორდო-ჰელსინგბორგი 2:1**

**ბორდო:** რამე, შალმი, ენრიკე, მარანჟი, პლანუსი, ტრემულინასი (62. ალონსო), დუკასი (61. დიარა), მენეგაცო, ჟუსი, შამახი (73. კავენაგი), ობერტანი.

**ჰელსინგბორგი:** დ. ანდერსონი, კ. ანდერსონი, იაკობსონი, რონინბერგი, ტამბურა, ვალსტედტი, ლანტცი, სკულასონი (85. შანსა), ლარსონი, მაკონდელე, ომოტოიოსი (71. სვანბაკი).

გოლები: 1:0 შამახი (12), 1:1 ლარსონი (17), 2:1 ჟუსი (69)

გაძევება: ტამბურა (63. ჰელსინგბორგი)

მაყურებელი: 12 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორდო | 3 | 3 | 0 | 0 | 6-3 | 9 |
| 2. ჰელსინგბორგი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-5 | 7 |
| 3. პანიონიოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 4. გალათასარაი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-5 | 3 |
| 5. აუსტრია | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |



ოლბორგი-ხეტაფე. პრიცამ (მარჯვნივ) მასპინძელს მხოლოდ პრესტიჟის გოლი მოუტანა


**სპორტული გაზეთი**

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი ალადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

**სპორტი**

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა.
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56. 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**